ლიტერატურული გაზეთი

№61 28 ოქტომბერი - 10 ნოემბერი 2011 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 50 თეთრი

HAVE A LOOK AT GEORGIA

შეხედე საქართველოს — Have a Look at Georgia — ამ სლოგანით 2011 წლის ოქტომბერში ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველო სრულიად ახალი და საინტერესო პროგრამით წარსდგა. ქართველმა მწერლებმა და გამომცემლებმა ფესტივალის გახსნის პირველსავე დღეს საქართველო და ქართული ლიტერატურა ყურადღების ცენტრში მოაქციეს და ფრანკფურტის ბაზრობის ორ სპეციალურ ფორმატში მიიღეს მონაწილეობა.

მედეა მეტრეველი

გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორმა ლაშა ბაქრაძემ და ხუთმა ქართველმა მწერალმა უცხოელ გამომცემლებსა და ლიტერატურის აგენტებთან დიალოგი გამართეს. ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობის ფორუმ დიალოგის ფორმატში მონაწილეობა საშუალებას აძლევს ნებისმიერ ქვეყანას, თავისი მწერლები და ლიტერატურა უკეთ გააცნოს უცხოელ მკითხველსა და გამომცემლებს. ლაშა ბაქრაძემ, ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვის შემდეგ, დამსწრე საზოგადოებას თამთა მელაშვილი, აკა მორჩილაძე, დათო ტურაშვილი, ზაზა ბურჭულაძე და ანა კორძაია-სამადაშვილი წარუდგინა. შეხვედრა ინტერაქტიულად წარიმართა, დისკუსიაში უცხოელ სტუმრებთან ერთად საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაბრიელა ფონ ჰაფსბურგმაც მიიღო მონაწილეობა.

საქართველოს პროგრამის მთავარმა ნაწილმა — პრეზენტაციამ „Have a Look at Georgia“ — მოგვიანებით უკვე ჩვენი ქვეყნის ეროვნულ სტენდთან გადაინაცვლა. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებაში საქართველოს მონაწილეობის სურვილი თავად ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ხელმძღვანელობამ გამოთქვა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ქართული კულტურისა და ლიტერატურის მიმართ გერმანიისა და, ზოგადად, დასავლეთის ინტერესზე. ბაზრობის დირექტორმა იურგენ ბოსმა ერთმნიშვნელოვნად აღნიშნა, თუ როგორ ეამაყება ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ქართული დელეგაციისა და, მათ შორის, რვა ქართველი ავტორის სტუმრობა. მისი აზრით, აღნიშნული ბაზრობა მწერლებისა და გამომცემლების შეხვედრის საუკეთესო ადგილია და ნებისმიერი ქვეყნისთვის უნიკალური შანსია, საკუთარი ლიტერატურა და კულტურა პოპულარული გახადოს.

პრეზენტაციამ —„Have a Look at Georgia“ — საქართველოს სტენდის გარშემო მრავალი უცხოელი გამომცემელი თუ დამთვალიერებელი გააერთიანა. ამ ფორმატისთვის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და საქართველოს გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია საგანგებოდ მოემზადა. ათამდე ქართველი გამომცემლისა და რვა ქართველი ავტორის საერთო პრეზენტაციამ უცხოური აუდიტორიის დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. ქართულ სინამდვილეში პირველად ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობისთვის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით დაიბეჭდა კატალოგები საქართველოში საგამომცემლო საქმიანობისა და ქართველი ავტორებისა და მათი ნაწარმოებების წარდგინებით, ასევე სანიშნე-სუვენირები და სათვალის ფორმის USB ფლეშ მატარებლები, რომლებიც სპეციალურად წიგნის ბაზრობითვის ჩინეთში დამზადდა.

II-III

ტარიელ ჭანტურია
ჭკვიანი რითმეების ლექსიკონიდან
III

მამუკა წიკლაური
ერთ ცრემლში გამომწყვდეულა
IV-V

გურამ დოჩანაშვილი
კაცი, სახელად ნოე
VI-VII

ნუგზარ ზაზანაშვილი
შვილიშვილს
VIII

ნინო სადღობელაშვილი
ცისფერი პერანგი
IX

მარიამ წიკლაური
ზღაპარი სამყაროსა და ერთ ბაჭიაზე
X-XI

ინტერვიუ შოთა იათაშვილთან
XII

ინტერვიუ კახა ჯამბურიასთან
XIII

ჯარჯი ფხოველი
ხელის-გულის ანაბეჭდები
XV

HAVE A LOOK AT GEORGIA

პრეზენტაცია — „შეხედე საქართველოს“ — „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ დირექტორმა თინა მამულაშვილმა გახსნა და, საქართველოში საგამომცემლო სფეროს მიმოხილვის შემდეგ, უცხოელ სტუმრებს რვა ქართველი ავტორი (ზურა ლეჟავა, ნესტან კვინიკაძე, მაკა მიქელაძე, თამთა მელაშვილი, აკა მორჩილაძე, დათო ტურაშვილი, ზაზა ბურჭულაძე და ანა კორძაია-სამადაშვილი) და ქართველი გამომცემლები გააცნო. დამსწრე საზოგადოებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამაც მიმართა და თავის გამოსვლაში სამინისტროს ფარგლებში მოქმედი წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის შესახებ ისაუბრა. პრეზენტაციის მსვლელობისას მწერლებმა სლოგანით „მე ვარ ქართველი. მე ვწერ მსოფლიოსთვის“ (I am Georgian. I write for the world) ერთგვარი პერფორმანსი წარმოადგინეს. პრეზენტაციას დაესწრნენ ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობის ვიცე პრეზიდენტი ტობიას ვოსი და ლაიფციგის წიგნის ბაზრობის დირექტორი ოლივერ ცილე.

ფრანკფურტში ქართული დელეგაციის სტუმრობამ ქართველი მწერლებისთვის კონკრეტული შედეგები უკვე გამოიღო. 2011 წლის ლიტერატურული პრემია „საბას“ ლაურეატმა (ნომინაცია „წლის დებიუტი“) თამთა მელაშვილმა შვეიცარიული გამომცემლობა Unionsverlag-ის ინტერესი დაიმსახურა. ეს უკანასკნელი თამთას რომანის — „გათვლა“ — შვეიცარიაში გამოცემას გეგმავს. თამთა მელაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ „კონტრაქტი გამომცემლობებს („დიოგენესა“ და „იუნიონფერლაგს“) შორის უკვე გაფორმდა, რაშიც განსაკუთრებული წვლილი რაქელ გრატცფელდმა შეიტანა, რომელიც ქართული ლიტერატურის აგენტია გერმანულენოვან ბაზარზე. წიგნი თებერვალში გამოვა და, სავარაუდოდ, მარტში ლაიფციგის ბაზრობაზე იქნება წარდგენილი.“

მეორე ქართველი ავტორი, რომლითაც იტალიური გამომცემლობა Nikita Editore დაინტერესდა, აკა მორჩილაძეა. მომავალ წელს გამომცემლობა აკა მორჩილაძის რომანის — „მოგზაურობა ყარაბაღში“ — გამოცემას აპირებს.

მოლაპარაკებები სხვა ქართველ ავტორებსა და მათ გამომცემლებთანაც მიმდინარეობს და კონკრეტულ შედეგებს უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

ქართული დელეგაცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ნიკოლოზ რურუას ხელმძღვანელობით ფრანკფურტიდან კონკრეტული ამოცანებითა და სამომავლო გეგმით დაბრუნდა. „2015 წელს საქართველოს რეალურად ეძლევა საშუალება, გახდეს ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყანა, ეს კი ნებისმიერი სახელმწიფოსთვის უნიკალური შანსია, დანარჩენ მსოფლიოს არა მხოლოდ საკუთარი ლიტერატურა, არამედ ისტორია და კულტურაც გააცნოს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ქართული ლიტერატურის უცხო ენებზე თარგმნის კუთხით, ძალისხმევას არ დაიშურებს და საზღვარგარეთ ქართველი ავტორებისა და მათი ნაწარმოებების პოპულარიზაციას მაქსიმალურად შეუწყობს ხელს“, — აღნიშნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.

უკვე რამდენიმე წელია, სამინისტროში ფუნქციონირებს „ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის“ პროგრამა, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტი



სწორედ ქართული ლიტერატურის თარგმნის ხელშეწყობაა. უცხოელი გამომცემლობებისთვის გამოცხადებული მთარგმნელობითი კონკურსის ფარგლებში 2010-2011 წლებში რამდენიმე პროექტი განხორციელდა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო იმედოვნებს, რომ წლევანდელ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე გამართული პრეზენტაციები და შეხვედრები შედეგს გამოიღებს და უცხოელი გამომცემლების ინტერესი ქართული ლიტერატურის მიმართ უფრო მეტად გაიზრდება და, შესაბამისად, უფრო მეტი უცხოელი გამომცემლობის პროექტი მიიღებს მონაწილეობას სამინისტროს მიერ გამოცხადებულ მთარგმნელობით კონკურსში.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით, ქართული წიგნისა და ლიტერატურის პოპულარიზაციის მიმართულებით, მნიშვნელოვანი პროექტი 2012 წლის მარტში განხორციელდება. ამ წელს საქართველო ეროვნული სტენდით პირველად წარსდგება ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე. უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ქართველი ავტორებისთვის გერმანელ მკითხველსა და გამომცემლებთან შეხვედრების გამართვის თაობაზე.

2011 წლის ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყანა ისლანდია იყო. ქვეყანა, რომლის მოსახლეობა 320 000 შეადგენს, 38 მწერლითა და 300-მდე კულტურული ღონისძიებით წარსდგა ფრანკფურტში. მომავალ წლებში ფრანკფურტში საპატიო სტუმრებად ახალ ზელანდიას, ბრაზილიას და ფინეთს ელოდებიან. 2015 წელს ეს შესაძლებლობა საქართველოსაც მიეცემა, ეს კი მართლაც დიდი გამოწვევა და პასუხისმგებლობაა, რომელსაც კარგად აცნობიერებენ როგორც ქართველი მწერლები და გამომცემლები, ისე — სახელმწიფო. ის ფაქტი, რომ მთელი წლის განმავლობაში საქართველო ევროპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყნის — გერმანიის — ყურადღების ცენტრში მოექცევა, კიდევ ერთხელ მიუთითებს ქართული კულტურისა და, ზოგადად, საქართველოს მიმართ დასავლეთის დიდ ინტერესზე.

ტარიელ ჭანტურია

ჭკვიანი რითმების ლექსიკონიდან

დასაწყისი №60

ჩიხირთმა – ჩუქურთმა

ეს რითმა სუბიექტური ხედვის ნაყოფი უფროა, როგორც ჩანს. პირადად მე, ჩიხირთმა ქვაბშიც და თეფშზეც, უფრო სწორედ, მისი ზედაპირი, ნამდვილად მაგონებს ჩუქურთმით მოქარგულ კედელს. თქვენ? ამის შესამოწმებლად საჭირო იქნება, კიდევ ერთხელ დახედოთ ამ თვალით ჩიხირთმას! მანამდე კი უბრალოდ მენდეთ!

ტეტჩერი – ტუჩები

არავითარი ჭკუა არ მოეკითხებოდა ამ რითმას, ინგლისის პრემიერ-მინისტრი რომ კაცი იყოს! მაგრამ „ტუჩები“ თითქოს უთუოდ და მხოლოდ და მხოლოდ ქალურობის ატრიბუტია! ამაში იქნებ კლასიკური, განსაკუთრებით კი აღმოსავლური პოეზიაც იყოს „დამნაშავე!“

ვერ ძღები – კვერცხები

ჭამეო, ალბათ. არა მარტო უცოლო და მარტოხელა მამაკაცების, სტუდენტების, მოჩქარე თეატრალებისა და სხვათათვის, არამედ საერთოდ არის ყველაზე იოლი და ხელმისაწვდომი კერძი ტაფამწვარი! — არავითარი განსაკუთრებული კულინარული ხელოვნება არ სჭირდება მის მომზადებას! ესეც იგულისხმა, როგორც ჩანს, რითმამ.

კაცნი – კოცნა

ვერ დავიჯერებ, თითქოს ცხოველფრინველთა მიალერსება კოცნა იყოს. კოცნა მხოლოდ ადამიანთა ჩვევაა! სხვათა შორის, კარგი ჩვევა!

არმინ ჰარი – არმინ ქარი

არმინ ჰარი სპრინტერია – მსოფლიოს ექსრეკორდსმენი ას მეტრზე სირბილში! მან პირველმა გაირბინა ეს დისტანცია მართლაც ქარის სისწრაფით!

სხვათა შორის, ამგვარი რითმების დასახასიათებლად, გარდა სიტყვა „ჭკვიანისა“, ალბათ სიტყვა „ლოგიკურიც“ ივარგებდა!

გელათი – კელაპტრით

აქ დუმილი ჯობს.

ჯაზირი – ვაზირი

გახსოვთ ალბათ: ჯაზირი ვაზირთა უხუცესია „ამირან დარეჯანიანში“.

ვერდი – ვარდი

გასაკვირი ის იქნებოდა, ვერდი ნეხვს ან ჭინჭარს გარითმვოდა.

აპარატი – ლაპარაკი

თუმცა აპარატი ბევრნაირია, აპარატიო, რომ იტყვიან, ჯერ ტელეფონის აპარატი წარმოგვიდგება თვალწინ. ამის მეტი „საბუთი“, ამ რითმის მამტკიცებელი, არა მაქვს.

უცოლობა – უძილობა

რითმა, თავისი მხრივ ყველაფერს აკეთებს, რომ ჩემს ზოგიერთ ძმაკაცს ცოლის შერთვა აფიქრებინოს. ესეც ჭკვიანი რითმაა, ყოველ შემთხვევაში, უცოლოებზე ჭკვიანი მაინც.

მკერდი – კერტი

ვაჭკაცი – ვაშკანსკი

ვაშკანსკი პირველი პაციენტია, რომელიც საავადმყოფო „ხროტე სხიურიში“ განთქმულ დასტაქარს ქრისტიან ბერნარდს გულის გადანერგვის ოპერაციაზე დათანხმდა. დამეთანხმებით, ვაშკანსკი – ვაჭკაცია.

ასეც კაია, ისეც კაია
ჩვენი მაია პლისეცკაია

თუმცა მთლად ჭკუის კოლოფი არაა ეს რითმა, ყოველშემთხვევაში, არც სულელია!

დანა – დენა

ალბათ – სისხლისო.

სტალინის – ტალონი

ომის ასოციაცია.

სოხუმი – ბოხუმი

მდინარეების დარად, ქალაქებსაც აქვთ ერთმანეთთან შეხვედრის სურვილი, მაგრამ თუ მდინარეებს ამ მხრივ მიზერული შანსი მაინც აქვთ, ქალაქებს შეხვედრა არა და არ უწერიათ.

რითმა ერთადერთი „ადგილია“, სადაც ზოგიერთი ქალაქი მაინც ხვდება „კოლეგას“.

მაიკლი – მაიკლა

მაიკლისა და მისი საყვარელი ქალის – ელვირა ბარნეის გახმაურებული სასამართლო საქმე ინგლისში, 1932 წელს. ელვირას საყვარლის მკვლელობა ბრალდებოდა, ის კი ირწმუნებოდა, მაიკლმა... თავი მაიკლაო.

რუსი ერი – უსიერი

უსიერი ტყეების პატრონიცაა რუსი ერი!

ჩეთვრიანი – ჩათვრნენ

ვერაფერს იტყვი – ლოგიკური რითმაა! ესაა ოღონდ: ეტყობა, ვერ იყვნენ მაინცა და მაინც კარგი მსმელები, ერთმა ჩეთვერმა ორი რომ დაათრო.

საცავი – სიცივე

არ შეიძლება, საცავში ცხელოდეს.

ფრანის – ფრენის

„ფრანის“ რითმად „ცოცვა“ ნამდვილად არ გამოდგება.

კუკი – კოკი

ჯეიმს კუკმა მსოფლიო ხომალდით შემოიარა. ცხადია, მასთან იყო გემის მზარეული – კოკი.

დუმილით – დამალეთ

დუმილით იოლია აზრის, ფიქრის, განწყობილების დამალვა.

გაგრძელება იქნება

მამუკა წიკალური

ერთ ცრემლში გამომწყვდეულა

ერთ ცრემლში გამომწყვდეულა ბედ-უბედობის ტრიალი,
მზის ამოსვლის და მზის ჩასვლის მუდმივი იალ-კიალი.
...
უეცრად მოხდა ჩემი წასვლა, შენი დარჩენა –
გულმა არ მკითხა, სად მიდიოდა,
ფრთებმა არ მკითხეს, სად მიფრინავდნენ,
ქარმა არ მკითხა, საით მივყავდი...
და ახლა, ჟამის ჩაღობვის და ჩაკეტვის შემდეგ,
მიწის რღვევის და ზეცის მსხვრევის შემდეგ ვკითხულობ:
— ნეტავ, რა ძალამ შეაერთა ჩვენი სულები,
რომ მისმა რღვევამ ცის დარღვევა გამოიწვია?!
— ნეტავ, სად გაქრა მზე, რომელმაც აღმოსავლეთი
თავდავიწყებით ამოსჭრა და ამოანგრია?!
...
ერთ ცრემლში გამომწყვდეულა ბედ-უბედობის ტრიალი,
მზის ამოსვლის და მზის ჩასვლის მუდმივი იალ-კიალი.

სიმღერა

არცა ლოცვამ ქმნა საქმნელი,
არც – თვალზე ცრემლის დენამა,
გული დაფლითა სიკვდილის
უეცრივ ამოჩენამა,
დუმაცხოს სასაფლაოდან
ნისლების გადმოდენამა.

კვდებოდნენ, მაგრამ სახეზე
მაინც სიცოცხლე ეფინათ,
ვერ წააქცია სიკვდილმა,
ბეჭი ვერ დაადებინა,
მარჯვენა ხელში ნაჭერი
ყანნი ვერ გააგდებინა.

ყველას უნდა, რომ დავჯდე და
იმათთან ვაღამ-ვათენო –
თავის ამბავი მიამბონ,
თავის ჭრილობა მაჩვენონ,
მეც უარს ვერ ვეუბნები,
გზას ვეღარ ვიგნებ საჩემოს.

ბურსაჭილს გიგო მეძახის,
ხელს ნატყვიარზე იღირებს;
კიტოხში ხეჩო-ადამი
სად მიდიხარო?! — მიყვირებს;
მაქართას შიოს აჩრდილი
კლდეზე შედგება ჯიხვივით...

გუშინ კი ხელი ავუკარ
მაგათ ჭრილობა-იარებს,
დავჯექ ძმა-ბიძაშვილებში,
დევივით ვცლიდი ფიალებს,
დავთვერ და გუდამაყარი
სულ მღერით გამოვიარე.

ნათლობა

როგორ გვიყვარდა ჩვენ ეს თამაში! —
ვისხედით მე და სალომე ბანზე,
ცას გავყურებდით და ვნათლავდით
ლამაზ ვარსკვლავებს.
ერთხელ სალომემ „სასწორანი“ ასე მონათლა:
— შუა ვარსკვლავი ჩემი დედა, მზევინარია,
იქით-აქეთ კი მე და ჩვენი ანანო ვართო.
ლამაზი იყო ამ დროს სალომე –
ციდან მოსული, ცისფერი ქალი,
ვარსკვლავებით და მთვარის შუქით შემობურვილი...
— აი, იმ ვარსკვლავს რა დავარქვათო? –
მკითხა სალომემ ერთ კაშკაშა, ლამაზ ვარსკვლავზე.
— მაგას სალომეს დავარქმევ-მეთქი.
— არა, ეგეთი ვარსკვლავები და ყვავილები,
ჩირაღდნებივით რომ ბრიალებენ, – მე არ მიყვარსო, –
მითხრა სალომემ, –
ვარსკვლავი მორცხვად მოციმციმე უნდა იყოსო.
მე ჩემზე დავდექ: – ეგ სახელი უხდება-მეთქი,
რადგან ყველაზე ლამაზი და თეთრია-მეთქი.
...მე, ახლაც, როცა ვარსკვლავიან ზეცას გავყურებ,
იმ ვარსკვლავს ვეძებ, ვპოულობ და ვეღარ ვეხსნები –
ცა ჩემთვის სულაც ის ვარსკვლავია,
იმას უპყრია ცისიერი სამყარო ხელით.
...იმ აყვავებულ, მობრიალე ვარსკვლავის ახლოს
ერთი ფერმკრთალი და საწყალი ვარსკვლავიცაა –
სხვაგან არ მიდის,
სულ დიდ ვარსკვლავს შემოსტრიალებს –
და... რა თქმა უნდა, ის საწყალი ვარსკვლავი მე ვარ...

მზე ყველასია, მთვარე კი – ჩემი

შუაღამეა. დიდი მთვარე დგას შუა ცაზე.
მენატრებოდა და ამოცურდა,
ამოლივლივდა, იის სუნი ამოაფრქვია,
სალომეს სუნთქვა და სითეთრე ჩამომათოვა...
ზოგჯერ ამბობენ: – უკვე დაბერდა,
მთვარე დიდი ხნის მნათობიაო.
მე კი მგონია, ჩვენ, სამივე ერთ ღამეს გავჩნდით –
მე, სალომე და მთვარე ერთად დავიბადენით
და მაღალ ცაზე ერთ სინათლედ ამოვჩახჩახდით...
...ერთხელ სალომე მტაცებელმა ქარმა წაიღო,
მე და მთვარეღა შევრჩით ერთმანეთს –
ერთად ვტიროდით გადამქრალ ქალზე,
ერთად ვფიქრობდით მტაცებელ ქარზე;
ერთად გვციოდა, ერთად გვტკიოდა
და მწარე ქარი დაუნდობლად შემოგვწიოდა.
...ახლა ეგ მთვარე ჩემი მთვარეა,
როცა ამოდის, ჩემთვის ამოდის.
მზე ყველასია – მზეს ფიქრისთვის არა სცალია,
სიყვარულისთვის, სიყვარულის ტკივილებისთვის
მზეს არ სცალია.
მზე ბადით ხელში გამოსული მებადურია,
მხვნელ-მთესველია, მჭედელი და მშენებელია...
მზე ყველასია, მთვარე კი – ჩემი.
ეგ მთვარე ჩემი ტკივილების ზღვიდან ამოდის –
ზოგჯერ მგონია, რომ სალომეს სასაფლაოა.

ყორანი

— ვერ ეღირსები, ყორანო, დასჭამო ჩემი მკლავები,
ამაოდ მითვლი მუქარას უფსკრულში დასაფლავებით,
შე შავო, შავი კლდის შვილო, თვალში რად გეცოტავები?!
...
შორიდან მომდევს, გზას ინათებს შავი სინათლით
და შავი ფრთებით შავ ღამეებს მოაფრიალებს.
მოდის, მოცურავს ჰაერის ზღვებზე,
შავ ლექსებს ამბობს, შავ სიმღერებს მოატივტივებს;
სულ სიკვდილზე და სულ სისხლზე მღერის –
მღეროდა, როცა აირია სისხლი და წყალი,
როცა ღრუბელი მზიან დღეებს ასაფლავებდა;
მღეროდა, როცა ჩემს ქალაქში ომი დაძრწოდა
და გაცოფებულ ძაღლებივით მიღრენდნენ მტრები.
შორიდან მომდევს. სათავისო წამს ელოდება,
რომ დამიმიზნოს შავი მზერა – შავი ისარი;
ხოლო მე, ყორნის დასაფრთხობად, დასაშინებლად
ჩემივე ხალხის გაუცვეთელ სიმღერას ვმღერი:
— ვერ ეღირსები, ყორანო, დასჭამო ჩემი მკლავები,
ამაოდ მითვლი მუქარას უფსკრულში დასაფლავებით,
შე შავო, შავი კლდის შვილო, თვალში რად გეცოტავები?!

გამოთხოვების ბარათი

ერთ დროს ბედნიერ კაცად ითვლებოდა.
მასწავლებლების ოჯახი იყო.
ოთხი ქალ-ვაჟი იზრდებოდა იმის კერაზე.
ბოლოს კი ბედმა დაუღრინა და მის დიდ სახლში
პაპა და ერთი შვილიშვილი – ორნიღა დარჩნენ.
...მაგრამ ებევრა ბედისწერას ეს ორი სულიც
და ყელჭირვებით დაიღუპა შვიდი წლის ბიჭი.
მეორე დღეს კი ბერიკაცმა თავი მოიკლა
და ეს ბარათი დაუტოვა თავის ახლობლებს:
„— გამიგეთ და მაპატიეთ;
ვიცი, ცოდვიან გზას დავადექი,
მაგრამ ვერ შევძელ, ეშმაკისთვის უარი მეთქვა,
თუმცა... ეშმაკსაც სულყველაფერს ნუ დააბრალებთ;
ჩემს ბიჭს მიწაში მარტოდმარტოს ვერ ჩავგზავნიდი –
იმ სიბნელეში შიშისაგან შეიშლებოდა
და გადავწყვიტე, თან გავყოლოდი...
ერთად დაგვმარხეთ.“
...ასე განსაჯეთ, ისე განსაჯეთ...
მე კი... იმ მოხუცს ვესარჩლები, ღმერთს ვევედრები –
თავზარდამცემი სიყვარული შეუნდოს ღმერთმა!..

ისე მიყვარხარ, მე ჩემს თავში დავიღუპები

...ზეცა ადუღდა.
მზე თავს იკლავს,
მზე იღუპება,
მზე თავისთავში, მზე მზეშივე დაიღუპება.
ისე მიყვარხარ,
მეც ჩემს თავში დავიღუპები.
...ისე ჰქუხს თერგი
და კლდეებზე ისე ეცემა,
ვერ გადარჩება, ამ კლდეებში დაიღუპება,
ვერ გადარჩება, ვერ გააღწევს დარიალიდან.
ისე მიყვარხარ, ვერ გავაღწევ ამ დუღილიდან,
მეც ჩემს ტკივილში, მეც ჩემს თავში დავიღუპები...

დაისვენოს გაბრიელმა, დამიწდეს

ნუ გაიღვიძებ, ულმობელო მეხსიერებავ,
იმ აჩრდილებს და მოჩვენებებს ნუ გააღვიძებ!
დაიძინოს გაბრიელმა, დაისვენოს, დამიწდეს!
ეძინოს, ნუღარ დაინახავს – ადამიანებს
როგორ ღებავენ ეშმაკეულ სამღებროებში;
ეძინოს, ნუღარ შეესწრება სიმართლის კვდომას –
ჯერ ცას რომ არღვევს ვულკანური გამძვინვარებით
და მერე მიწას ეხეთქება მოკლულ ლომივით.
ეძინოს, ნუღარ გააღვიძებთ, ნუ წამოუშლით
კბილებალესილ ფიქრებს და ქარებს,
მაგათ გამოხრეს გაბრიელის დღე-ღამეები,
მაგის ძვლებიდან ისმის მქისე ამოკვნესება –
ახლა რომ რკინის ისარივით ამოსივილდა...
მკვდარიც კი კვნესის...
დაიძინოს გაბრიელმა, დაისვენოს, დამიწდეს!
უკან ნუღარ მოიხედავს, წავიდეს,
აქედან იქით მიმავალი გეზით იაროს,
იაროს აღთქმულ შავეთისკენ – საიქიოსკენ,
ამ ჯოჯოხეთში ნუღარ მოვა, ნუ მობრუნდება,
იმ ჯოჯოხეთში დაასვენოს ნატანჯი სული...

აკრძალულნი ვართ!

გესლში ნაწრთობ მახვილივით მოიქნიეს ჭორი.
აშმორებულ ენებიდან გადმოგვამხეს შმორი.
ჩვენს სახელებს დაესია ყორანი და ქორი.
...
ეს სიყვარული გაზაფხულს არ ამოჰყოლია,
ენძელასავით, იასავით არ ამოსულა,
ის ყორნებს მოჰყვა შავი კლდიდან ჩამოფრენილებს;
ეს სიყვარული სიყვარულის გზით არ მოსულა,
ის ნგრევით, მსხვრევით, გუგუნით და ბორგვით მოვიდა
და მიწის მკერდი ვულკანივით ამოანგრია.
ჩვენი ქარები და წვიმები დააპატიმრეს
და ურდულებით გადაკეტეს დილეგის კარი.
და ჩვენი გზებიც გადაკეტეს საკეტურებით.
დღეს ჩვენს ცხოვრებას თავის სახელს თუკი დავარქმევთ,
„აკრძალვა“ ჰქვია.
სადაც გულს უნდა წასვლა – კრძალავენ.
სადაც თვალს უნდა წასვლა – კრძალავენ.
სადაც ფიქრს უნდა წასვლა – კრძალავენ.
აკრძალულნი ვართ ერთმანეთისთვის,
ჩვენი ხელები ერთმანეთს ვერ ჩაეხლართება,
ჩვენი თვალები ვერ შეერწყმის ერთმანეთს, რადგან
ჟამი აჯანყდა, გაგვრიყა და აგვითვალწუნა.
...
გესლში ნაწრთობ მახვილივით მოიქნიეს ჭორი.

ლოდინის ქალი

ის სულ ელოდა... ლოდინში მოკვდა.
...ის სულ ელოდა, როგორც მთები ელოდებიან
თოვლის დნობას და ჩანჩქერების გამოღვიძებას.
ელოდა, როგორც წეროები ელოდებიან
აპრილის გრგვინვას.
ელოდა, მაგრამ არ იცოდა, ვის მოელოდა
და ერთხელაც კი არ უკითხავს:
— ვის ველოდები?!
— ნეტავ, ვინ უნდა მოსულიყო და არ მოვიდა?!.
მან არც იცოდა, რომ გაზაფხულის
პირველ ელვას და პირველ ქუხილს ელოდებოდა,
სასნაულების მაუწყებელ მაცნეს ელოდა;
ჟღალი არწივის გადმოქროლებას
და იის სუნით დიდ დათრობას ელოდებოდა.
ლოდინის ქალი და ლოდინის პრინცესა იყო,
ლოდინის კაბა თრთოდა მის ტანზე,
ლოდინით იყო გაჟღენთილი მისი მკლავები,
ლოდინით იყო გაჟღენთილი მისი თვალები
და ამ ლოდინით ქათქათებდა მისი მანდილი.
ლამაზი იყო ის ამ ლოდინით –
ერთი შეხედეთ, რა კარგებია,
როცა ყვავილებს მოელიან ხატის მინდვრები! —
...ის სულ ელოდა... ლოდინში მოკვდა.

ვესაუბრები გარდაცვლილ ხევისბერს — 1993 წელი

ადე, ზარი დარეკე,
ძილ-ქუშის დრო არ არი!
კელაპტრები აანთე,
გაანათე წკვარამი!
ადე, ამოიძახე
ქვეყნის ვალალ-ვარამი.

დრო დროსგან გაირიყა,
აღარ ებმის ჟამი ჟამს,
ცით განწირულ ხეობას
ჟამი ხრავს და ჟამი სჭამს,
ადე, ნათელს ბნელისგან
შენი სიტყვა გამიჯნავს!

ადე, რას ჩაძირულხარ
მაგ ხარატულ კუბოში!
ყვავი ჯდება ციხეზე,
გველი ძვრება ლიბოში,
ადე, რას ჩათბილულხარ
მაგ ხარატულ კუბოში!

მიდის, გვშორდება...

ცაში ავიდნენ კოსმონავტები,
მთვარეზეც შედგნენ და გაიარ-გამოიარეს...
როცა დაბრუნდნენ, თქვეს – უფალი არ გვინახავსო,
არც მის ნაკვალევს წავწყდომივართო...

ალბათ, ღმერთი და ანგელოზთა მთელი კრებული,
ეს კოსმოსური ხომალდები რომ დაინახეს –
უფრო მაღალ და მიუწვდომელ ცაში ასახლდნენ,
უფრო უდაბურ ვარსკვლავებზე დაიდეს ბინა.
ადამიანი იქაც თუ ავა,
მაშინ ღმერთი და მთელი მისი ანგელოზები
უფრო მიუვალ ვარსკვლავებზე ამაღლდებიან.
რა მოასვენებს ადამიანს?! —
მაღლა და მაღლა მიიწევს იგი
და, როგორც ვხედავთ, განუწყვეტელ თანდათანობით
გვშორდება ღმერთი...

სიმღერა

— მალე მოვა გაზაფხული, –
თქვა ყინულის შუბის წვერზე
გაჩენილმა წვეთმა.

— მალე მოვა გაზაფხული, –
ამბობს ჩიტი და ფრენაში
ცეკვის ილეთს ურევს.

ღრუბლებიდან ჩამოისმა გუგუნი:
— მოფრინავენ მერცხალი და გუგული!

— აღარ მოვა გაზაფხული, აღარ, –
ამბობ შენ და იმნაირად ჰკრთები,
თითქოს ცაში გაგიჩერდა ფრთები.

დიდი ვერხვი წაქცეულა ჭალაში,
იერიში დაუწყიათ ქარებს,
რომ ზეციდან ჩამოწყვიტონ მთვარე...

გვითხარ, უფალო!

კვლავ გაიწივლა მოწამლულმა ისარმა მთებში –
ბერდიათ ლეოს ბიძის სისხლი აუღიაო.
...
წმინდა წიგნები გვასწავლიან, რომ მივუტევოთ,
მაგრამ... რა ვუყოთ აწყვეტილ გულს, აწყვეტილ ხელებს –
წმინდა ადათს და წმინდა წესს რომ არ მორჩილებენ
და თოფ-ხანჯლისკენ მიიწევენ ველური ჟინით?!
აი, ჰაინე ცინიკურად ამბობს ამაზე:
“— უნდა ავმაღლდეთ და მივუტევოთ,
მაგრამ ეს მხოლოდ იმის შემდეგ უნდა გაკეთდეს,
დამნაშავეს რომ ჩამოვკიდებთ სახრჩობელაზე...”
...გვითხარ, უფალო, მიგვანიშნე, როგორ მოვიქცეთ,
ხმა ამოიღე, ღვთაებრივი სიტყვა თქვი შენი,
ოღონდ არ გვითხრა – ცოდვა უნდა მიუტევოთო,
ოღონდ არ გვითხრა — ყბები უნდა მიუშვიროთო,
ეს ხომ უკვე თქვი, მაგრამ აბა, ვინ გაიგონა?!
...
კვლავ გაიწივლა მოწამლულმა ისარმა მთებში –
ბერდიათ ლეოს ბიძის სისხლი აუღიაო.

ელეგია

აქა ვარ, ვწევარ ჩემს მწარე და დამთრგუნველ ფიქრზე
და ჩემი სოფლის ნანგრევები გულზე მაყრია.
...
...და დროის საბნის გადახდა რომ შეიძლებოდეს!
...და მიწის საბნის გადახდა რომ შეიძლებოდეს! —
წამოდგებოდა ბურსაჭილი, თვალს მოიფშვნეტდა
და გახედავდა მონატრებულ მთებსა და ქედებს.
წამოდგებოდნენ მაღალი და მკვრივი ბიჭები
და საფლავებში ჩატანებულ ხმლებსა და ხანჯლებს
ამოიტანდნენ სამზეოზე, გააფხავებდნენ;
ამოანჩქრევდნენ სილამაზეს თეთრი ქალები,
გარმონს გასწევდნენ, იმღერებდნენ და მათი ხმები
გაიშლებოდა „ვარდ-ყოილად“ წნორის ჭალაში:
„რად გინდა ქალი ლამაზი, რა ომში გამოგადგება!
ჩაიცვამს წითელ-ყვითელსა, გავა, ბანებზე შადგება!..“
დაიგრგვინებდა ბიძაჩემი ბუთულას თოფი –
ცას გაარღვევდა ნატყვიარი დათვის ღრიალი;
მოვარდებოდა მაყრიონი ცხენთა ხეთქებით
და ხევისბერი დალოცავდა ახალყოილებს...
...
აქა ვარ, ვწევარ ჩემს მწარე და დამთრგუნველ ფიქრზე
და ჩემი სოფლის ნანგრევები გულზე მაყრია.

...და იქვე ჩვენი უსასოო ღიმილიც მოჩანს

— ნუთუ მხოლოდ ტკივილისთვის მოხვედი?!
— ნუთუ მხოლოდ გაელვება იყავი
და მაშინვე მოგეფარა ღრუბელი?!
ნუთუ მართლა ცივი წვიმებისგან და
ქარებისგან დასაკბენად მოხვედი?!
გზებს ხერგავდნენ დაშრეტილ იმედებით,
სულ გწყევლიდნენ, ლოცვას ვერ იმეტებდნენ...

...მაგრამ ხომ იყო ვალსები და სერენადები,
ლექსის ჩანჩქრები და სიმღერის ჰეიზერები;
ხომ იყო თეთრი ბაღები და მწვანე მინდვრები
და წეროები, გადამავალ-გადმომავალი...
ხომ ფრიალებდნენ დროშებივით შენი კაბები,
ხომ ვივსებოდით სიყვარულის შენაკადებით!

...ერთ ველზე ყვავის ჭინჭარი და ვარდი, სალომე;
დრომ გადააბა დღე და ღამე – ერთად მიდიან
და იქვე ჩვენი უსასოო ღიმილიც მოჩანს –
ის ჰგავს გატეხილ ციხის კართან დაცემულ დროშას...

იასე

...ეს მაშინ მოხდა, შავმა შიომ რომ მოკლა გიგო.
შეკრთა ხეობა. შეიკრიბნენ ხატის მინდორზე.
იასემ – ჩვენმა ხევისბერმა დარეკა ზარი
და ამ სიტყვებით დაარისხა შიოს სახელი:
„— წყეულიმც იყოს, ვინც ღვთის ნება არ შეისმინა,
ვინც მაცილის კუდს აედევნა, წყეულიმც იყოს!
ყური დამიგდეთ უხატღმერთოდ ჩვენ აბა, რა ვართ?!
წვიმებისაგან ჩაძენძილი ჩალაც არა ვართ,
ამ წუთისოფელს მხოლოდ უფლის სხივი ანათებს.
ძირს ძვლებია და ზევით სულები
და უფლის ნებით, შუაში ჩვენ ვართ –
ძირს ძვლებს ვამრავლებთ და ზევით – სულებს.
მიწას არ უნდა შეეზაროს ეს ჩვენი ძვლები,
ზეცას არ უნდა შეეზაროს ჩვენი სულები.
ყველას გაფრთხილებთ – მაცილმა არ გადაგიტყუოთ,
პირიმზის წმინდა ნაკვალევი არ დაგეკარგოთ!“
...მე მომეჩვენა, მუხასავით იდგა იასე
და იმის სათქმელს, კლდის გამკვეთელ რკინის ფესვებით
იასე-მუხა ისრუტავდა ღრმა ქვესკნელიდან...

დასაწყისი №60

გურამ დოჩანაშვილი
კაცი, სახელად ნოე

მაბრამ ესაც-კი თან ძაან-ცუდიდაგლახა და თანაც ეგება-არაფერი:

მდიდრებს მდიდრულად გამოაწყობდნენ და მდიდრულ სამარხებში — ალიზით ამოშენებულ ანდა ქვის გლუვი ფილებით გაწყობილ-იატაკიანში ჩაასვენებდნენ და ჭრელად მოხატულ უბრალო-თიხის ჭურჭლეულისა გარდა აყოლებდნენ სხვადასხვა ფერის ძვირფასსა თუ ნახევრადძვირფას ფერად-ფერად მძივებს, ოქროსა და ელექტრონის (— ოქროსა და ვერცხლის ნაერთი) ნივთებს — ესაც აგრეთვე სამხრეთ-შუამდინარეთელთა წამხედურობით სადაც უხვი მდინარეების მართლაცდა წყალ-ობით და ზედაც დიდად განვითარებული საირიგაციო სისტემებით დიდად მრავალმოსავალიანი ჭირნახული, გადასაცვლელი, მოუდიოდათ,

რომელ შუამდინარეთისაც ერთ-ერთ სამარხში იშვიათი ფუფუნების საგანიც — ოქროსა და ლილა-ქვისაგან დამზადებული რომელიღაცა მწერის დიდი საკიდი, და 25 ათასი ძვირფასი მძივი (!) იყო ჩატანებული მიცვალებულთან და იმის ირგვლივ — აბა ის იქნებოდა და... და როგორ მრავალი, რომელი-ერთი ამისთანებით იყო შემკულდადამძიმებული დიდად მდიდართა სამარხები ხოლო ატლანტიდელები იმაზე — „უკეთ“ თუ დაერქმევა ისე ცხოვრობდნენ, ხოლო იმდროინდელი წესით და რიგით უბრალო, როგით-წევრებს კი უბრალოვე ორმოებში მარხავდნენ, — „სათხე მარილი სად არისო“, — შეძლებისამებრ იყენებდნენ სიმდიდრესა თუ სიღარიბისაც შესატყვისებს, ყოველ ნივთს თავისი ადგილი და დანიშნულება ჰქონდა მიცვალებულისთვის ოღონდაც ესა — იმათი მოკლე და თუგინდაც გრძელის ჭკუვით:

და,

სხვაც-დასკვნებისც დასკვნებობანაც სჩვეოდათ, კი, კი, აი მაგალითად ობსიდიანის სამართებელი ხომ მჭრელი იყო ხოლო ლითონის ნაჯახი — ტლანქი, მაგრამ, დამკვირვებლური გამჭრიახობით?:

„ობსიდიანის სამართებლით ხეს ვერ მოჭრი და ნაჯახით წვერს ვერ გაიპარსავ“ო ხშირად ამბობდა ასე რადგან უყვარდა ხოლმე ამისა-თქმა კინტრიკიკოს,

ხოლო ნათქვამ-გამონათქვამი-ესე ისეთურა მყარ ანდაზადაც კი გადაიქცა რომ დაკვირვებულივე ჩვენამდისინაც კი მოაღწია (ანუ XXI საუკუნე, ჩვენი,),

და კოდექსები და კონსტიტუცია და განსაკუთრებით სამართალი ჰქონდათ ისეთი, როომ, —

„ნსაითაც ღნძალაო, ნსამართალიც ღ-იქითკენაო“ — ასევე ხშირად და სულაც არაორაზროვნად ამბობდა ასე მთავარ-სამართალდამცავი, აკი ანიჩქა,

„საქმეს წაახდენს რეგვენი, ფათერაკს დააბრალებსო“, — ამბობდა ასე ვისიმე დასჯის შემდეგა-შემდგომ ენა-ვერმოუღლელი აკიც კინტრიკიკო,

ხოლო ჩვენამდისინ? — ჩვე-სათანადო პირუთვნელობით (აგრეთვე — ისემც... — სიტუაციით ცოტანი მაგრამ აუჰხ როგორსა სამარხებში ჩასამარხავი ძაანც ისეთურ-მდიდრულადა გამდიდრებულები, روooo?) უნდა აღინიშნოს რომ ყველაფერი არა მაგრამ ზოგი რამ-მაინც სწორად ვერ აღწევს; გინდაც ჩვენისთანებამდეც. ასე მაგალითად, მეცნიერები ხშირად დაბნეულები არიან თუ რა უწოდონ სხვადასხვა კულტურას, რადგან ჯერ ეს ერთი ის რომ

რადგან თვით ურუქ-ს მაშინ ურუქი კი არა არამედ ჯერ რაღაცა სხვა სახელწოდება ერქვა,

ერიდუსაც — სხვა,

და ამიტომაც ეგებ უმჯობესი იყოს რომ არქეოლოგიური გათხრების წყალობით აღმოჩენილი სხვადასხვა კულტურები მათი დღევანდელი სახელდებებით მოვიხსენიოთ; ასე მაგალითად

ერიდუს კულტურა — აბუ-ბახრეინის კულტურა-თი,

ურუქის კულტურა — ვარკას კულტურა-თი და ასე შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია დავიტოვოთ მხარეებისა თუ მდინარეების გეოგრაფიული სახელწოდებები — შუამდინარეთი (და არა „მესოპოტამია“ — რა გვებერძნულება), აგრეთვე ბაბილონი (დიდხანს შემოგვრჩა, შეგვეჩვია...), აგრეთვე მდინარეების დღევანდელი სახელწოდებები — ტიგროსი, ევფრატი, და არა ერთ-ერთის ძველიმდელი შერქმევა — მგონი „ბურანუნა“, — ეს გადაწყვეტილება შედარებით-დღევანდელ (XX) საუკუნის მეცნიერთა სწორი მიგნებაა, როგორღაც ახლოს დგას სიმართლესთან, და მიუხედავად იმისა, რომ,

„სიმართლე ვინა თქვაო? — ბალღმა და მთვრალმაო“ — რაც არ უნდა იყოს არაა ეს მთლად სწორი რადგან წარსულის მეცნიერულად მკვლევარი ხანდახან სულაც არაა მთვრალი,

ხოლო სიმართლისათვის, გინდაც ძალიან ბუნდოვანისა და ამიტომ როგორ ამაფორიაქებლის, ძიებაში, კარგადაც-ძველი ადამიანები იმთავიდანვე აგებდნენ მარტივ და სადა, უბრალო სალოცავებს, მერე — ტაძრებს, ასე მაგალითად ერიდუსი, ანუ როგორც მეცნიერებმა შეგვითანხმეს აბუ-ბახრეინის კულტურისას (IV ათასწლეული) ადამ-იანებს აუგიათ მოზრდილი ტაძარი (სიგრძე — 26, 5 მ, სიგანე 16 მ), ხოლო სხვაც დიდი ნაგებობა, ანუ მითომაც ხსწორაგზაზედ დამდგარი პუტ-ვინ-„ბელადი“ს (ამადიმდროინდელი პერეზიედენტ-პრეზერვდენტის) დიდად სქელკედლებიანი და „კეთილ“მოწყობილი სახლი (— რამდენისათვის დაუდიათ ან ჩაუფიქრნიათ მთლად უმაღლესი-სასჯელი იქა, იმ-სასახლეში...) ბეჩავ-შეძლებულ ცილდაწამებულ ცრუ-მოვალეთა ანუ „შეწერილიანთა“ დიდად მოწველით დიდ-თანხებისა? უბაიდურსა დასახლებაშიც აუგიათ „ბელადი“ს სახლი ანუ უბრალოდ — პ„რეზიდენცია“ რითაც ბელადი აღბათ კმაყოფილი დარჩებოდ-დარჩომილა ხოლო ბელადის-სიტყვა როგორც წესი, ეს? — კანონია, თუნდ დროებითად რაღაც ვადამდე გარკვეულად სჭრის მინამდისინაც გადმოუყუდებიათ,

„ნთავს მონვჭრი ნმე მანგას, ნდავბრიდამ ჩემი-ვისიმე ნხელით გენლა-პარაკები შენ“, — ასეც იცოდა თქმა და ამბობდა ამას ჯერ კიდევ როდის თავად ანიჩქა, მცირე ბელადი, დიიდი ბელადი კი — ვითომც ნოე იყო მაგრამ თავი გავიმხნევოთ, ვიმხნევოთ იმით, რომ, მიუხედავად ატლანტიდელებისა —

„საღორეში დაბადებულ ხბოს ღორს არ დაუძახებენ“, —

სწორია, რას ერჩი,

ხოლო იმ ძველდროინდელებს მთლად აბსტრაქცია ეგონათ სწორედ ის თუ ვინმე ბრიყვი (— მართლაც!) გაბედავდა და იტყოდა რომ იმქვეყნიური ცხოვრება არ, არ არსებობდა — და რამდენის სწავლა გვმართებს იმ ურწმუნოებისაგან, როგორ მრავალ-სახალხოდ გათათხულებისაგან ჩვენ რომ მაღლიდან „პირველყოფილებს“ ვეძახით, კი, რომლებიცა რომ მარადიული ცხოვრების ნიშნად ძნელი ხელებით, მორიდებულები, ორსულ ქალებსაც რომ აქანდაკებდნენ და ჩორკნიდნენ თავ-თავიანთებ ქვე-ყანებში,

მაგრამ, ბეჩავებიც, ძალიან ადრე, აგერ-ჩვენსავით ცრუმორწმუნეებიც იყვნენ:

ასე მაგალითად, რაიმე სარკისადამაგვარი ანდა მსგავსი თუ გატყდებოდა ეგონათ ვინცკი იყო იქ როდესმე არეკლილი, ყველა მოკვდებოდა ძალიან მალე და არა როგორც წესი, ეს — შემდგომ, ძაანაც, გახევდებოდა, მინამ რაც გინდაც მაგრამოძრავი,

და ზოგ ცხოველებს კი იმიტომ ხატავდნენო — ამბობს მეცნიერება, — რომ ეს იმათი შეშინაურების გაადვილებისათვისო

ხოლო

ნადირობის ამბები იმიტომაა გამოხატულიო ამბობს კვლავაც მეცნიერება, ჯერ კიდევ „პირველყოფილების“ მღვიმეებშიო რომ წარმატებით ენადირნათო ისევაც ამბობს-ასე მეცნიერება

მაგრამ,

მეცნიერებასთან, რომელიც ამას ამბობს

დიდი ბოდიში და,

ეს,

პირველ რიგში,

თავი და თავი ხელოვნებისა ხელოვანებისაგან მთლად უუწინარეს რიგში? —

შედევრებია,

ადამიანთა, გინდ პირველყოფილი ეძახეთ და ეგრეთწოდებულ „ცხოვრება“შიაც „ჩამორჩენილთ“, და მაგრამ მათი სულის მთავარ კუნჭულში ჯერ აღმოცენებული ყლორტად და აბარომელი ბაობაბი და სამუმი, მერე, —

ნეტა, ეძახდნენ კია იმათა, „ჰავანგარდისტი“-ებს? — არა გვგონია, ხომ... იმათთაგან მთლად ნაღდებს სუარაფერში ენაღვლებოდათ დახარისხებებ-წოდებები, ხოლო იმათმა კი, ვითომდაც-ბეჩავ პალეოლითელებმა ეგება სულ რომ არაფერი სულ ვერ იცოდნენ ჭრელაჭრულების ლაპარაკი... მაგრამ ხატავდნენ!

ხოლო რწმენა კი, ჩვეულებრივებს, რიგითებს ისე ჰქონდათ რომ — თუნდაც მარტივი მაგრამ მართალი გონებისა და ხელის და თვით სულისა-ხელთა ცეცებითი, ისე ჰქონდათ და,

ისე სწამდათ რომ თავიანთი მორიდებულად მოუხეშავი შესაძლებლობებით დასახლება თეფე-ჰავრაში (შუამდინარეთი) ჯერ თუ შედარებით მცირე შენობა — 10, მ X 7 მ, აუგიათ, მერე და მერე მთლადაც დიდი აკროპოლი აღუშენებიათ იმ დასახლების შუაგულში რომლის ათასკვადრატულმეტრიან ფართზეც სამი ისეთი ტაძარი მდებარეობდა მონუმენტურ-ს რომ უწოდებენ, და რომელ-ანაგებობითაც პირველ რიგში ე.წ. „წარჩინებულები“ სარგებლობდნენ დიდად საიდუმლოებითა და შესაწირავებით მოცულ-მოსილი ქურუმების წყალობითა თუ შემწეობით თუ რაღაცა კიდევ სხვა...

ხოლო ესი-ეს ცრუ-რწმენები? დღევანდელურიც? —

„საძირკველში ჩადებული მრუდი ქვა მთელ კედელს გაამრუდებსო“ — ამბობს-ასეცა დღეს საქვეყნოდ დიდად ცნობილი ინჟინერ-სპეციალისტი., რაც, დარჩეს ჩვენში და, ყოველთვის არაა სწორი, —

ასე მაგალითად ვითომდაც კულტურულობით „მაღალგანვითარებული“ ინკების (— ისემც...) რომლებმაც თურმე იცოდნენ-თუმცა რაღაც-რუღაცებ განვითარებულად გინდაც მზის სისტემები მაგრამ რად გინდა — რომლებიც თურმე ადამიანებს (— მხოლოდღა ტყვეებს? მონებს? — არა, თავისიანებსაც!) მკერდ-გაპობითი გულ-მთლად ამოცლით მსხვერპლად სწირავდნენ გაქვავებულ თუ გაშეშებულ მითომდაც პირქუშად მაღალ (ეს სიგრძით, ოღონდ ისე-მართლა მკვდარდაუსულო) კერპებს და ხოლოკი მერე მსხვერპლს გულის შემდეგ მთლიანად შჭამდნენ მთლად უკულტუროდ (— უდანაჩანგლოდ), ხოლო მართლაცდა მეტადაცკი ამაზრზენია ის, რომ, უკანონო შვილებს (თავად ხომ დიდად კანონიერები, იყვნენ — მზისა სისტემის გარდა ვარსკვლავებსა და მთვარესა და ასე შემდეგთ, უჭვრიტინებდნენ, თურმე) თურმე ჯერ ისე უვლიდნენა რომ ცივ ნიავს სუარ აკარებდნენ ასე 10-დან თორმეტ წლამდე, მერე კი, კარგა-ძალუმად რო გაასუქებდნენ, უკაცრაული პასუხი კია და, მაგრამ, შშჭამდნენ,

მერე კი სულაც სხვა რელიგია დაფუძნდა ინკების მიწა-წყალზე და თუმცა ისინიც არანაკლები ბოროტმოქმედები ოღონდ სხვა ჟანრში, იყვნენ, სწორედ იმათით დიდგაცილებითაც კი უმჯობესი სულაც სხვა რელიგია დაფუძნდა ინკების ყოფილ სამფლობელოში,

ეგება-მართლა წინწინ მივდივართ ოღონდ სათუოდ,

აბა სად იყო, სადა ჰქონდათ დიდ-მასობრივი განადგურების შექმნის თავი პირველყოფილებს და თუგინდაც მზისამჭვრეტ თუნდაც ინკებს, და ვინ რა იცოდა ლაზერისა (ოღონდ მომსპობის), და კალაშნიკოვის ავტომატი-ხომ, კანფეტია, კი, სხვა ძაან დიდძალ-იარაღებთან შედარებით მაგრამ იმითაც, „დიდ-ძალი საქმე“ უამრავად გაკეთდა და კეთდება-კიდეც, და სულაც ვერა-პოლიტექნიკოსები ხომ ვერასოდეს მივხვდებით რომ როგორ უბრალო, მრგვალხაზობრივი საპატეფონო ფირფიტებიდან როგორ ამოდის მთელი ორკესტრი აუარება საკრავიანა და ეს იქით იყოს და ხოლო XX საუკუნის შუა-წლეების „პადუშკა“-მართლაცკანფეტში რადგანაც ჩვე-ზოგიერთისთვის ბავშვობისა როგორ მთლად კეთილად დამატკბობი — ნეტაი როგორ იდებოდა იმა ჰერმეტიულსა და უბზარში მუქი „პავიდლო“ ანდა ნეტაიროგორ იტენება ატომისა და წყალბადის ბომბა და უარესი იმაზეც კი, ოსვენციმისა გამოგონება-გაშენება ანაცდა ხილტნერს რაზომისი საპოგები ეცვა მაგრამაც... მკმარა!

უხამსობაა ამეებზე უშნო ღლიცინი,

და ღლიცინებში კი დიდადშემჩნეულ ჰოლივუდურებ-პროდუქტებში როგორ ხშირია მახსოვრობისა სრული-წართმევის ნიმუშები — ჩაავლეს თემას, „მომგებიანს“, რადგანაც ამერიკელების რბილად რომა ვთქვათ უმეტესობას კი არა და, საერთოდაც, უმახსოვრობა, რა ძალიან, გვჭირს,

და, როგორ ძალიან მომენატრა „განმარტებანი“, ეგება თქვენც,

ეს იმიტომ რომ, ასეც სწერია, იქ, გველისადმი, იქ, იმ ქვეწარმავალისადმი რომელმაც უნდა

„იხოხე და მტვერი ჭამე მთელი სიცოცხლე“...

და,

„მტრობას ჩამოვაგდებ შენს თესლსა და დედაკაცის თესლს შორის“...

„განმარტებანი“თ, ადამმა ერთგვარად თუმცა მოინანია როდესაც ღმერთს არ დაუმალა თავისი ცოდვა მაგრამ მერე კი, იქვე, იგულისხმა რომ მIსით შეცდა რადგან იქვე უთხრა, თავად ღმერთს, ასეც: „შენ რომ დედაკაცი მომიყვანე“... — „უეჭველი მონანიების მაგიერ ადამი თავხედურად გამართლების უფლებას აძლევს თავის თავს და თავად ღმერთს ერთგვარად ესაყვედურება იმ წყალობისათვის, რომელსაც ადრე სასურველ სიკეთედ მიიჩნევდა“,

და, განსხვავებით ძლიერ-შემდგომი ერთ-ერთი უძღები შვილისაგან, რომელმაც,:

„მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და არღარა ვარ მე ღირს წოდებად შენდა“, —

ხოლო „ადამი ყალბი მობოდიშებითაც ცდილობს თავის გამართლებას, რითაც უფრო ამძიმებს თავის დანაშაულს: „შენი ხმა შემომესმა და შემეშინდა შიშველი რომ ვარ“... და, მერე ის აღნიშნული — „შენ რომ დედაკაცი მომიყვანე“..., ასე რომ, იმ-შვილისაგან განსხვავებით, „ცოდვით დაცემული და მისი (ცოდვის) ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანი (ადამი) უძლური აღმოჩნდა ამგვარი უშუალო და წრფელი მონანიებით (ერთ-ერთიც უძღები შვილისა) რომ ეშველა საკუთარი თავისათვის“,

და რაღა ძალიან დიდად გასაკვირია კაენის მთლადაც აშკარა და თავხედური ტყუილები თვით ღვთისადმი, რომელმაც, როგორც ადამის ხორციელმა შვილმა მამას კარგა-ბლომადაც გადააჭარბა სიცრუესა და ავყიაობაში, ხოლო როგორ ზემაღლად გამომასწორებელი უფლება მოგვიანებით ებოძათ ადამიანებს მამა-ღმერთისაგან და კიდევ თუ ვისგან და, სწორედაც ევასეულთა-ერთის-წყალობით,

გავიხსენოთ, კი:

მიუხედავად იმისა რომ ევაც თუმც არ უარყოფს მცნების დარღვევას, მაგრამ პასუხისმგებლობას სხვას აკისრებს — „გველმა შემაცდინა“,

მაგრამ მამა-ღმერთი თავის უმკაცრეს სიტყვაში ევასადმი „ბიბლიის განმარტებანი“ს მიხედვით ამბობს როგორ ურთულესს, დიადად, რამს, გველისადმი: „ის (ევათი დაბადებულები) თავს გიჭეჭყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე“, — ევას ნაშიერი თავს უგმირავს გველს და, ხელოვნებაშიც, იქნება ეს მხატვრობა-ქანდაკება თუ სხვა (მუსიკა, სიტყვა), სადაც ევას ნაშიერი რახშირად თავს უგმირავს ანუ სიკვდილით სჯის გველს ხოლო ევასეულები კი შედარებით ნაკლებად თუმც როგორ დიდად ზიანდებიან — ქუსლი ეგესლებათ, მაგრამ ეს ის მხოლოდ მოზედაპირულო სახეებია, რომლებსაც ბიბლიით მეტად ღრმა აზრის მატარებელობა, აქვთ:

„იქედნეთა ნაშობთა შორის“ („იქედნე — ესე გველი რამე არს, საშო არა აქუს და პირით მაკდება და შვილნი მუცელს გამოსჭამენ და ეგრე გამოვლენ“ — საბა, — გენიშნათ? იმისი (გველის) პირველი ცოდვის ნათქვამი პირი, და მისი „შვილები“?), იმ თავიდანი გველის მიერ ნაშობთა შორის „ღვთის მინდორზე ღვარძლად“ ამოსულია ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე, მტარვალი და დაქცევის მსურველი მთელი კაცობრიობისა — „დიდი მოწინააღმდეგე“, „უკანონობის კაცი“ და „სიკვდილის ძე ანუ ანტიქრისტე“.

და „განმარტებანი“თ როგორი მაღალი, შვებითი-როგორ, გამხნევება ეს, ჩვენი:

„ქალის თესლში პირველ რიგში იგულისხმება მთელი მისი შთამომავლობა — ადამიანთა მოდგმა“, რომელთაგანაც ამაღლებულები, „კეთილგონიერი წარმომადგენლები ენერგიულად ებრძოდნენ და ებრძვიან დედამიწაზე არსებულ ბოროტებას. და ბოლოს, წმინდა წერილი იძლევა იმის საფუძველს, რომ მათგან გამოვყოთ ერთი დიდი შთამომავალი, ქალის მიერ შობილი შთამომავალი“ შეიქმნება ანტიქრისტეს „ძლევამოსილი მოწინააღმდეგე“ და „გველის (მაცდურის, ეშმაკისა) მთავარი დამმარცხებელი“

ხოლო ᲘᲛᲘᲡᲘ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲢᲐᲜᲯᲣᲚᲘᲡ,ᲯᲕᲐᲠᲪᲛᲣᲚᲘᲡ სისხლი და წყალი ფერდში ნაძგერი შუბით პირველად გოლგოთას მთაზე დასაფლავებულ ადამის ნეშტს დაეპკურება და შეეჟღინთება სწორედ იმისაგან, რომელიც ᲣᲓᲘᲐᲓᲔᲡᲘ ᲔᲕᲐ-საგან... —

„ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ! მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა. კურთხეულ ხარ შენი დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა რამეთუ მაცხოვარი (გადამრჩენელი... დიდად ვაი-რომ საჭიროა ხანდახანმაინც ამ სიტყვის ახსნა) გვიშევ სულთა ჩვენთა“,

ასე რომ, ევას ნაკლებ-გაკიცხვაში რა უდიდესი აზრია და ევას ჩვილი ნაშიერები კი, ბავშვები როგორ განსაკუთრებით უყვარდა და მერეც, როგორ უყვარს წმიდა სამებას, ბავშვები, და ადამიანები მაგრამ ვიცვლებით გზა-გზად, ბალღები, და თვით მეორედ მოსვლაზე მეტად... — გადასანცვიფრებელი! — კონსტიტუციები თუ იმისი მუხლ-მუხლებების გამოყენებანი ანუ მაღვალაკობა — უფრო გვახსოვს,

ხოლო შედარებით-დღევანდელი ისი-„დემოკრატია“ ჩვენ რომ გვგონია რომ მთლად თავიდან ძველ-ბერძნებისას ძველბერძნებით მოგვარდა,ოო, და შემდგომაკი ისე გადაგვარდა როომ — მტრისადაავისას!, მაგრამ, ძველბერძნებს თავისა არ ეყოფათ?, ხოლო „დემოკრატია“ს რაც შეეხება, ნუ იტყვითა და,

თურმე

ჯერ კიდევ

როდის

მოუგონ-გამოუგონავთ-გამოუგონებიათ, კი! —

და თუ ურუქის (ანუ ვარაკას — ვერ მოვიშალე ეს შედარებითძველი სახელწოდებები...) ქალღმერთ ინანა-ს — ძველი ვარკას „მფარველი“ს — დიდი ტაძარი (79X29მ) აღმართულიყო, მის ცოტათი ქვემოთ უაღრესად დამაფიქრებელი და დიდად უცხო იმდროისათვის არქიტექტურული კომპლექსი იდგა — იმ ტაძარზე სამჯერ ნაკლებ ფართზე — 600 კვ მეტრამდეა — ეგრეთწოდებული „წითელი შენობა“, ფართო, სქელი კედლებით შემოზღუდული, რომელსაც რატომღაც ორი შესასვლელი (თუ, შესასვლელ-გამოსასვლელი) ჰქონდა, კედლები სამფეროვანი მოზაიკით მოეჭედათ, და, ამ შენობაში იყო ალიზით ნაშენი ამაღლებული ბაქანი რაღაც — „ესტრადა“სი მსგავსი, თავის დროს ალბათ რაღა თქმა უნდა გადახურული რასაც ქვის დიდი ბოძები, კოლონები მოწმობენ,

მაგრამ ვარკას ამ-ადგილისა გამთხრელმა და მათ შორის რაცგინდა თამამმა არქეოლოგებმა მთლად გადაჭრილად ვერ დაადგინეს თუ რას ემსახურებოდა ეს შემაღლებულობაიანი ანსამბლი, და მხოლოდ ვარაუდად გამოთქვეს რომ ეს უნდა ყოფილიყო ხალხის სახალხოდ შეკრების ფართი რომლის ხსენებულ შემაღლებულობაზეც სხვადასხვად ჭრელი „დამსახურება“თი გამორჩეული საბჭო, გნებავთ „საფიხვნო“ (გავბედოთა და შევიშინაუროთ დემოკრატია უნდა) დაბრძანდებოდა ხოლო მთავარი ქურუმ-საფიხვნოელი და ჯერ ალბათ ან ნაღდათ-ცალკე მოეთათბირებოდა რაიმე ალბათ მწვავედ მნიშვნელოვან საკითხზე საბჭოს (— ვაიმე...) და მერე, საბოლოო დასკვნა-გადაწყვეტილების შემდგომ, ქვემორე-მდებარე ხალხს (— ვინ იცის, იდგნენ? იწვნენ? მუხლმოყრილებიც იყვნენ, ეგებ...) მხოლოდ მერეღა დაეკითხებოდნენ ამა თუ იმ საკითხის საფუძვლიანობასა თუ უარყოფას ხოლოკი დემოკრატიული ხალხი, დემოსი ამაზე მძლავრად დაიყვირებდა ან „ხეამ, ხეეააამ!!!“-ს (ანუ: „დე იყოს, იყოს ანგრე“ — შუმ.) ანაცდა, ზოგნიც მთელის გულითა ოპოზიციურად გაჰყვიროდნენ „ნაამ, ნააააააამ!!!“ (ანუ: „დაე ნუ იქნება ასეე!“), ხოლო ზოგნებიც თავ-არაასატკივარნი ფრთხილობითა? — დაქვემდებარებულნი შიშს, მორიდებით ჩურჩულებდნენლა „ნაამსსუსუ-ნაამ, ჰ-სუუ“,

„ნტყუილიაა, ნკიი, ნლნდემონკრატიის ნლირიქქ-რამე ნლრო ინყვეს ნლრამე ნმთელ ქვეყუანალყზე ამე-ამნჩვენლქი დემონკრატიის, ფასი“, — ამბობდა-ასე ანიჩქა და კინტრიკიკოც ანდაზურადვე უმოწმებდა —

„არ ააფრინო ალალიო რაც არ არი... ეე, არა! — არამედ დემონკრატია არი რაც არიო“,

რითაც? — ანიჩქასისი დადებითსა შეფასებასა, იმსახურებდა:

„ნკარგ მნთქმელს კარქი... ეე, ნკარქლი ნგამგონე უნნდაო-ღქ“, —

ყური და თვალი და გული ეწვოდა, ნოეს,

ხოლო მსგავსი შენებულება ძველ შუამდინარეთში სხვა არ იყო, რაც ალბათ იმას მოწმობს რომ ეგრეთწოდებულ ბელადწინამძღოლისა გაძლიერებულ-შეძლებისა განძლიერებით და ამისაგან გამომდინარე გავლენის დიდად გაზრდით სახალხო კრებები ანუ დროებითული დემოკრატია პირისაგან საფიხვნოსი აღმოფხვრილ-იქმნა — და სულაც ვეღარ იცავდნენ რასაც კანსტიტუცია და იმასშია შემავალი ლაქლაქი ერქვა და ალბათ იმიტომაც ეგრევე-აღიკვეთა რომ სხვა თუ არაფერი, — „რაც არ ექნას მამაშენსა ნურც შენ დახევ მარმაშებსა“. —

ჩამოაყუდეს, გადმოგვიყუდეს-მოკლედ, დემოკრატია-ისი, და ბელადისა არამცთუ ის რომ

„რაც არ უნდა მინდისაო, ყურში მძიმედ მისდისაო“

არამედ მძიმედ კი არა და არც ცალყურშიაც არ უშვებდა და მეორიდამ კი აბა როგორღა გამოუშვებდა პირიდანულსაც დემოკრატიას ვარკას ბელადი-„მესვეურული“ რომელიცა რომ დემოკრატიაც სუვეღარ იყო რაღა თქმა უნდა კანტუტუცია... ეე, კონსტიტუციურისაა, გარდა,

და, გაგვიგრძელდა ასეც — „რაც მამა, ის შვილიო“ და, რაღაღ ექნათ, ოპოზიციაც-ხო განსაკუთრებით დაიფრინეს და ძალითა და თან ტექნიკურად რადგან ტელევიზატორებში მგზნებარ-გამოსვლების უფლება და თავიანთი ბელადების თათხვა კი გულის ქავილისადადამაშოშმინებელ ფხანვად მაინც კი არა თავისსანებსითაც დაუტოვეს და თელიხალხიც მხოლოდ ამითღა ინათლებდა და კი არა და, იფხანდა გულს და დარჩნენ ასე, ბეჩავები, გულისმოფხანით მთლად გაცუცურაკებულები, გინდაცდა ცრუცკი-უდემოკრატიოდაც, კი; რას გააწყობდნენ:

„რაც უნდა ქნას თვალმა, წარბს ზემოთ ვერ წავაო“ —

წარბები კია ნაღდათ თვალებზე ზემოთ იყო (იხ. ბრეჟნევები მაგრამ სადღანაა...)

და, დაა, დადუმდნენე,

მაგრამ ორიც დიდად ცბიერი და გამჭრიახი ბელადის ნდომით? — ისევ და ისევ, ძალითაც კი აალაპარაკ-მითომც-აასკანდალეს, რათა იმ უხილავი ფხანებითა უფროდაც მტკიცეთთ შეენარჩუნებინათ ძალაუფლება — „ვინც რაც არ უნდა და რაცგინდა თქვაასო წისქვილმა კი — ფქვააასო“, საოპოზიციო-პოზიციურად ამაში ადრეც შემჩნეულები მაგრამ აქა-იქ ხმაგაკმენდილები, ახლა, — „ხალხი ბრიყვია და და თქვენ რომ ჩვენს საწინააღმდეგოდ რამდენსაც გინდათ იმდენს იტყვითდაიტყვით მით უკეთესი თვალსაჩინოურ დემოკრატიითვინა და რაც უფრობევრ იტყვით (რაგავაჭირე ამ „იტყვითიტყვით“ით, საქმე) მით უკეთესი რადგანაც ამით (ამას კი უკვე მხოლოდ გულშიფიქრობდნენ) აქავებულ გულს უფროდაც-უფრო კმაყოფილურა თვითდაჯერებით თავის თავისა დამკვიდრებადჰეჰ დასამტკიცებელ დამტკიცებულებადჰიჰ მოიფხანს ხალხი-ფიჰიჰ თავის-ენების ქავილითაო (მაინც რამდენჯერ და რამდენი „ქავილია“, ფიჰ!..) მთავარია რო ის მკვეთრი საქმე არ აკეთოთ თლათარაოდეს რომელიც ჩვენსა ჩამოსაგდებათ ერთადერთიაო (ყოველთვის არის ასეთი საქმე-საშუალება, კი) თორემ ხოიცით დაიბრიდებით არამედ ხოლოთ ფინზიკურათ უფროდაც მეტად ვინემი-მოყმერობესპიერი და განა იქნება ესი დანაშაულ-ჩვენი რადგან აბა რაღ დანაშაულია ჩვენი ესჭამაყლაპა და სასახლეები და თქვემშიერებმა და უჭეროებმა კი ისეც გიქნიათ გულებიც მთლადაც ჩამოგიფხაჭნდაგიკოდიათ ფხანვებითაო (—ა! — კიდო, კიდო...) და თანკი იმასაც იგრძნობთ მერედამერე რო არახსწორნი ხართა, ხაართო და, ძაანაც მიყუჩ-მიჩუმდებითა, კიი, დარცხვენილები თქვენის ბრიყვობით და ჩვენა კია ამასობაში მთლად-ისე ძლიერ განვძლიერდებით, რომ მერე ჩვენი გადმომყუდებელი აბა ვიღა-ღა იქნებაო (ასე რომ, ძველსაბერძნეთში უფრორე იყო და მოზრდილ-ხანსაც დემოკრატია თუმცაღა იქაც კაიგოთურნებიც არცთუ ცოტები ერივნენ, იქა...)...

და, უფროც უფრო წარსულშიაც, ასემაგალითად ვითომაცა და „მე, დიდად უკვდავი აანეპადა, ურის პირველი დინასტიის მეოთხე მეფე და უძლეველი და უებრო მეომარი ოღონდაც გრძელნით ოთხივე ფეხით (რომელს არა გვაქ თითო-ოროლა გადაჭარბებულად ოთხფეხა ნაკლი) ასეთი კარგა-სხარტი და ენასხარტულა კი ვაარ და მაგრამ მაგრაკოჭლიცა ვაარ (— ტყუილი, ტყვილი...) და მეორე ხარისხის ინვალიდი და ბრძოლებშია უშუალოდ ამიტომაცაა აარ მივდივაარ,ო, და ამიტომაც პირადად პირულ-ხელებით კარგა ვიბრძვიოო (სურო არაფერი, აკი ოთხფეხი, იყო,) და იმტვრიეთ ვისაცკი გინდათ ამაზე თავცხვირ-პირი-ო“,

და,

შეიქნა თუმცა ერთგვარად დიდი ორომტრიალი ოღონდაც მეოთხ-ბელადისა მთავარ საქმისა მთლადაც რვალივით არა მაგრამ სუცოტა თხლესავითმაინც, სწორედაც თხლეთი როგორძალიან განმმტკიცებული,

ხოლო ურელი თვითმმართველი აანეპადა ასე

ფიქრობდა ისევ, და ისევ:

„ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვაასო და თუგინდაც სუარარარა ფქვაას ჩემკბილებისგან, განსხვავებითაო“, და

შუბლსა და პირზე და გულზედ რიგრიგობითე იდებდა თითებს და თავისსა კერპს, გინდაც მცირედი მოხრილობით, თაყვანსა, სცემდა,

ხოლო ყველაზე ნამდვილი გინდაცდემოკრატია როგორც ეს უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ იმჩვენ დამთარსავსა საბერძნეთში აღმოცენდა, კი, და ტყუილი და ცილისწამება იქით იყვოს და სათანადოდ ვერშეფასებაც იქით იყვეს-ეს და გინდაც წარმართულ იმ-საბერძნეთში ისე დაფუძნდ-და-გამყარდა რომ არცთუ მანამდე და არამედ არცაც შემდგომ დღევანდელსაც კი (— XX-XXI სს) დღესაც სულაც ვერავინ მოვსწრებივართ პრაქტიკულადა თეორიულსა დემოკრატიას რამდენრამისა მთლად უშედეგოდ მაძიებლები, ჩვე, ხოლოკი მძანფრი ანიჩქა და მისი კუდი კინტრიკიკოი ხანდახან სადღაც იკარგებოდნენ დიდ-საიდუმლოდ და მერეკი ვითომდაც ლაღი და უდარდელი სიცილ-ღიმილით-ჰალალით-ვითომდაც გამოჩნდებოდნენ ხალხში ოღონდ რატომღაც სახეძალიანთუოდნავ-მაინც შერუჯულები,

და,

თუმცაღ ანიჩქას ღიმილი და სიცილიხო კარგა-უჭირდა და მისსა გარდა დემოკრატია-ზედ თუმცა კი ბევრზედაც ბევრი ცოტარესობა ილაყაფებოდა ატლანტიდაში მაგრამ იქანა იქოურებს სახის მოხატვა ჭრელისფერებით ბევრადაც უფრო ეპიტნავებოდათ, — რა, ცუდიარიო ეს, იტყვით განა?

დაგცდებათ — „არა“? —

არა,

და,

დავიჯერო რომ, დღევანდელმა ფეხბურთის „ფან“-ებმა ისე ზედმიწევნურად იციან შუამდინარეთი, ატლანტიდა და ერიდუ და ბაბილონი და ასე შემდეგ რომ სახეების ასე-ღვარჭნილ სიფათებად მათგან ისწავლეს ეს და გადმოიღეს? ჩვენ გვგონი, არა, ისე კი დიდად უცნაური პირადობისა მოწმობაებიანი — მოხატულობით, — ხალხია ესი ფანები — ასე ერთერთსა, მაგალითად, თვით მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ანუ დასასწრებად და სანახავად ზე-კულმინაციურ მატჩზე, მატჩისას ისეთი დიდი რომ ორ-ადგილიანი საჯდომისათვის დასაჯდომზე-იმ ძალიან დიდი დოლისათვის (— ბარრრაბანი?) ფართი ანუ იმიანა (დოლიანა) სამი დასასაჯდომო დაუკავებია ეს მაშინ როცა ერთიღა ბილეთის საფასური მთელი 5 ათასი დოლარი (ამერიკ.-ფულის ცნობილი ერთეული) ღირდა, და, სახეც კარგამაგრამიმოთხაპნულს, ერთხელაც კი არ გაუხედავს მწვანე (ეს მართალია) მინდვრისაკენ რადგანაც ირგვლივ და ზევით განლაგებული თავისი თითქმისადა ტიტლიკანა მაგრამ სამაგიეროდ მატყლივითე-სქლად სახე-დასაღებავებულნი თანამემამულეები ჰყვანდა და მისით იმისაკენ კი (სა-საფინალო მწვანე მოედნისაკენ) ზურგითღა იდგა და ეს, თუ რატომ? იმიტომა რომ იმა დიდის განუწყვეტელი მთლადაც მჭეხარი და დიდადგუგუნა ბრაგვანით ისე ძალიან რომა იქ კიარა და, მთლადაც-აქეთ რამდენ ათასსა-კილომეტრზე მყოფთ ტელევიზორითაც ორთავე ყური ისე გამოგვჭედოდა აი ისე რომ როგორც რო ლამის ლ. კ.-ს — შალვრებსა, ფული,

და ესა კი თურმე იმისათვის რომ მისის გუნდისა ფანებს უმფრო ეფანათ, —

გადასარევი, —

სასტაული, ჰოჰხ!,

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ



ნუგზარ ზაზანაშვილი

* * *

კაცობრიობა რომ მხოლოდ
homo quadratus-ების ნაკრები იყოს
რა იქნებოდა

რა იქნებოდა და
სამოთხე
სამ-ოთხ-ე

ასეთი აზრებიც მეწვევიან ხოლმე
სექტემბრის თბილ საღამოს
სეირნობისას

ვათვალიერებ გამვლელებს
ვცდილობ ამოვიცნო
კვადრატული ადამიანები
სხვა მართკუთხედები მიშლიან ხელს
თვალში მეჩხირებიან:
ფასადები
ფანჯრები
ვიტრინები
ფირნიშნები

და ის თავთუხისფერთმიანი
ბალახისფერმაისურიანი
ნაცრისფერჯინსიანი
ყმაწვილი ქალიც ხელს მიშლის
ავტობუსის გაჩერებაზე რომ დგას
ცალი ფეხი მუხლში ოდნავ რომ მოუხრია
ტერფი განზე რომ გაუდგამს
ბალეტის მოცეკვავესავით
მობილური რომ მიუდვია ყურზე
და რომ იღიმება

* * *

როცა ელოდები ქუჩაში
შორიდან თვალს მოკრავ
შენკენ მომავალს
და
გული აღარ შეგიფრთხიალდება
დამფრთხალი შურთხივით
მაშასადამე მაშასადამე
მაშასადამე მაშასადამე

* * *

აგვისტოს ღამით „დაკატაობენ“ ქერათმიანი
მამა-შვილი ველოსიპედებით ვაკის პარკში.
ქართველებს არ გვანან. მამა ასე 35 წლის
იქნება, შვილი — 6-7-ის. მამა დიდი
ველოსიპედით კატაობს, შვილი — პატარით.
წითელ ქვიშიან გზებს აუყვებიან და
დაუყვებიან, შადრევანს წრეებს არტყამენ.
ბიჭი როცა იღლება, ჩამოქვეითდებიან ხოლმე
და სკამზე ჩამოჯდებიან, წყნარად საუბრობენ...

რატომღაც ენაზე მადგება —
„სულისშემძვრელი,“

რაღა რატომღაც —
უთუოდ ჩემი დეპრესიულობის გამო.

შეჩერდი, შე...
შეჩვენებულო
წამო.

* * *

ქალაქური ღამის სტანდარტულ — აქა-იქ
ავტომოტოხმაურგაჩრილ — სიჩუმეს არღვევს —
საბჭოთადროინდელი, სტანდარტულად უსახო
სახლის მე-9 სართულზე, სტანდარტული
ბინის სტანდარტულ აივანზე, მაინცდამაინც
ჩემი სტანდარტული ბინის სტანდარტულ
აივანზე, მოკალათებული — ჭრიჭინა:
ჭრი-ჭრი-ჭრი ჭრი-ჭრი-ჭრი —
ჭრის ავტომოტოხმაურგაჩრილ სიჩუმეს
შეჩვეულ ყურს.
ჭრი-ჭრი-ჭრი ჭრი-ჭრი-ჭრი ჭრი-ჭრი-ჭრი —
სულის გამაწვრილებლად ჭრის!
ჭრი-ჭრი-ჭრი ჭრი-ჭრი-ჭრი ჭრი-ჭრი-ჭრი
ჭრი-ჭრი-ჭრი —
ყოვლად აუტანლად ჭრის!!
ჭრი-ჭრი-ჭრი ჭრი-ჭრი-ჭრი ჭრი-ჭრი-ჭრი
ჭრი-ჭრი-ჭრი ჭრი-ჭრი-ჭრი —
რა დამაძინებს ამ ღამით!!!
ჭრი-ჭრი-ჭრი ჭრი-ჭრი-ჭრი ჭრი-ჭრი-ჭრი
ჭრი-ჭრი-ჭრი ჭრი-ჭრი-ჭრი ჭრი-ჭრი-ჭრი —
ეს რა უბედურებაა!!!!
ჭრი-ჭრი-ჭრი ჭრი-ჭრი-ჭრი ჭრი-ჭრი-ჭრი
ჭრი-ჭრი-ჭრი ჭრი-ჭრი-ჭრი ჭრი-ჭრი-ჭრი
ჭრი-ჭრი-ჭრი ჭრი-ჭრი-ჭრი ჭრი-ჭრი-ჭრი —
და ჩემში ნელ-ნელა იღვიძებს ერთ-ერთი
პირველყოფილი ინსტინქტი...

* * *

მიხეილ ქვლივიძის პოეზიის ბოლო საღამოზე

ლექსებს კითხულობს სცენიდან
80 წლის პოეტი
უკვე ორი საათია კითხულობს
დაღლა ეტყობა
მეტისმეტი დაღლა
ძლივსღა ლაპარაკობს და მაინც
„ერთ ლექსს კიდევ წაგიკითხავთ“
თითქოს ეხვეწება მსმენელს
„ერთ ლექსს კიდევ“
აღარ ახსოვს დაღლა
აღარ ახსოვს რომ სცენაზეა
რომ მიკროფონში უნდა ილაპარაკოს
რომ უკვე ორი საათი გავიდა
რომ დღეს 80 წელი შეუსრულდა
ის ხომ ახლა იქ არის
იქ სადაც მხოლოდ დროა
ანუ დროც აღარ არის

„კიდევ ერთ ლექსს წაგიკითხავთ“
და კითხულობს კითხულობს
ლექსებს კითხულობს
ლექსებს
ლექსებს
ლექსებს
80 წლის პოეტი
60 წლის პოეტი
40 წლის პოეტი
(...)

* * *

შვილიშვილს

რა თქმა უნდა
სათამაშოების
შოკოლადის
ფერად-ფერადი ბუშტების
კარუსელების
გამო
ნაცარქექიას
წიქარას
ხუთკუნჭულას
ჩხიკვთა ქორწილის
გამო
ჭკვიანი ჰანსის
წითელქუდას
ჩიპოლინოს
პინოქიოს
გამო
მფრინავი ხალიჩის
ჯადოსნური ლამპარის
ჩექმებიანი კატის
ფიფქიას და ალისას
გამო
გუნდაობის
ციგაობის
ნაძვისხის
თოვლის პაპის
გამო
პატარა ტალღებთან თამაშის
კენჭების შეგროვების
ქვიშის სასახლეების შენების
გამო

აბა
სხვა
რის
გამო

* * *

ეს ხუჭუჭა, ქერათმიანი, პატარა ბიჭი
ორი წლის წინ არსად იყო, ახლა კი —
მშობლებთან ერთად — სტამბოლიდან
ჟენევაში თვითმფრინავით მოგზაურობს,
თან წამდაუწუმ სავარძლიდან
გადმოხტომას ლამობს, ჩემკენ იხედება
და მიღიმის... სიცილსაც დამაყრიდა —
ასე გაუნძრევლად, ასეთი სერიოზული
გამომეტყველებით რომ ვზივარ საფრენ
აპარატში... უბრალოდ — სიცილი
ჯერ არ ეხერხება...

* * *

რა სჯობია ჩაქვისთავს,
ჩვენს პატარა ღელე-ღურდანს,
ამ ტყეს,
ამ წყალს,
ამ წყლის წისქვილს,
ამ ასწლოვან ოდას თუნდაც?
რა სჯობია წაბლის თაფლს,
რა სჯობია თაფლის არაყს?..
მჯობნს მჯობნი არ დაელევა —
ვიცი, კარგად ვიცი, მაგრამ
მაინც
რა სჯობია ჩაქვისთავს,
თავის თავს რომ ძალიან ჰგავს?..

* * *

ჭიკჭიკებდით,
ჭიკჭიკებთ და
იჭიკჭიკებთ მუდამ,
იმიტომ რომ თქვენ რაც გინდათ —
ბუნებასაც უნდა,
ასე უნდა,
ასე მოსწონს,
ასე არის კარგი,
განა ყოველს გააჩნია
ნახაზი ან თარგი?
ჭიკჭიკს ახსნა არ სჭირდება —
ჭიკჭიკებს და მორჩა!
ვინ ჭიკჭიკებს,
სად ჭიკჭიკებს —
მოჩანს და არც მოჩანს.
ჭიკჭიკი არ
მოგბეზრდება,
ჭიკჭიკი არ
დაგღლის...
ვაგლახ, ჭიკჭიკს ვერ ვახერხებ,
დავყეფ, როგორც
ძაღლი...

* * *

...უფრო ადვილი წარმოსადგენია
რომ შენთვის ასე ძვირფასი ადამიანი
უხილავ ფრინველად იქცა
და სადღაც ამ ცის იქით ბინადრობს...

* * *

ხომ არ მივაკითხო,
დავეკითხო მკითხავს:
როდის მომიკაკუნებს,
როდის მომაკითხავს
ის, რომელსაც უჭირავს
ჯადოსნური ცელი —
ხან რომ მიქაელია,
ხან რომ გაბრიელი,
იქნებ ურიელია,
იქნებ ვინმე სულ სხვა...
ერთი ვიცი — სულების
შეგროვება უყვარს.

მეც ვაგროვე რამე-რუმე —
ერთხანს მეც დავავადდი,
ანუ კარგად ვიცი — რაა
შეგროვების აზარტი:
აგროვებ და
აგროვებ და
მაინც გეცოტავება,
ახალ-ახალს ეხარბები —
ახალი არ თავდება!

ჰოდა, როგორ გავამტყუნო
მოთამაშე ძველი —
ხან რომ მიქაელია და
ხან რომ გაბრიელი?..

მე უბრალოდ მინდა —
შევუმზადო სული:
დახვდეს საღსალამათი,
მორთულ-მოკაზმული!

* * *
ცნობილი ამბები ცნობილი სტილით

10 წელს — კიდევ?..
ჰა-ჰა — 20-ს?
ჰა-ჰა-ჰა-ჰა — 30-ს?..
ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა —
ცოტაა...

ცოტაა თუ ბევრია,
ცხადი მხოლოდ ესაა —
ხვალ ვერასდროს ვიქნები,
მე ყოველთვის დღესა ვარ...
10 წელი დღეის დღე,
20 ან 30...
ბოლოს გაჩერებული
დაიძვრება საათი...

და ასეც:

თვალთმაქცობაც ოდითგან
სიბრძნის ერთი დარგია...

მიწის ქვემოთ — ცუდია,
მიწის ზემოთ — კარგია!..

* * *
იძულებით მოძუნძულეებს

ბევრი ვსვი და ცოტა ვწერე...
დრო სულ უფრო სწრაფად მირბის:
როგორ გამითეთრდა წვერი,
როგორ გამეზარდა ღიპი!
ჰოდა, მორჩა — ამიკრძალეს:
წნევა მიწევს, გული მტკივა —
უნდა მოვერიდო ქალებს,
უნდა დავივიწყო „პივა“,
არაყიც და თეთრი ღვინოც
(მხოლოდ შავი — ისიც ოდნავ),
დილაობით გავირბინო
2 კმ, სტადიონთან
მივძუნძულდე, ვივარჯიშო,
მოვძუნძულდე მერე უნდა —
იყოს ხვატი, იყოს ყინვა,
თავს დამატყდეს სეტყვა თუნდაც!
არც — ჩანახი და არც — ხაში!
სიგარეტი — აპ-პა-პა-პა!
აბი — პირში, ოყნა — ტანში
და სუფთა ჰაერის ყლაპვა!

ვირბენ შუქში,
ბნელში ვირბენ —
ცა რომ სულაც ჩამოიქცეს!..
თუმცა...
მალე ხომ ისედაც
გავექცევი დროს და სივრცეს?..

ნინო სადღობელაშვილი

ცისფერი პერანგი

მზის ფოთლები მჭვირვალებენ გუმბათების ჩრდილში,
იასამანს ცისკენ გააქვს ლაჟვარდების ბოლი,
დგახარ მკლავებგაშლილი და შენს მოღობილ სივრცეს
გაზაფხულში უღვივდება ნამიანი ბოლო...

ბზის ბილიკზე ბავშვი მორბის, შენი მოძმე თუა,
მუჭით მკვდარი ჩიტი მოყავს — კიდევ გაუცოცხლო,
ამ თამაშებს, უცნაური სიყვარულით მღუარს,
ნაღვლიანი ჯამბაზები ხვალ თუ გაუძლებენ...

შენ კი დგახარ მკლავგაშლილი, შენს ეზოში მზეა,
დედაშენი მაგ თბილ ტანზე ცისფერ პერანგს გიქსოვს,
დგახარ ასე გაუნძრევლად, მერამდენე დღეა,
დილის ღრუბელს გაზომებდნენ გასაფრენად თითქოს.

დედამ მკერდიც აათავა, საყელოსკენ მიქსოვს
და მკლავებზეც, როგორც სარზე პამიდორის ჩითილს,
ისე ფრთხილად მოახვია აბრეშუმის სითბო,
ისე კენკა თვალდათვალი, ვით მარცვალი ჩიტმა.

შემოვიდნენ მეზობლები, ჭის ქონგურთან დასხდნენ,
მასლაათით მოიდინეს წუთისოფლის ოფლი,
თან თვალს თქვენკენ აპარებდნენ,
ვერ გაუძლეს — ადგნენ,
თქვეს: ამხელა მორჩილებას რა სიმშვიდე ყოფნის!

დედა მოქსოვს საყელოსაც, ვიდრე გათენდება,
შემოგაჭდობს აბრეშუმის უნაკერო პერანგს,
დედამ იცის, მალე შენი ცეცხლი აენთება,
დრო სიკვდილთან ჩამოსაჯდომს
სამი დღისთვის ზვერავს...

დედამ იცის, ამ პერანგზე ღვინო დაგექცევა,
იცის, ცუდის ნიშანია, ცა თავისას ითხოვს,
დედა ხედავს: თეთრ ღრუბელზე ხელმწიფურად წევხარ
და ურღვევი პერანგიდან სიყვარული გითოვს...

დედაა და, შენს პერანგებს უნდა მოუაროს,
ჯვარნაცვამი შეინახოს, მკერდის ძირში შეფლას,
მერე, ჭირისუფლის წესით, სხვებს ჩამოუაროს,
დაარიგოს, გულით უთხრას, რაც სიტყვებით ვერ თქვას.
. . .
მზის ფოთლებში მჭვირვალებენ განთიადის ხმები,
ბნელ სიზმრიდან იშმუშნება სახლი: დედამიწა,
დგახარ მკლავებგაშლილი და შენს ნაშუქზე ლღვება,
ვისაც მთელად, გაუხდელად შენი სიტყვა ეცვა.

* * *
მთებზე გადმოდგება ჩემი ნანდაური,
მოჰყვება ირმების ჯოგი,
მკლავზე გადაიფენს მთვარის ნართაულებს,
ღრუბელს არ დაუჩოქებს.
ნეტავ რას ვამსგავსო ჩემი ნანდაური,
ეს ჩემი დარდების აღე,
გავუშლი ლოგინად ბალახის სასთაულებს,
და ჭერად — ნეკერჩხლის თაღებს,
საიდან მოვალის შორით სადაური,
შეშურდეს სიკვდილსაც გზაი,
მთებზე გადმოდგება ჩემი ნანდაური,
დახვდება თავისი დაი,
იმათი შეყრისგან ელვით გაავდრდება
და მერე მზით გაიდარებს...

* * *
არ გამოფინო ტკივილის ფარდაგები,
რაც უნდა სიყვარულის ყვავილები
ეხატოს გულზე,
რაც უნდა მშვენიერი იყოს
ჩუქურთმა —
სისხლძარღვების ატყორცნილი ცამდე
ლერწამი,
რაც უნდა ლამაზი იყოს —
სინამდვილის ლურჯ ბალღამში
ჩაწობილი სულის ფოთლები,
სველი ფოთლები,
გაცვენილი შემოდგომა,
მზეგარდასული...
რაც უნდა მრისხანე და
დიდებული იყოს სინათლე —
ფარდაგების ხაოდან რომ ამოასხივებს,
არშიების ბორჯღალებს რომ
თავბრუსხვევით დაატრიალებს,
რომ ჩააქრობს სიკაშკაშით
სხვა ვარსკვლავებს,
რომ ჩაფერფლავს,
ჩააწყვდიადებს...
არ გამოფინო ტკივილის ფარდაგები,
არამედ ჩაწექი მასში და
ოთხივე მხრით ამოიგე,
გაეხვიე, როგორც
თესლი — მიწის საბანში,
თავზეც მისი ჭრელი ფოჩი გადაიფარე,
შენი ცაა, შენი სახლია,
მარცვალი ხარ — ფარდაგებში უნდა
გაღვივდე,
ეგებ მოხდეს — თოთო ფესვიც
ამოიყარო,
და ეგ ფესვი, იცოდე რომ —
გაზაფხულია!

ქარისპირული

მზემ გაგიხსნა დარაბები, დილაო და ნანა,
მოგამზადებთ, ჩვენ შეგმოსავთ, ვარდის წყალო ნანა,
თავზე იას, შუბლზე — ზამბახს, გულის ბჭეო ნანა,
მუხლებს ღრუბლის წვენში გაგბანთ, სალაჟვარდე ნანა...

მიგაცილებთ კარიბჭემდე, შენ არ შეშინდეო,
მინდორზე კრავს გაგაყოლებთ, ჩვენ კი შეგვინდეო —
ამ ნაპირზე იფურჩქნება ჩვენი შებინდება,
შენ კი, ბალახს ფეხს რო დაკრავ, მეტი მოგინდება...

ვარსკვლავებს რომ ჩამოურბენ, ადრიანო ცაო,
არ დახარბდე, ყოველ ჩქერზე ხელი დაუცალე,
მაინც შიშვლად იბადები, სიყვარულის ცალო,
ვერ გამოცვლი იმ შენს ვარსკვლავს,
ცაც რომ გამოცვალო,

უკან აღარ მოიხედო ლურჯთვალება ნანა,
მიგელიან შენს ნაპირზე, ყვავილებით დგანან,
შენზე უფრო ჩვილებია, უმწეონი, ნანა,
მშობლის ენადავიწყებულ უცხო მგზავრებს ჰგვანან...

არ შეშინდე, ციცქნა ძვლებით ამ ცის ხსოვნას გატანთ
და როდესაც ქარი მოვა და ფრთებს შენზე გაშლის,
შენი ძვლები იმღერებენ მაგ სიმღერას ქართან
და იდგები სამყაროში ფრთაგაშლილი ბავშვი.

მზემ გაგიხსნა დარაბები, დილაო და ნანა,
მორჩა დავიდარაბები, მალე გაჩნდი, ნანა...

სიყვარული საყდრისა და კრავის
ლ-ს

მოდგებიან, მოგვიგონებენ:
მთების ქათიბში
საყდარი იდგაო და,
იმ საყდრის წინ
კრავი დარბოდა,
ჩვილი ქუსლით ბალახს თელავდა,
მატყლით ზეცის ბირკა დაჰქონდა,
საყდრის კარი ღია იყო,
ზედ მთვარის ნალი ება,
ელავდნენ ღრიჭოები
თავახდილ გალიებად,
ან კრავს იქ რა უნდოდა,
ვინ რისთვის დატოვა,
სხვა დედას მიუგდო
სანთლიან, გაჭვარტლულ,
თაფლისფერ ძუძუსთან,
თვითონ წავიდა და უფსკრული გატოპა.
ან ვიღა გაიგებს,
რას სწირავს თავს კრავი,
ან ძველი საყდარი
ვის ლოცვას იგუბებს,
დგანან ერთმანეთის ნარჩოლარ
ჩრდილებში
და მზეს იცოხნიან,
როდესაც იღრუბლებს,
და უკიდეგანოდ არიან მარტონი
ტრიალებს მათ თავზე
სიჩუმის ბორჯღალი,
გადაევლებიან ვარსკვლავთა წვიმები
მათ ფიქრებს, მათ დარდებს
სიკეთით მორწყავენ...
მოგვიგონებენ,
მოგვდგებიან,
გადაგვხელავენ,
რომ გვიპოვონ სადმე საზღვარი,
რომელი ვინ ვართ,
მე — კრავი თუ ან შენ
საყდარი,
ან პირიქით,
ან ძალიან,
ან იქნებ სულაც...
უვლია ცას და, ჩვენთან ერთად
სადღაც წასულა...

მარიამ წიკლაური

ზღაპარი სამყაროსა და ერთ ბაჭიაზე

*

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ისეთი დროც, როცა ღვთის გარდა მართლა არაფერი იყო. ღმერთმა ბევრი იფიქრა და გააჩინა: ცა და მიწა, წყალი და ჰაერი, ნათელი და ბნელი, ცხოველები, თევზები, ფრინველები, ხეები, ყვავილები, ტყეები, მთები და მინდვრები. ნელ-ნელა აივსო სამყარო და ნამდვილ და ნორმალურ სამყაროს დაემსგავსა.

გააჩინა წვიმა, თოვლი, ცისარტყელა, ყინულის ლოლუები, ირმები, დათვები, ციყვები... აივსო ნელ-ნელა დედამიწაც და ნამდვილ და ნორმალურ დედამიწას დაემსგავსა. ტყეში ცხოველები დაბინადრნენ, ზღვებში თევზები, ადამიანი კი არსად ჩანდა. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ნამდვილად იყო ასეთი დრო, როცა სამყაროში ადამიანი არ ცხოვრობდა.

*

„ — **არცერთი**? სულ არავინ?

— ჰო, სულ, სულ არავინ!

— არც ბავშვები?

— არც ბავშვები, არც დიდები, არც მოხუცები! არავინ!

— წასულები არიან სადმე?

— არა, წასული და მოსული კი არა, არც დაბადებულან. არც არავინ იცოდა, როგორი იყო ადამიანი“. — აი, ასეთი საუბარი გაიმართებოდა ამ ზღაპარში, ზუსტად თქვენხელა გოგონა და ბიჭი რომ ცხოვრობდნენ. მაგრამ აქ არავინაა. როგორც იმ დროს. დედამიწას არც ბავშვები ჰყავს, არც დედა და მამა, არც ბებია და ბაბუა, რომლებსაც ბავშვები უამრავ კითხვას დაუსვამდნენ ზღაპარშიც და სინამდვილეშიც.

მაგრამ ჩვენც ახლა იმ დროში უნდა გადავსახლდეთ. ვითომ, ვითომ... მოდი გავძახოთ ერთი ამ მთებსა და მინდვრებს, ეგებ გამოგვეპასუხოს ვინმე. აბა, ერთად: — ჰეიიიი, ჰე-ჰეიიიიი, ადამიანოოოო, არის აქ ვინმე?

აი, ხომ გითხარით, არავინ გვცემს ხმას. ან როგორ გაგვცემს, ადამიანი ხომ ჯერ არც გაჩენილა.

*

ყველა, სულიერი თუ უსულო, გრძნობდა, რომ სამყაროს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი და ძალიან საინტერესო აკლდა. თენდებოდა, ღამდებოდა, მაგრამ რაღაც მაინც ისე არ იყო... მოდიოდა გაზაფხული, მერე ზაფხული, მერე შემოდგომა, და ბოლოს ზამთარი. თოვლით იფარებოდა მიდამო. მაგრამ თოვლსაც ბეზრდებოდა მარტოობა და დნებოდა. თოვლსაც უნდოდა, ადამიანის ხელში გუნდად ქცეულიყო და ეთამაშა. თოვლსაც უნდოდა, ბავშვების ფანჯრის წინ დახვავებულიყო და თვალებში თავისი ქათქათა სინათლე შეეფრქვია ახლადგაღვიძებული პატარებისათვის. „თოვლი მოსულა, თოვლიიიიიიიი!“ -— აი, ამის გაგონებაზე ოცნებობდა სულ, მაგრა ოცნება ოცნებად რჩებოდა თოვლისთვისაც. „ბრახ”! — ხანდახან ციყვი თუ ჩამოაგდებდა ტოტიდან ფუმფულა კუდით თოვლს და ისევ ფუღუროში შევიდოდა კაკლის ჩასახრამუნებლად. დათუნიასაც ბუნაგში ეძინა. თუ შიმშილი შეაწუხებდა, გაიღვიძებდა, გარეთ გამოვიდოდა, არც ეგ იყო საშიში! მოშიებულ დათვს ხომ ფიჩხისათვის ტყეში წასული ბავშვი ვერსად შეხვდებოდა.

*

ღამ-ღამობით, ძილი რომ არ ეკარებოდათ, ერთი უსახელო ძაღლი ეუბნებოდა მეორე უსახელო ძაღლს: ეჰო, ადამიანი რომ იყოს... მივიდოდით მასთან სახლში, ვიმეგობრებდით, მის კარ-მიდამოს ვუდარაჯებდით და ერთადაც ვითამაშებდითო, ჰამო, ჰამო! ანუ ეჰო, ეჰო! უსახელო რატომ იყო, ამას აღარ აგიხსნით. ისედაც მიხვდებით, რომ ძაღლს სახელს მხოლოდ ადამიანი არქმევს. ჰოდა, მაშინ სახელი არავის ერქვა: არც ძაღლებს, არც კატებს, არც ზაზუნებს, არც თუთიყუშებს და არც ზღვის გოჭებს. კვიცებს, ბოჩოლებსა და ჩოჩრებს აბა, ვინღა დაარქმევდა სახელს? ლოკოკინები უხმაუროდ დაცოცავდნენ. მგონი, ადამიანის გამოჩენას არც ელოდნენ, რადგან პაწია სახლებში ცხოვრობდნენ და იქ სტუმარს ვერ მიიღებდნენ. თუმცა ცდილობდნენ, რაღაცით მაინც მოეწონებინათ თავი მომავალი ადამიანისათვის და ვერცხლისფერ კვალს ტოვებდნენ გზებზე, რომ ადამიანს, როცა ის მოვიდოდა, ადვილად ეპოვა მათი გზა-კვალი.

*

ზღვები ჩუმ-ჩუმად იცრემლებოდნენ. ზოგჯერ ზედმეტადაც ღელავდნენ.

*

დილით, უთენია, ერთი ჩიტი ეუბნებოდა მეორეს ჩიტების ენაზე: ადამიანი რომ იყოს, შემოვსხდებოდით მის ეზოში ყველაზე ლამაზ ხეზე და ვიჭიკჭიკებდითო. იმასაც გაუხარდებოდა და ჩვენცო. შემოგვძახებდაო: შენს პირს შაქარიო, კარგი ამბავიო! ოქროს ნისკარტიო! და ჩვენც მოვუყვებოდით კარგ ამბებსო. მაგრამ ახლა რა გვე-ჭიკ-ჭიკებაო! ანუ ეჰო, ეჰო! ხანდახან იმაზეც ლაპარაკობდნენ ეს ჩიტები, როგორ ნახეს ერთხელ, სიზმარში, უცნაური და ლამაზი არსება, რომელსაც არც ფრთები ჰქონდა, არც ნისკარტი, არც ბუმბული, მაგრამ მაინც ძალიან ლამაზი იყო. ნამცეცებს უყრიდა მათ თოვლში. ეს ნამცეცები ისეთი გემრიელი იყო, ისეთი გემრილი, ცხადში არაფერი მსგავსი ეჭამათ ჩიტუნებს. ასეთ უცნაურ სიზმრებს ნახულობდნენ მაშინ ჩიტები. არწივი კი სულ მაღლიდან ზვერავდა გარემოს: ეგებ, გამოჩნდა და პირველმა შევამჩნიოო!

*

ყველაფერი მოწყენილი იყო ირგვლივ. მზე, მთვარე და ვარსკვლავები დაჰყურებდნენ დედამიწას და ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

— ასეთი ლამაზია ეს დედამიწა, მაგრამ ადამიანი რომ ცხოვრობდეს აქ, უფრო ლამაზი იქნებოდაო.

დედამიწაც დაღონებული იყურებოდა გარშემო: — რა ლამაზია ეს ცა და ვარსკვლავები, მაგრამ ადამიანი რო უყურებდეს ამას, უფრო კარგი იქნებოდაო.

რამდენ ზღაპარს დაწერდაო, რამდენ ლექსსო. ეჰო, ამოიოხრებდა და შეზანზარდებოდა მიწა. ჭიანჭველები იტყოდნენ, რა ზანზარებსო და ამოძვრებოდნენ თავიანთი სახლებიდან ზევით. ერთი ჭორიკანა ჭიანჭველა იტყოდა, ალბათ დიდი სტუმარი მოდისო, მაგრამ არავინ ჩანდა. და ისევ ნელ-ნელა ჩაძვრებოდნენ მიწაში. ამასობაში თან საგზალს წამოავლებდნენ ფეხს, შეიგდებდნენ ზურგზე მოზრდილ ლუკმას. აბა, ტყუილად ხომ არ მოვცდებით, უშრომლადო. თან სტუმრის მოლოდინშიც იყვნენ და უნდოდათ სახლში სანოვაგე უხვად ჰქონოდათ.

*

ზღვები ჩუმ-ჩუმად იცრემლებოდნენ. ზოგჯერ ზედმეტადაც ღელავდნენ. ნაკადულებიც და მდინარეებიც იცრემლებოდნენ: — რა იქნებოდა ჩვენს ნაპირზე ადამიანი ცხოვრობდესო. მარტო თევზებისთვის ხომ არ გავჩნდითო? ესენი მშვენივრად გრძნობენ თავს და არასდროს წყურიათო, არასდროს ცხელათო. ადამიანი კი დალევდა ჩვენს წყალს, მიწასაც მორწყავდა და მოსავალსაც მიიღებდაო. საქონელსაც დაარწყულებდა და სიცხეში კიდევაც გაგრილდებოდა ჩვენ ჩქერებშიო. და კიდევ მეტად ჩაახვევდნენ ქვებზე თავიანთ ქოჩორა ტალღებს. ჩუხ-ჩუხ! ჩუხ-ჩუხო! ანუ ეჰო, ეჰო!

ბაყაყი კი სიცილით იჭაჭებოდა წყლის ნაპირზე, ერთი ვნახო, ის თქვენი ადამიანი, რომ მოვა, მერე დამაფასებთ! მიხვდებით, ჩემზე ლამაზი და ჩემზე ჭკვიანი რომ არ იქნებაო! და ისე გაიბერებოდა, გეგონებოდათ, ესაა და მთელი სამყაროს ბატონ-პატრონობის ღირსიაო. ამოუშვებდა მერე უდარდელ სიმღერას.

„ყი-ყი, ყუა-ყუა! ყი-ყი, ყუა-ყუა! ყი-ყი, ყუა-ყუა!“ და აღარ დაასრულებდა. გაბრაზებული წყალიც უფრო და უფრო სწრაფად გაეცლებოდა იქაურობას და თავქვე აგრძელებდა გზას. ხოლო კენჭები კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლობოდნენ ტლაპოში თავის დედიკო ქვებთან ერთად, ეგებ როგორმე დაგვეძინოს ამ ყიყინშიო.

*

ტყეებს ხომ ფოთლის გამოტანაც არ ეხალისებოდათ. სიმარტოვეს გრძნობდნენ. არავინ კრეფდა მათ სიღრმეში სოკოს და კენკრას, არავის გაჰქონდა მათი ნობათი: სხვადასხვანაირი ხილი, კაკალი, გირჩები, არც ფიჩხი, არც ველური თაფლი, არავინ უგდებდა ყურს ფრინველთა ჟივჟივს. ტკაცს! ჩამოტყდებოდა ხეს ტოტი, რაც ტყის ენაზე ნიშნავდა: ეჰო, ეჰო! ხანდახან ტყეში მგელსაც დაინახავდი. დადიოდა, დაეძებდა ვიღაცას. მერე შეჰყმუვლებდა მგლის ენაზე: ადამიანო, მოდიიიიი, მომბეზრდა მარტოობაო, მგლობაც მომბეზრდაო. მგელი იყო, მაგრამ უნდოდა ზღაპრის ლამაზ წიგნში ეცხოვრა. ისეთ ზღაპარზე ოცნებობდა, რომელშიც არც წითელქუდას ჩაყლაპავდა, არც ბეკეკას, იქნებოდა კეთილი და ყველას ეყვარებოდა. ეს კი ადამიანის გარეშე ვერაფრით მოხერხდებოდა. მარტო მელაკუდა დასუნსულებდა და ტყის ქათმებს უყურებდა ეშმაკურად. ფიქრობდა თუ არა ისიც ზღაპარში ცხოვრებაზე, არავინ იცოდა. მგონი, მაინც ჩიჩია ერჩია ზღაპარს.

*

ნიავი რომ ნიავია, ისიც უაზროდ დაეხეტებოდა უდაბნოში. მისთვის მთელი დედამიწა უდაბნო იყო, რადგან არსად ეგულებოდა ადამიანი, რომელიც მუშაობით დაღლილი, გაოფლილ გულმკერდს მიუშვერდა და ეტყოდა: დალოცვილი, ნიავიო! არც ქარს, არც ნისლს, არც ღრუბელს, არავის ეგულებოდა თავის მესაიდუმლედ ადამიანი. ქარი ზუოდა: ეჰო! ღრუბელი წვიმდა და გრუხუნებდა: ეჰო! ნისლი სულ გაქრებოდა და გადაიკარგებოდა, აქ დიდი მოწყენილობააო, ეჰო! გაბრაზებული ვულკანები კი ხანდახან ცეცხლსაც ამოაფრქვევდნენ, იქნებ დაგვინახოს ადამიანმა და მოვიდესო, რომ ასე გულდათუთქულები აღარ ვიყოთ მარტოობითო.

რა იცოდნენ ვულკანებმა, რომ ცეცხლით თამაში ძალიან საშიში იყო. ეს რომ ცოდნოდათ, ცეცხლის მაგიერ ან ბატიბუტს ამოყრიდნენ, ან ლიმონათს ამოაფრქვევდნენ. აი, რა უყვარს ადამიანს ცეცხლზე უფრო.

*

ჭრიჭინები ღამ-ღამობით გაიძახოდნენ: ადამიანო, მოდი ჩვენთან! ნეტა ვისთვის არის ეს ლამაზი მინდვრებიო. მოდი, შემოსკუპდი შენც ამ ბალახის ღერზე და იჭრიჭინეო, ჭრიო-ჭრიო! კალიებიც აქეთ-იქით დახტოდნენ: არა, აქეთ ვიპოვით ადამიანს და არა, აქეთო. ხან მარჯვნივ გადახტებოდნენ, ხან მარცხნივ, მაგრამ ამაოდ. ადამიანი არსად ჩანდა. ჭიანჭველები მიწაში ჩაძვრებოდნენ და ეძებდნენ, მუხლუხოები ხეებზე დახოხავდნენ, იქნებ აქ აძვრაო, მაგრამ ადამიანი არსად ჩანდა. პეპლები, ფუტკრები, კრაზანები, ხოჭოები ველ-მინდვრებში, ყვავილების გულებში დაეძებდნენ: ბზზზზზზზზ-ბზზზზ! ეს მწერთა ენაზე ნიშნავდა: სად ხარ, ადამიანო, სადო? ანუ ეჰო! ეჰო! ობობები კი ბადეებს აბამდნენ ბარდებზე, ეგებ ადამიანი გავაბათ და

ჩვენთან დავტოვოთ, რომ ერთად ვითამაშოთ ობობობანაო. არცო დაჭერობანაო, არცო დამალობანაო, მარტო ობობობანაო.

*

ყვავილები ხშირ-ხშირად ამოდიოდნენ მიწიდან, მიმოიხედავდნენ, მაგრამ ადამიანს რომ ვერ დაინახავდნენ, დარდით ჩაჭკნებოდნენ და ისევ მიწაში ჩავიდოდნენ. ბალახიც ასე იყო, ამოვიდოდა, ერთხანს გაყურსული დაელოდებოდა, ეგებ გამოჩნდესო, მაგრამ არავინ ჩანდა და ისიც მიწას უბრუნდებოდა. მათ ეგონათ, რომ ადამიანს კარგი სურნელი უნდა ჰქონოდა, თავზე ბალახი, და აუცილებლად სამკურნალოდაც გამოსადეგი ყოფილიყო, განა მხოლოდ საჭმელად და საძოვრად? მაგრამ არავინ ჩანდა, ჰოდა, ბალახიც და ყვავილებიც ისევ შეიკეტებოდნენ მიწის სახლებში და ისევ დიდი მოწყენილობა დაისადგურებდა მინდვრებში. მხოლოდ ერთი ყრანტალა ყვავი თუ დაიწყებდა შიშველ მინდორში ბორიალს და ისიც ვერავის რომ ნახავდა, თავისი ბუდისკენ გაფრინდებოდა: „ყვაااااااااااااა, ყვاااااااااا, ნეტა რატომ არ ჩანს ადამიანიო. ყველს ხომ მაინც მაჭმევდა, თუ თაფლაკვერებს არაო“. თაგუნია სიცილით კვდებოდა ყვავის სიტყვებზე: ელოდე, ელოდე, ადამიანი თაფლაკვერებს რომ გაჭმევსო!!! მერე წინა თათს საფეთქელთან მიიტანდა, აფრენსო და თავის სოროში შეძვრებოდა: „ამ ყვავს მე არ ვეგონო თაფლაკვერა და არ შემჭამოსო“.

*

ძაღლს ეგონა ყეფა ეცოდინებოდა. ჩიტს ეგონა, ორი ფრთა ექნებოდა და იჭიკჭიკებდა, ფუტკარს ეგონა — თაფლს შეაგროვებდა, ზღვებსა და ნაკადულებს ეგონა — ისიც თევზს ემსგავსებოდა, მაგრამ უფრო ლამაზი და უფრო დიდი იქნებოდა. სიდიდეში ზღვები ვეშაპს კი არ გულისხმობდნენ, არამედ ჭიჭყინას ლიფსიტას! თან როცა რამეზე გული დასწყდებოდა და ცრემლი ჩამოუგორდებოდა თვალიდან, ამ ცრემლს აუცილებლად შეამჩნევდა სხვაც, განსხვავებით თევზებისაგან, რომელთა ცრემლი წყლის მეტს არავის ენახა დედამიწაზე. რვაფეხას უნდოდა, ვინმე მასავით ბევრხელებიანისათვის ჩამოერთმია ხელი და ფიქრობდა, რომ ასეთი ადამიანი იქნებოდა. ხეებს ეგონათ ისიც ხესავით დატოტვილი იქნებოდა, დიდ ფესვს გაიდგამდა მიწაში და ცას მისწვდებოდა კენწეროთი, ხელებზე ანუ ტოტებში კი უამრავი ბუდე ექნებოდათ ჩიტებს. ბუდეში ბარტყები გაიზრდებოდნენ. შეიფარებდა ციყვებს, მათთვის ფუღუროებს კაკლით ამოივსებდა და სულ, გამუდმებით იშრიალებდა. ქარს კი ეგონა გამჭვირვალე იქნებოდა და უსხეულო, არც სახლი ექნებოდა არც კარი, ივლიდა და ქვეყნიერების ამბებს გაიგებდა და ვეება მტვრის თაიგულებს შეაგროვებდა.

დედამიწას ეგონა ადამიანი შვილიმიწა იქნებოდა, ერთმანეთზე რომ ეზრუნათ და ერთმანეთისათვის მოევლოთ. მზე ფიქრობდა, ჩემსავით გაათბობს და გაახარებს სხვასო. როცა მე დავიღლები და დავიძინებ, ღამით ის გაანათებს დედამიწასო.

*

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ყველა სასწაულს ელოდა.. მაშინ ღმერთიც დედამიწაზე ცხოვრობდა. აშენებდა და ახარებდა უამრავ მცენარეს, გააშენა ულამაზესი ბაღები, ვენახები, ყანები. ამ შრომაში გავიდა უამრავი დრო, ღმერთიც მოხუცდა და გადაწყვიტა ცაში წასვლა. არ სურდა აქაურობის უპატრონოდ დატოვება.

მთელი ეს დრო ღმერთი ფიქრობდა, როგორი უნდა ყოფილიყო ის, ვისი დაბადებაც ყველას ერთნაირად გაახარებდა. ვინც ყველას და ყველაფერს მოუვლიდა.

*

ერთ დღესაც ღმერთმა სამყაროს უთხრა: გაკვირდებით და ვხედავ, რომ ყველანი ელოდებით ისეთი არსების მოსვლას, რომელიც თქვენი მსგავსი იქნება, თქვენი მეგობარი გახდება და თავს მარტო არ იგრძნობთ. მინდა, ისეთი ვინმე გაგიჩინოთ, ვინც უცხოდ არ დაიგულებს თავს თქვენ შორის, ვისაც თქვენ ეყვარებით და მოგივლითო. ამისათვის კი თქვენი დახმარებაც მჭირდება: მოდით, ყველამ გაიღეთ ის, რაც გაგაჩნიათო. შევაგროვებ და ჩემსას დავუმატებ, ჩვენიანად რომ იგრძნოს თავიო. არასდროს მოუნდეს სხვაგან წასვლა და თქვენი მიტოვება, თქვენი ენაც იცოდეს, თქვენი ნირი და ბუნებაო. დე, ჰქონდეს მას თავისუფალი ნება, გონება, მაგრამ ახსოვდეს, რომ ამ სამყაროს ნაწილია და ჩვენიანიაო.

*

და აფუსფუსდა მთელი სამყარო! მოსაფიქრებლად დიდი დრო არავის დასჭირვებია, ატყდა ხმაური, ყიჟინა, გადაძახილი. დედამიწამ თქვა: აი, მე ჩემ სხეულს გაძლევ, ყველა მინერალი, რაც გამაჩნია, რისგანაც შევდგები, და რასაც „მიწა“ ჰქვია, ადამიანისთვის დამითმიაო. მდინარეებმა, წყაროებმა, ოკეანეებმა და ზღვებმა ყველანაირი წყალი შეაგროვეს და ღმერთს მიართვეს ადამიანისათვის.

ასევე მოიქცნენ სხვებიც: ნადირ-ფრინველი, თევზები, მწერები და ქვეწარმავლები, ყვავილები და ბალახები, ქვებიც კი დამწკრივდნენ ღვთის კარზე და თავიანთი ნაწილი გაიღეს ადამიანისათვის. ქარმა, რომელსაც სხეული არ გააჩნდა, თავისი ენერგია, ანუ ძალა მიუტანა ღმერთს... ღმერთი ბედნიერი იყო, მას ყველაფერი ჰქონდა ხელთ, რომ ამ სამყაროს საუკეთესო ქმნილება გამოეძერწა. და, რაც მთავარია, კიდევ ერთხელ დარწმუნდა, როგორი კეთილი იყო სამყარო.

*

იმდენი მასალა ჰქონდა, იმდენი მასალა, ძერწა და ძერწა ღმერთმა კაცები, ქალები, ბავშვები. ყველაფერი, რითაც სამყარი იყო შექმნილი, ახლა ადამიანში იყრიდა თავს. იმუშავა ღმერთმა მთელი გრძელი დღე და ბოლოს თავისი ღვთებრივი სულიც ჩაუდგა ამ უცნაურ ქმნილებებს, რომლებიც გაცოცხლდნენ და არავის, სულ არავის ჰგავდნენ დედამიწის ზურგზე. ბოლოს და ბოლოს ხომ, არც ღმერთს ჰყავდა აქამდე ნანახი ადამიანი. ძალიან უნდოდა იგი ყველაზე ლამაზი და ყველაზე გონიერი ყოფილიყო. თავის სულს უდგამდა და, მგონი, სწორედ ამიტომაც ადამიანი ღმერთს უფრო ემსგავსებოდა, ვიდრე ფრინველსა და ცხოველს, ან ყვავილსა და თოვლს.

ზოგი თეთრი მიწისაგან ძერწა, ზოგი — შავი მიწისაგან, ზოგიც — ყვითელი მიწისაგან. ამიტომაც ადამიანები სხვადასხვა ფერისანი გამოვიდნენ: თეთრკანიანები, ყვითელკანიანები და შავკანიანებიც, სხვადასხვა ფერის თვალები გაუკეთა, სხვადასხვა ფერის თმა. მაგრამ ერთი რაზეც ძალიან იწვალა, და ბოლოს თავი გაანება, ის იყო, რომ შავკანიან ბავშვებს ვერაფრით დაამჩნია პაჭუა ცხვირზე და ლოყებზე ჭორფლი. არადა ძალიან უნდოდა, რომ ყველა ბავშვს ჰქონოდა, რადგან განსაკუთრებით უხდებოდათ პატარებს ჭორფლი. მერე როცა მათ სიცოცხლეც აჩუქა, გონებაც მისცა, მხედველობა, სმენაც, ყნოსვაც, გემოც შეაგრძნობინა, და ლაპარაკიც ასწავლა, შვებით ამოისუნთქა და თქვა: ახლა დავისვენებოოოოოოოო. მაგრამ სათქმელად ადვილია, „დავისვენებო“. რა დაასვენებდა ღმერთს, ამდენი ადამიანი გაუხდა მისახედი. არც ძიძები არსებობდნენ მაშინ, არც აღმზრდელები, არც მასწავლებლები... რა დაასვენებდა?

*

ამას ღმერთიც მიხვდა, რომ მისი მოსვენება არ იქნებოდა კიდევ ძალიან დიდხანს. ყველა დაისვა და უთხრა: თქვენ ამ სამყაროს მფარველად და პატრონად მოგავლინეთ, მე უკვე მოვხუცდი და ჩემს ძველ სახლში, ცაში უნდა წავიდე. იქაა ჩემი სამყოფელი. ამ დედამიწას თქვენ უნდა უპატრონოთო და დაარიგა, როგორ დაეთესათ პური, ვაზი, ხეხილი, როგორ მოეშინაურებინათ პირუტყვი, როგორ აეშენებინათ სახლები, სოფლები და ქალაქები, სკოლები, ბიბლიოთეკები, როგორ გამოეჭედათ შრომის იარაღი, როგორ დაემზადებინათ თიხისაგან ჯამ-ჭურჭელი, როგორ ეწერათ და ეხატათ, ემღერათ. როგორ გამოეთალათ ხისაგან სალამურები და საკრავები. როგორ ელოცათ და როგორი სამოსი ეტარებინათ. როდის ჩაეცვათ ჯინსები, როდის თბილი ქურთუკები ან ქუდები მოერგოთ თავზე. როგორ გადაეღოთ მულტფილმები და, რაც მთავარია, ჭამის წინ ხელები აუცილებლად დაებანათ. ხოლო ჭამის შემდეგ „მადლობის“ გადახდა არ დავიწყებოდათ. კი, უსმენდნენ ვითომ გულისყურით ადამიანები, მაგრამ თან ერთი სული ჰქონდათ, როდის დაიწყებდნენ დამოუკიდებელ ცხოვრებას და, თუ სიმართლე გინდათ, ბოლომდე არც მოუსმენიათ ყურადღებით.

მაგრამ ის, ვინც ბოლომდე დარჩა და მოუსმინა ღმერთს, რა თქმა უნდა, მეტიც გაიგო. ისიც კი ასწავლა, როგორ ჩაეწნათ ყვავილები თმებში ლამაზ გოგონებს, ხოლო ბიჭუნებს როგორ ეთამაშათ შორიახლოს ფეხბურთი იმ მინდორზე, სადაც გოგონები ყვავილებს დაკრეფდნენ. საღამოთი კი ჩამავალი მზისათვის ეყურებინათ ერთად.

*

მთელი სამყარო გასუსული ელოდა ადამიანის გამოჩენას და სანამ ღმერთი მათ ძერწავდა, ისეთი დუმილი იყო გარშემო, ისეთი დუმილი, ერთმა ბაჭიამ შიშისაგან ყვირილი მორთო: დედაااااა, ეს რამხელა და რა საშინელი სიჩუმე გვიახლოვდება, არ ჩაგვყლაპოსო! აცახცახებული ბაჭია დედიკომ გულში ჩაიკრა და როგორც კი დედის გულის ძგერის ხმა გაიგონა, მაშინვე დამშვიდდა.

მერე სათამაშოდაც კი გაიქცა მინდორში. გარბოდა და თან იძახდა: „მე არაფრის მეშინია, მე არაფრის მეშინია!“ იქვე ბალახში გაყურსულ პატარა კუს წამოჰკრა ფეხი და ისე გადაკოტრიალდა, გეგონებოდათ ყურს მოიტეხსო, მაგრამ წამოხტა და ისევ გააგრძელა: „მე არაფრის მეშინია, მე არაფრის მეშინიაო“!

პატარა კუს თურმე ერთი თავისი ბაღელი ხოჭო ამბავს უყვებოდა, ახალ არსებებზე, რომლებიც დედამიწაზე გამოჩენილან. დედას გაუფრთხილებია, რა იცი, რა ხასიათისანი და ზნისანი არიან, ახლოს მაინც არ მიხვიდეო. ჰოდა, ეს ბაჭია რომ დაეტაკა, სწორედ ის ახალი მობინადრე ეგონათ და შიშისაგან ლამის გულები დაუსკდათ. კუმ ბაქანში დურთა თავი, ხოჭო კი მიწაში ჩაძვრა. ბაჭიას კი ეგონა ქვას წამოვკარი ფეხიო, მარდად წამოხტა და მინდორში გავარდა. ისე, კი ჰგავდა ეს პატარა კუ ქვას, ხოჭო კი ალბათ მიწაში რომ არ ჩამძვრალიყო, ისედაც კენჭს დაემსგავსებოდა, რადგან ასეთი გამოთქმაც არსებობს: შიშისაგან ადგილზე გაქვავდაო. ანუ კუ თუ გაქვავდა, ხოჭო გაკენჭდებოდა, აბა, რა?!

*

ამასობაში უკვე ღმერთმა ადამიანები დედამიწაზე დაასახლა და ერთი ბავშვი სწორედ იმ მინდორზე გაიქცა სათამაშოდ, სადაც ბაჭია დახტუნაობდა.

რა თქმა უნდა, ბავშვმა და ბაჭიამ ერთმანეთი დაინახეს და გაოცდნენ. რა თქმა უნდა, ბავშვს დედა მიჰყვებოდა უკან და ბაჭიას კი, თავისი დედაკურდღელი. მათაც დაინახეს ერთმანეთი. დაინახეს და გაუხარდათ. ორთავემ ერთმანეთზე ასე იფიქრა, ეს რა ლამაზი და საყვარელი არსებაო!!! ალბათ, თავის შვილიკოს გამოედევნაო! ქალმა იფიქრა: დაილოცოს დედა-შვილობის მადლიო! კურდღელმა კი იფიქრა: კიდევ კარგი, ღმერთმა მარტო შვილები ან მარტო დედები არ გააჩინა ამ ქვეყანაზეო. რა იცოდა კურდღელმა, რომ ღმერთსაც თავისი დედიკო ჰყავდა და ძალიან, ძალიან უყვარდა.

*

მოედვნენ ბავშვები ველ-მინდვრებს, სახლებში კი ცეცხლი დაინთო და პირველი ქვაბი შემოიდგა ფაფის მოსახარშად. რადგან ბავშვები ძალიან გემრიელად მირთმევენ ფაფას, მინდორში თამაშის შემდეგ. სუნი რომელიც ფაფას ჰქონდა და პირველად იყნოსეს დედამიწაზე, მართლა უჩვეულო და გემრიელი იყო. ამ სუნს დაერქვა „იფ-იფ”! ხოლო იმ ფაფას დაერქვა „რა გემრიელია“. რა თქმა უნდა, უფრო მოზრდილ მეორე ქვაბში მამიკოსთვისაც დაიწყეს საჭმლის მომზადება. იმ საჭმელს ერქვა „რა კარგი ხელი გქონიაო, აბა კიდევ დამიმატეო”.

ახლაც ისე ამზადებენ ფაფებს დედები, ახლაც ისე დახტიან ბაჭიები და გაიძახიან „არაფრის მეშინიაო“. სინამდვილეში კი, ძალიანაც მშიშრები არიან.

რა იცი, მინდორში ვინ შეგხვდეს, მარტო კუ და პატარა ბავშვები ხომ არ არიან ამ ქვეყნად? ღმერთიც ცაშია...

მწერალი **შოთა იათაშვილი**

ამ ადამიანს, ალბათ, შეიძლება თანამედროვე ქართული ლიტერატურის მემატიანე უწოდო. ჟურნალ „ალტერნატივადან“ დაწყებული, მის ხელში „გაიარა“ თითქმის ყველა ცნობილმა ახალგაზრდა ავტორმა, ვინც დღეს ქართულ მწერლობაში ამინდს ქმნის. როდესაც წლების განმავლობაში ტრიალებ ლიტერატურულ სივრცეში, ცოტა რთულია, შეინარჩუნო აქტუალობა, თუმცა შოთა იათაშვილი ამას ახერხებს. მისი შეფასება ბევრისთვისაა მნიშვნელოვანი, აზრი — ანგარიშგასაწევი, მისი ტექსტები ყოველთვის იწვევს ინტერესს. ბოლო დროს ნაკლებად წერს, თუმცა შარშან მისთვისვე მოულოდნელად ორი წიგნის გამოცემა მოახერხა, რომელთაგან ერთმა — „დალაგებამ“ — ლიტერატურული პრემია „საბა“ დაიმსახურა. ჩვენი საუბარიც ამ კრებულით დაიწყო.

— „დალაგება“ ბოლო 13 წლის განმავლობაში დაწერილ პუბლიცისტურ წერილებს აერთიანებს. უპირველესად, საინტერესოა, ამდენი წლის შემდეგ რატომ გადაწყვიტე მათი გამოცემა?

— დაახლოებით სამი წელი მიტრიალებდა იდეა თავში. რამდენიმე გამომცემლობას შევთავაზე და უარი მივიღე. ბოლოს გამომცემლობა „საუნჯე“ დამთანხმდა. სხვათა შორის, იმ პერიოდში ლექსებიც მქონდა გამზადებული, მაგრამ მათ წერილები არჩიეს.

— ანუ სწორად გათვალეს, რადგან კრებულმა „საბა“ მიიღო. შინაგანად თუ ელოდი ამ პრემიას?

— წინა „საბა“ 2007-ში ავიღე, ანუ 2006-ში გამოცემულ წიგნში და მას შემდეგ არაფერი გამომიცია. ამ პერიოდში რაღაცები იწერებოდა და თვალსადახელსშუა დაგროვდა მასალა. როგორც უკვე აღვნიშნე, „დალაგებას“ სამი წელი ველოდი და შარშან გამოიცა. სრულიად მოულოდნელად გამომცემლობა „პეგასმა“ დაბეჭდა ლექსების ახალი კრებულიც. იყო კიდევ პიესა „მავედრებელნი“, რომელიც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ტექსტია. მასზე დიდხანს ვიმუშავე — მგონი 2003 წელს დავიწყე წერა და შარშან დავამთავრე. ესქილეს ერთი პიესის „აღდგენაა“, რომლის პირველი ნაწილი გადარჩა, დანარჩენი დაიკარგა. ერთ ძველბერძნულ მითზეა დაწერილი, ამიტომ სიუჟეტი ჩემთვის ცნობილი იყო, რამაც „აღდგენითი სამუშაოები“ გამიადვილა. ანტიკური დრამის ყველა წესის დაცვით „გავუკეთე რესტავრაცია“, ანუ ორმოციოდე გვერდზე გაშლილი პოეზიაა მთელი თავისი ქოროებითა თუ ანტიქოროებით. გული მწყდება, რომ ჯერჯერობით საკუთარი სცენა ვერ იპოვა, თუმცა იყო გარკვეული დაინტერესება ერთი-ორი რეჟისორის მხრიდან. 2005-ში დათო საყვარელიძემ პირველი ორი ეპიზოდი, ანუ რაც მაშინ დაწერილი მქონდა, ექსპერიმენტულად დადგა უნივერსიტეტში, ელინურ დღეებზე...

არც პოეტურ კრებულზე და არც კრიტიკაზე არანაირი გათვლა არ მქონია. თავისთავად მოვიდა ამ წიგნების გამოშვების დრო და მეც გამოვუშვი. ბოლო დროს ძალიან ცუდი ტენდენცია მკვიდრდება – თითქოს მწერალი წიგნს მხოლოდ პრემიის მისაღებად გამოსცემს. არ არის ასე. „საბა“ არ იყო, მაგრამ წიგნები გამოდიოდა. პირადად მე 2006 წლიდან 2010-მდე ტაიმ-აუტი მქონდა. ადრე კრებულებს უფრო პატარა შუალედებით ვაქვეყნებდი – 2-3 წელიწადში ერთხელ. ბოლო დროს პერიოდულობა გაიზარდა.

— ეს რისი ბრალია, უფრო კრიტიკულად უყურებ საკუთარ ნაწერებს?

— ალბათ და უფრო იშვიათადაც ვწერ. როგორც ჩანს, გადაჭარბებული პროდუქტიულობა მეტწილად ახალგაზრდობითაა განპირობებული. გარკვეული ასაკის შემდეგ თუ ზუსტად თუ ვერ დაინახე სათქმელი ან ფორმა ვერ მოძებნე, კალმისკენ ხელი არ მიგდის.

— შენი წერილები ლიტერატურათმცოდნეებმა ლიტერატურულ ჩანახატებად, ესეისტიკად მონათლეს, თუმცა განსხვავებული შეფასებებიც მრავლადაა. თავად როგორ განსაზღვრავ მათ ჟანრს?

— ამ წერილების გარკვეული რაოდენობა წმინდა ესეისტიკაა, ზოგიერთი — უფრო ანალიტიკურია. საბოლოოდ მაინც ესეები ჭარბობს და ალბათ, ასეც უნდა იყოს — როდესაც პოეტი პოეტზე წერს, ბუნებრივად ჩნდება აღნიშნული ფორმის მოთხოვნილება. ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია დაკვირვება პოეტისა თუ მწერლის შინაგან ბუნებაზე და არა ვერსიფიკაციები, მარცვალთა რაოდენობა და ა.შ. ვიღაცამ შეიძლება ასეც დაწეროს, და ამის კვლევა უკიდურესად საჭირო და აუცილებელია, მაგრამ ჩემთვის გაცილებით საინტერესო ავტორის ხასიათის დაჭერა და მის შემოქმედებაში ზუსტი მახვილების დასმაა.



„უფრო იშვიათად ვწერ“

— ხშირად აღნიშნავენ, რომ ჩვენთან მწერლებს ერთმანეთის შემოქმედებაზე წერა არ უყვართ, რადგან კრიტიკას ერიდებიან. შენი წერილები კარგი მაგალითია, თუ როგორ უნდა წერო ისე, რომ კოლეგების გაღიზიანება არ გამოიწვიო და საკითხავადაც საინტერესო იყოს.

— ეს საბჭოური გადმონაშთია, რომელიც დღემდე შემორჩა. იმ პერიოდში მწერალი მწერალზე თუ წერდა, ან უნდა გაელანძღა, ან ცაში აეყვანა. დღეს ვითარება ნაწილობრივ შეიცვალა, თუმცა ვიღაცამ შეიძლება მეც „დამადანაშაულოს“ მეგობრებზე წერაში. არადა, ყოველთვის პირიქით იყო — როდესაც ამ ადამიანებზე ვწერდი, ან მათ ნაწერებს პირველად ვაქვეყნებდი როგორც რედაქტორი, ხშირად მათ არც კი ვიცნობდი. მეგობრობა მერე იწყებოდა, ბუნებრივად. ანუ, ნებისმიერი ავტორის შეფასებისას მეგობრობიდან კი არ ამოვდივარ, არამედ ობიექტურობიდან. საერთოდ, ასეთი დამოკიდებულება მაქვს: თუ წერ, უნდა ეცადო, მწერალს რეალური ხარვეზი დაანახო. ამავე დროს, დაიცვა ელემენტარული ეთიკა.

— „მთელი ამ დალაგების შემდეგ თქვენს წინაშე იქნება ის შოთა იათაშვილი, რომელიც აქტიურადაა ჩართული ლიტერატურულ პროცესში, აკვირდება მას როგორც მწერალი და როგორც რედაქტორი, სულ მუდამ იცვლება და სულმუდამ ცდილობს თავისი ოდესღაც დალაგებული აზრები შეამოწმოს და გადაალაგოს“ — წერ წიგნის შესავალში. რა დაინახა ამ პროცესის შემდეგ შოთა იათაშვილმა, რა ვითარება იკვეთება მისი დაკვირვებით თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში (წერილების ძირითადი ნაწილი ხომ თანამედროვე ავტორებს ეძღვნება)?

— სხვათა შორის, „ალტერნატივას“ რედაქტორობა, რომელიც გარკვეული წყვეტებით 1998 წლიდან 2005-მდე გრძელდებოდა, ძალიან ნაყოფიერი და დატვირთული პერიოდი იყო ჩემთვის. ახალი თაობა ინტენსიურად მოდიოდა და უშუალოდ ვეხებოდი ამ ყველაფერს. პირველად დაბეჭდილთაგან ყველას ალბათ ვერც გავიხსენებ, მაგრამ საერთო სურათის საჩვენებლად რამდენიმეს ჩამოთვლაც საკმარისი იქნება: დავით ქართველიშვილი, ზაზა ბურჭულაძე, ირმა ტაველიძე, ეკა ქევანიშვილი, გურამ მეგრელიშვილი, დათო გაბუნია, ნათია ნაცვლიშვილი, ირაკლი კაკაბაძე, თეა თოფურია, სოფიკო კვანტალიანი, დიანა ანფიმიადი, პაატა შამუგია და ა.შ. ამ ავტორების პირველმა ტექსტებმა სულ ჩემს ხელში გაიარა...პირველი გამოხმაურება დავწერე ლაშა ბუღაძის, ანა კორძაია-სამადაშვილის, თეონა დოლენჯაშვილის, დათო რობაქიძის, ნინო თარხნიშვილის და სხვათა პირველ პუბლიკაციებზე. ერთი სიტყვით, სადღაც 10-12 წლის წინ ქართულ ლიტერატურაში ახალი ძალების შემოდინება დაიწყო და ეს პროცესი ახლაც გრძელდება. მაშინდელი დამწყები ავტორები დღეს უკვე ლიტერატურული პროცესის განმსაზღვრელ ფიგურებად იქცნენ, თუმცა, ვფიქრობ, „ნულოვანების“ თაობა ჯერ კიდევ მაინც ჩამოყალიბების პროცესშია. მათი რეალური ძალა ათიოდე წელიწადში სრულად გამოჩნდება. მთლიანობაში, მე მომწონს ის, რაც ქართულ ლიტერატურაში ხდება და ოპტიმისტურად განმაწყობს.

— პოეზიაზე ვისაუბროთ, კონკრეტულად კი შენს ახალ კრებულზე. „შრამი“ არსებითად განსხვავდება დანარჩენებისგან იმით, რომ დიდი დოზით შემოდის რელიგიური თემატიკა. თუმცა ეს არ არის რელიგიურობა ამ სიტყვის დოგმატური გაგებით. შენ იღებ ყველასათვის ცნობილ ბიბლიურ მოტივებს და საკუთარი ინტერპრეტაციით სთავაზობ მკითხველს. პირველ რიგში, როგორ მიხვედი აქამდე?

— სრულიად ბუნებრივად. ლიტერატურის ისტორია ამის გარეშე არ არსებობს. პოეტები თუ პროზაიკოსები ყოველთვის კითხულობდნენ წმინდა წიგნებს და მათთვის მისაღებ ფორმაში აქცევდნენ. საწყის ეტაპზე, როდესაც ახალგაზრდა ხარ, ყოველთვის ჭარბობს „ათეისტური“ დამოკიდებულება. შეიძლება ეს იყოს ეპატაჟიც. უფრო ხშირად პროტესტისა და ზედაპირული უარყოფის მომენტი იჩენს თავს. გარკვეული დროის შემდეგ ადამიანი ამ ყველაფერს სხვანაირად უფიქრდება და აზრებიც სხვაგვარად დატრიალდება ხოლმე.

— ეპატაჟის მარცვლები აქაც არის, თუნდაც „ტანსაცმლის ოდა“ ავიღოთ.

— ვითომ? ჩემთვის სულაც არ არის ეპატაჟი. შეიძლება ეს მომენტი სხვაგან უფრო იყოს. მაგალითად, მაქვს ასეთი ლექსი — „აღდგომა“. აქ უფრო ის მომენტია, რომ ადამიანურ ყოფაში მეტაფიზიკური მოვლენები მცირე ფორმატით თამაშდება და ჩვენ ამას ან ვხედავთ, ან არა, ან უბრალოდ გარეგნულად ვამსგავსებთ. თუ კარგად დააკვირდები, შენს ცხოვრებაშიც შეიძლება ხდებოდეს პატარა „აღდგომები“, ის კი არადა, სათამაშო, სახელად „ძე“, რომელიც შენს ვაჟს მიუტანე და რომელიც მან დაამტვრია, ორი დღის შემდეგ შეიძლება აღმოაჩინო „კვლავ აწყობილი, / გამოცვლილი ელემენტებით / და კარგად დაქოქილი“. რაც შეეხება „ტანსაცმლის ოდას,“ ეს ლექსი შეიძლება ძალზე კონსერვატიულიც კი იყოს. აქ სულ სხვა რამაა ჩადებული. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ ყალიბდება ადამიანის ბუნება, კულტურა, ეთიკა, ესთეტიკა. ტანსაცმელი ის ფენომენია, რომელიც ხელს უწყობს პიროვნების ჩამოყალიბებას, მის განვითარებას, ადამიანურ ურთიერთობებს. შეიძლება ითქვას, ეს უფრო „კულტუროლოგიური“ ლექსია.

— კრებულს „შრამი“ ერთ-ერთი ლექსის სახელწოდების მიხედვით დაერქვა. რამდენადაც ვიცი, ეს ლექსი სულ ბოლოს დაწერე, თუმცა წიგნში პირველ ნომრადაა შეტანილი და ასე ვთქვათ, ხსნის მას.

— ამ წიგნის სახელწოდებაზე დიდხანს ვფიქრობდი. ყდა უკვე გაკეთებული იყო — ჩემი პორტრეტი შევარჩიე, რომელიც 8 წლის წინ დახატა სოფო ჩხიკვაძემ, სათაურს კი ვერ ვურჩევდი. რამდენიმე დღეში სტამბაში უნდა წასულიყო და მაინც გული მეთანაღრებოდა. ერთ დღესაც, ვუყურებ მის ნახატს, ანუ ჩემს პორტრეტს ლოყაზე ჩამოსმული წითელი ხაზით, და უცებ მომდის აზრად – „შრამი“ ხომ არ დავარქვა-მეთქი? ეტყობა ეს იდეა თან ჩამყვა და იმდენად იმუშავა, რომ მეორე თუ მესამე დღეს ამ სახელწოდების ლექსი დავწერე და კრებულიც შეიკრა.

— საინტერესო და ორიგინალური ლექსია სამყაროს შექმნაზე, რომელიც უფალს სახეზე დაჩნეულ შრამებად დაუჯდა. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები — „ფინალი,“ რომელიც ასევე კრავს კრებულს. აქ ორი მომენტი იკვეთება — ერთი მხრივ, თითქოს აჯამებ შენს შემოქმედებას, მეორე მხრივ, მუზის უქონლობას უჩივი. რეალურად რაზეა ეს ლექსი — მართლა პოეტური ფინალია თუ უბრალოდ წერ იმაზე, როგორ აღარ გეწერება?

— მართლა ისე იყო ყველაფერი, როგორც ლექსშია. აივანზე ვიდექი და ვფიქრობდი, რაზე შეიძლება დავწერო-მეთქი ლექსი. ფაქტობრივად, აღვწერე ის გარემო და განცდები, რაც იმ მომენტში მქონდა: იქ ავტობუსმა გაიარა – გამახსენდა, რომ ავტობუსზე დაწერილი მაქვს; სიგარეტი გავაბოლე –სიგარეტზეც მაქვს ლექსი; ელექტრობოძი – ამაზეც; აქეთ გამოვიხედე – ყველა ჩემს შვილს მივუძღვენი ლექსი; მიწერია ტანსაცმელზე, ფულზე, ფაიფურის თვისებებზე, შტეფსელზეც კი და სადღაც აქ გავიჭედე... მერე მივხვდი, რომ სწორედ ეს იყო თემა — ის, თუ როგორ აღარ გაქვს საწერი და როგორ ველარ წერ. მოხდა ისე, რომ ამ ლექსის შემდეგ ნახევარ წელზე მეტხანს მართლა ველარაფერი დავწერე და ცოტა შევშინდი კიდეც — მართლა ფინალური ლექსი ხომ არ გამომივიდა-მეთქი, მაგრამ მერე ისევ ღმერთმა მიშველა და შეიქმნა „შრამი“.

— ეს კრებული როგორ შეადგინე, უბრალოდ, 2006-დან დაწერილი საუკეთესო ლექსები შეიტანე?

— ყოველთვის ასე ვაკეთებ. ერთადერთი — „ფანქარი ცაში“ გავაკეთე რჩეულის

დასასრული მე-14 გვერდზე



მკითხველი

კახა ჯამბურია

გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენის ჯგუფის ხელმძღვანელი კახა ჯამბურია ძალზე საინტერესოდ საუბრობდა ლიტერატურაზე. საუბრობდა ცოდნით, როგორც პროფესიონალი ფილოლოგი და ამავდროულად გატაცებით, გრძნობით, როგორც უბრალოდ ლიტერატურისმოყვარე ადამიანი. მან გაიხსენა დავით გურამიშვილი და მისი პოეზია, ისაუბრა გურამ დოჩანაშვილისა და ჯემალ ქარჩხაძის გამორჩეულ პროზაზე, საქართველოში ნაკლებადცნობილი უცხოელი მწერლების განსაკუთრებულ ოსტატობაზე... ვფიქრობ, წინამდებარე ინტერვიუში მნიშვნელოვანი ისაა, რომ ბატონი კახა შეეხო ავტორებს, რომელთაც — საყვარელ მწერლებს შორის — არც ისე ხშირად ასახელებს ჩვენი რუბრიკის „მკითხველი“.

— მახსოვს, გარკვეული ხნის წინათ, ინტერნეტის საშუალებით გავეცანი თქვენს სტატიას, რომელიც დღემდე მახსოვს. გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებაზე საუბრობდით, მის ტექსტებს განიხილავდით. სტატიიდან ჩანდა, რომ შესანიშნავად იცნობთ დოჩანაშვილის პროზას და, როგორც მკითხველს, განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვთ მის მიმართ. ჩვენი საუბარიც ამ თემით დავიწყოთ — XX საუკუნის გამორჩეული პროზაიკოსით.

— ჩემი და ბატონი გურამის მეგობრობა დაახლოებით ოცი წლის წინათ დაიწყო. მაშინ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ვმუშაობდი. ახლადდაარსებული ჟურნალისათვის — „ლიტერატურა და ხელოვნება“ (რომელსაც ჩვენი და ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი ერთობლივად გამოსცემდა) — დამავალეს, მომემზადებინა დიალოგი გურამ დოჩანაშვილთან. ბატონი გურამის ნაწარმოებებს სტუდენტობის წლებიდან ვკითხულობდი. ჩემმა თაობამ დოჩანაშვილის ტექსტები ლამის ზეპირად იცოდა, მისი ფრაზებით ვსაუბრობდით. მწერლის შემოქმედება ყოველთვის განსაკუთრებული, განსხვავებული მოვლენა იყო ჩემთვის. ცნობილ ფრანგ კრიტიკოსს, როლან ბარტს აქვს ერთ გამოკვლევაში — ახალი ლიტერატურული ეტაპის დასაწყისად კონკრეტულ თარიღს ასახელებს და შემდეგ ასაბუთებს თავის მოსაზრებას. მე კი მგონია, დოჩანაშვილის სიტყვით — „ჩამომალაბორანტეს“ — ქართულ ლიტერატურაში ახალი ეტაპი დაიწყო. ენის ამგვარმა გამომსახველობითმა საშუალებებმა ქართულ პროზაში სრულიად ახალი, ჯერ კიდევ უცნობი სამყარო დაგვანახა. თუმცა, ეს დოჩანაშვილის მიერ აღმოჩენილი მეთოდი არ ყოფილა. „ვეფხისტყაოსანში“ გასაოცარი სიტყვათქმნადობა გვხვდება, მაგალითად: „ცამცა გაიდარბაზესა“, „მო-ცა-კვდა, გასისხლმდინარდა“ და სხვ. ამ თვალსაზრისით რუსთველი შეუდარებელია და „ვეფხისტყაოსანს“ ქართულ ლიტერატურაში ანალოგი არ მოეპოვება. თუ პოემას ზედაპირულად იცნობ, შესაძლოა შეფარული კავშირი დოჩანაშვილის ტექსტებსა და „ვეფხისტყაოსანს“ შორის ვერც დაინახო. მაგალითად, „დრაჰკანი“, რომელიც რომანში „სამოსელი პირველი“ ფულის ერთეულია, სწორედ რუსთველთან გვხვდება. იგივე შეიძლება ითქვას მეთოდზე — „ვეფხისტყაოსანი“ ამის საუკეთესო ნიმუშია — როცა ავტორი მოქმედების ადგილად სხვა, უცხო მხარეს ირჩევს. სხვათა შორის, მწერალთა მხრიდან ამგვარი ლიტერატურული ფორმის გამოყენებას საბჭოთა კრიტიკა ყოველთის ეჭვის თვალით უყურებდა.

მახსოვს, მაშინ საკმაოდ ვრცელი დიალოგი გამოვიდა ბატონ გურამთან. დავით გურამიშვილის შემოქმედებაზეც ვისაუბრეთ. ჩემი სუბიექტური შთაბეჭდილებები რომ გავუზიარე, დაინტერესდა და „დავითიანი“ კიდევ ერთხელ გადაიკითხა. დიდ პატივად მიმაჩნია, რომ ჩვენი საუბრის შემდეგ მან ხელახლა აღმოაჩინა გურამიშვილი.

— არაერთი ლიტერატურული ნოვაცია, რომლის ავტორიც გურამ დოჩანაშვილია — აღიზიანებდა მის თაობას.

— აღიზიანებდა სწორედ მის თაობას და არა — ახალგაზრდებს. ბატონი გურამი ახალგაზრდობის მწერალი იყო. რაც შეეხება უფროსების დამოკიდებულებას მისი შემოქმედების მიმართ, მახსენდება გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ძალზე კრიტიკული წერილი. იმ წლებში „კომუნისტის“ გვერდებზე მწერლის აუგად მოხსენიება ძალიან ცუდ რამეს ნიშნავდა. ბატონი გურამი ოფიციოზის მხრიდან დაფასებული და პრივილეგიებით განებივრებული არასოდეს ყოფილა, არც რაიმე პრემია მიუღია მათგან. ვინც მის ავტობიოგრაფიულ რომანს — „რაც უფრო მახსოვს, და მეტად მაგონდება“ — გაეცნობა, დარწმუნდება, რომ ეს ადამიანი ორჯერვე პოლიტიკური მოტივით იჯდა ციხეში. ერთადერთი, რაშიც ამ მწერალს გაუმართლა, ის არის, რომ მისი ყველა ნაწარმოები დაიბეჭდა. ...როცა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილის ავტორი ბატონ გურამს შეხვდა, თავი ასე იმართლა — მე რომ არა, უარესებს დაწერდნენო. შემდეგ კიდევ გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც გურამ დოჩანაშვილთან ერთად ბესიკ ხარანაულიც გააკრიტიკეს. ორ ყველაზე გამორჩეულ პიროვნებას — ჩვენი თაობის მეტრებს — იმისათვის კიცხავდნენ, რისთვისაც მათი შემოქმედება ასე მოსწონდა ახალგაზრდობას — ახალი ლიტერატურული ფორმებისა და ნოვატორული ძიებებისათვის.

— სოციალისტურმა რეალიზმმა გარკვეული სტანდარტები, კლიშეები ჩამოაყალიბა და შემოქმედი ადამიანებისაგან მოითხოვდა, რომ ხელოვნება რაღაც ჩარჩოებში მოექციათ. ამან თავისებურად იმოქმედა ლიტერატურაზე, ზოგადად —კულტურაზე.

— არ შეიძლება ოთარ ჭილაძეზე ითქვას, რომ ოდესმე რაიმე კლიშესა თუ სტანდარტს ემორჩილებოდა. ის ყოველთვის ძალზე ორიგინალური და თავისთავადი მწერალი იყო — დიდი მწერალი. ქართველი ავტორები სოციალისტური იდეოლოგიის მოთხოვნებს არასოდეს ითვალისწინებდნენ, მაგრამ სტანდარტები მაინც არსებობდა და ქვეცნობიერად ეს მოქმედებდა ადამიანებზე. ამიტომ ახლის ძიება, ნოვატორობა იმდროინდელ ქართულ მწერლობაში ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ოთარ ჭილაძეზე აღარ შევჩერდები, მისი შემოქმედების შესახებ ბევრი რამ თქმულა. ერთი, სრულიად გამორჩეული ქართველი მწერალი მინდა გავიხსენო — ჯემალ ქარჩხაძე. მან ძალიან საინტერესო ფორმა მოუძებნა სათქმელს. ამჯერად მხედველობაში მაქვს მისი „ანტონიო და დავითი“, რომელშიც სხვადასხვა პერსონაჟი ერთსა და იმავე ამბავს ყვება. ამ ხერხს ფოლკნერი ბევრად ადრე მიმართავდა და ქარჩხაძემაც ბრწყინვალედ გამოიყენა თავის ნაწარმოებში. მის შედევრზე — „იგი“ — აღარაფერს ვამბობ. სხვათა შორის, გურამ დოჩანაშვილს აქვს ჩემთვის ნათქვამი: „სიამოვნებით მოვაწერდი ხელს „იგის“, ასე წერა რომ შემეძლოს...“ სამწუხაროა, რომ ჯემალ ქარჩხაძე – XX საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო ავტორი ისე დაუფასებლად წავიდა ჩვენგან, რომ საკადრისი პატივი ვერ ვეცით, ჩვენი აღფრთოვანება და სიყვარული ვერ ვაგრძნობინეთ.

— სამწუხაროდ, დაუფასებლობა არაერთი დიდი მწერლის ბედისწერა გამხდარა. ასეთ ავტორებს შორისაა დავით გურამიშვილი, რომლის მიმართ დამოკიდებულება გარკვეულწილად უკვე გამოხატეთ. თქვენი აზრით, რა არის მიზეზი, რომ ასეთი დიდი პოეტი და გამორჩეული მოაზროვნე უსამართლოდაა მივიწყებული?

— ძველი ქართული ლიტერატურის მეცნიერული კვლევა XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო, როცა ივანე ჯავახიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსა. ამას მალე მოჰყვა საქართველოს გასაბჭოება და იდეოლოგიური ცენზურა. ბუნებრივია, გურამიშვილის — ქართულ ლიტერატურაში ყველაზე დიდი მისტიკოსი პოეტის — შემოქმედების შესწავლა საკმაოდ შეიზღუდა. გურამიშვილი განსხვავებული წყობისა და აზროვნების ადამიანია, იგი ყველაფერში ღვთის ნებას ხედავს. ამ მოაზროვნის მიხედვით, „თურქი, ლეკი, სპარსი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი“ — ქვეყნის უბედურების მიზეზი კი არა, შედეგია. მიზეზად იგი ერის სულიერ დაძაბუნებას მიიჩნევს. ადამიანები სულიერად უძლურდებიან მაშინ, როცა მათ შორის სიყვარული ქრება. სიყვარულს კი მუდამ ურწმუნოება უპირისპირდება. გურამიშვილისათვის ყველა უბედურების სათავე სწორედ ურწმუნოებაა. იოანე ღვთისმეტყველის მიხედვით, „ღმერთი სიყვარული არს“ და საქართველოს ბედუკუღმართობის მიზეზს პოეტი ურწმუნოებაში, ე. ი. უსიყვარულოდ ცხოვრებაში ხედავს. ბუნებრივია, საბჭოთა სკოლაში გურამიშვილის შემოქმედებას — საზოგადოებრივი ცნობიერებისა და საქართველოს ისტორიის მისეულ ანალიზს, მსოფლმხედველობას, ღვთისადმი დამოკიდებულებას — არავინ ასწავლიდა. ბავშვებს ყველაზე ნაკლებად ფასეულ — ე. წ. „სწავლა მოსწავლეთას“ აზეპირებინებდნენ და ამით აძულებდნენ ამ ნაწარმოებს. ხოლო განსაკუთრებულად ღირებული ნაწილი — რელიგიური ჰიმნები და ე. წ. „ქართლის ჭირის“ პროვიდენციალური ნაწილი — ფაქტიურად მიჩქმალული და გაყალბებული იყო.

— ვფიქრობ, შედეგად მივიღეთ ის, რომ ჩრდილში დარჩა გურამიშვილის პოეტური სიდიადეც.

— გურამიშვილი სიტყვის საოცარი ოსტატია. დააკვირდით, ინტონაციურად რამდენად მსგავსია გალაკტიონის „ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი“ და გურამიშვილის „ზუბოვკიდან მომავალმან ვნახე ერთი ქალი“... სწორედ გურამიშვილის მოძებნილია ის რიტმები, ჟღერადობა, ფორმები, რომლებიც შემდეგ ათასნაირად გამოიყენეს ჩვენმა პოეტებმა. ვერსიფიკაციის თვალსაზრისით, გურამიშვილი ნამდვილი ნოვატორია. ის აშკარად პირველია, ვინც საუკუნეების შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა დაძლია და პოეზიაში სრულიად ახალი ფორმები შექმნა. ე.წ. „აღორძინების ხანის“ პოეტები რუსთველის ეპიგონები იყვნენ, თექვსმეტმარცვლიანი შაირით წერდნენ და საკმაოდ მძიმედ საკითხავი, ნაკლებად საინტერესო ტექსტები დაგვიტოვეს. გურამიშვილის პოეზია კი ნოვაციების თვალსაზრისით ამოუწურავია. მისი კვლევა საკმაოდ გვიან დაიწყო. არაერთმა კარგმა მეცნიერმა იმუშავა მის ტექსტებზე, თუმცა შესასწავლი და საკვლევი ჯერ კიდევ ბევრია.

— ახალგაზრდა ქართველი მწერლების ნაწერებს საზოგადოება სხვადასხვაგვარად აფასებს. ნაწილს მოსწონს ისინი, სხვებისთვის კი ეს თემატიკითა და ლექსიკით ღარიბი ლიტერატურაა. საინტერესოა თქვენი აზრი ახალგაზრდა ავტორების შესახებ.

— რა თქმა უნდა, ახალგაზრდა მწერლებიდან ყველა წარმატებული ვერ იქნება. ჩვენსავით პატარა ქვეყანას არ შეიძლება ერთ თაობაში ათი-ოცი დიდი მწერალი ჰყავდეს. ის რომ, მკითხველი ორსამ ავტორს კარგად იცნობს, უკვე ბევრს ნიშნავს. ჰოლანდიას ლიტერატურაში ერთადერთი ნობელიანტი — ჰარი მულიში ჰყავს და ყველა მას შეხარის. ჩვენ, ჩემი აზრით, მულიშზე უკეთესი მწერლები გვყავს. როცა ახალგაზრდა ავტორების ნაწარმოებებს ვკითხულობ, ყველაფერზე მეტად ლექსიკის სიმწირე მაღიზიანებს. თითქოს ქართული არც ისე კარგად იციან. ცხადია, ეს არ ეხება აკა მორჩილაძეს — ძალიან საინტერესო მწერალს, რომელიც ენას ბრწყინვალედ ფლობს. მორჩილაძის პროზას ახალგაზრდები დიდი ინტერესით კითხულობენ, თუმცა მისი ტექსტები — განსაკუთრებით მისი დიდტანიანი რომანები — „სანტა ესპერანსა“, „Maid in Tiflis“ — ადვილი საკითხავი სულაც არ არის.

დასასრული მე-14 გვერდზე

„გურამიშვილი ნამდვილი ნოვატორია“

მწერალი

შოთა იათაშვილი:

„უფრო იშვიათად ვწერ“

დასასრული

პრინციპით — მასში სხვადასხვა პერიოდის საუკეთესო ლექსები გაერთიანდა. „შრამშიც“ ძირითადად ბოლოდროინდელი ლექსებია, მხოლოდ ორიოდე ლექსი გადმოვიდა ძველი კრებულებიდან, ისიც იმიტომ, რომ რამდენიმე ციკლი ამ წიგნში შეიკრა და დასრულდა. ახლახან ელექტრონული „მაღაზიისთვის“ ორი ელექტრონული წიგნი გავაკეთე. ეს ფორმა აქტიურად მკვიდრდება მსოფლიოში და საქართველომდეც მოაღწია. ოქტომბრის ბოლოდან ლიტერატურულ საიტ lit.ge-ზე მსურველებს თანამედროვე ქართული ლიტერატურის შეძენა შეეძლებათ, კლასიკა კი უფასოდ იქნება. ეს ძალიან გასახარია, განსაკუთრებით საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისთვის, რომელთაც ფიზიკურად არა აქვთ ნაბეჭდი პროდუქციის ყიდვის საშუალება. როდესაც წიგნის გაკეთება შემომთავაზეს, საჭირო გახდა გარკვეული ფორმის მოფიქრებაც — რაღაცნაირად ხომ უნდა დამელაგებინა ეს ყველაფერი, ამიტომ ასეთ ხერხს მივმართე: ჩემი ლექსები ორად გავყავი: ვერლიბრებად და რითმიანებად. საერთოდ, საკუთარი თავი ვერლიბრისტად მიმაჩნია და ვფიქრობ, საუკეთესო რაც დამიწერია, ძირითადად ამ ფორმაშია, მაგრამ გადავწყვიტე, რითმიანი ლექსებიც შემერჩია. ეს უკვე კონცეფცია იყო. გამოვიდა ორი წიგნი — „ცხოვრების ჭერი“ ვერლიბრებით და „სული ამოიწურა“ — რითმიანებით. პირველში შევიდა 20 წლის განმავლობაში დაწერილი ვერლიბრები, მეორეში – 15 წლის მანძილზე შექმნილი რითმიანი ლექსები. ყდაზე ისევ სოფო ჩხიკვაძის ნახატებია, რაღაცნაირად ჩემი მხატვარი გახდა.

— ვერლიბრი უფრო ჩემიაო თქვი, რითმიანში უბრალოდ მოსინჯე თავი?

— ალბათ ყველაფერი ბეზრდება ადამიანს და იმ მომენტში მეც ეს დამემართა. გარკვეული მცდელობები ადრეც მქონდა, მაგრამ იყო პერიოდი, როდესაც მთლიანად რითმიან ლექსზე გადავერთე. მაგალითად, კრებულში „სანამ დროა“ 80 პროცენტი სწორედ რითმიანი ლექსებია. რაღაცას რომ აითვისებ და იცი, როგორ უნდა აკეთო, მოსაწყენი ხდება, ეს დამემართა ვერლიბრთან მიმართებაში და გადავერთე რითმიანზე, გულმა იქით გამიწია. იქაც რაღაცეები გამოვიდა საინტერესოდ. დროდადრო ისევ მივუბრუნდები ხოლმე რითმიანებს. მაგრამ კაი ხანი რომ კონვენციური ლექსი ვწერე, ამან კარგად იმოქმედა, რადგან ისევ მომანატრა ვერლიბრი და განახლებური ენერგიით მივუბრუნდი.

— ახლა რაზე მუშაობ?

— პელევინის „Generation Ï “-ს ვთარგმნი. შეკვეთილი თარგმანია და წლის ბოლოსთვის ალბათ გამოსცემენ. ნოემბრის ბოლოსთვის „ლიტერატურული პალიტრის“ დამატების სახით ჩემი მოთხრობების კრებული გამოვა, რომელშიც სხვადასხვა პერიოდის ტექსტები შევა. სულ სამი მოთხრობების წიგნი მაქვს: „კონტრაჟური“ (1998), „ყვავილთა ყვავილი და ინჟინერი“ (2000) და „ფოტომამები“ (2005). სამივედან ვარჩევ საუკეთესოებს, რომელთაც ახალი მოთხრობებიც დაემატება. საერთოდ, პროზას თითქოს ცოტას ვწერ, მაგრამ მაინც გროვდება. 2005 წლიდან 2011-მდე 6 მოთხრობა მქონდა დაწერილი, მაგრამ წელს, ზაფხულში, მუხათწყაროში პროზის მუზა გამეხსნა და თვენახევარში 5 მოთხრობა დავწერე. კრებულში ამ მოთხრობებსაც შევიტან. ვფიქრობ, ურიგო წიგნი არ გამოვა. ნელ-ნელა მიიწევს წინ, მაგრამ მაინც ვმუშაობ რომანზე „მამები, დედები და შვილები“, რომლის პირველი ოთხი თავი საიტზე kalmasoba.com გამოქვეყნდა.

— კიდევ ერთ თემას შევეხოთ, ეს არის ლიტერატურული კონტაქტების თემა, რომელიც თანამედროვე მწერლობისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

— ქართული ლიტერატურა ნელ-ნელა გადის უცხოეთში, თუმცა ეს საკმარისი არ არის. როგორც პოეტს, ხშირად მიწვევენ სხვადასხვა ფესტივალზე. ჩემს არაერთ მეგობარსაც უწევს სიარული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროზაში უფრო რთული ვითარებაა, მისი თარგმნა ფინანსებს უკავშირდება. პოეზიის შემთხვევაში უფრო მარტივადაა საქმე. ჩემი ლექსები 15 ენაზეა ნათარგმნი და ეს ყოველთვის ბუნებრივად ხდებოდა: ფესტივალზე რომ გეპატიჟებიან, ლექსიც აუცილებლად უნდა ითარგმნოს და ამას ყოველთვის ფესტივალის ორგანიზატორები აგვარებენ. მინდა ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილო ყურადღება — ჩვენში არ ტარდება პოეზიის საერთაშორისო ფესტივალი.

— ეს ენობრივ ბარიერს ხომ არ უკავშირდება?

— თუ თარგმანზეა ლაპარაკი, მშვენიერი მთარგმნელები გვყავს სხვადასხვა ენებიდან, უშუალოდ პოეტები, რომლებიც ამ ენებს ჩინებულად ფლობენ და არავითარი პრობლემა არ იქნება ინგლისელი, ფრანგი, სპარსი თუ არაბი პოეტის თარგმნა. თუ ფესტივალზე პოეტის სრულყოფილად წარდგენის ენობრივ ბარიერებზეა საუბარი, მათ დასაძლევად მშვენიერი მეთოდებია შემუშავებული. მე, მაგალითად, ყველაზე მეტად მომეწონა როტერდამის ფესტივალი, სადაც პოეტი თავის ენაზე კითხულობს ორიგინალს, ეკრანზე კი ინგლისურად და ჰოლანდიურად (ორგანიზატორი ქვეყნის ოფიციალურ ენაზე) ნათარგმნი ტექსტი მიდის პარალელურ რეჟიმში. ანუ, მსმენელი ორიგინალსაც ისმენს ავტორის შესრულებით და თარგმანსაც ადევნებს თვალს. არსებობს სხვა, ნაკლებად მოხერხებული ვარიანტიც — როდესაც ნათარგმნ ტექსტს მსახიობი ან მთარგმნელი კითხულობს, თუმცა ეს ყველაფერი მოგვარდება, მთავარია აქამდე მივიდეთ. სულ იმას გავიძახით, რომ პოეზიის ქვეყანა ვართ და ყოველი მეორე ქართველი პოეტია. თუ სიმღერის, კინოსა და თეატრის ფესტივალები გვაქვს, პოეზიის ფესტივალზეც უნდა ვიზრუნოთ.

ესაუბრა ნანა კობაიძე



მკითხველი

კახა ჯამბურია:

„გურამიშვილი ნამდვილი ნოვატორია“

დასასრული

ლექსიკის სიმწირეზე საუბრისას არ მინდა რომელიმე ავტორი კონკრეტულად დავასახელო. ჩემი მიზანი მათი განაწყენება არ არის, პირიქით, მინდა რაც შეიძლება მეტი იკითხონ, განსაკუთრებით — ძველი ქართული ტექსტები. ზოგი ავტორი მხოლოდ სასაუბრო მეტყველებას იყენებს. თითქოს რა არის ამაში ცუდი? შეიძლება სლენგი გამოიყენო და ძალიან მაღალი დონის მხატვრული ტექსტი შექმნა. ამერიკელი მწერლის კურტ ვონეგუტის პროზა ამის საუკეთესო მაგალითია. ისეთი სლენგით წერს, რომ თუ მის ნაწერებს ორიგინალში არ წაიკითხავ, შემოქმედებაზე სრულყოფილ წარმოდგენას ვერ შეიქმნი. მაგრამ ძალიან მძიმე შთაბეჭდილება იქმნება, როცა ავტორი სლენგის მიღმა ვერაფერს გვთავზობს.

ისევ გურამ დოჩანაშვილს თუ გავიხსენებთ, მას ამოუწურავი ლექსიკური მარაგი აქვს. დიალექტიზმებსაც დიდი ოსტატობით იყენებს. ამან მისი ბოლოდროინდელი ნაწარმოებები კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადა.

— გარკვეულწილად, ასეთი ტექსტები დამღლელია. ბატონი გურამის ბოლოდროინდელი ნაწარმოებების წაკითხვა, აღქმა ბევრს გაუჭირდა კიდეც.

— ავტობიოგრაფიულ რომანში — „რაც უფრო მახსოვს, და მეტად მაგონდება“ — ძალიან კარგადაა დაცული ბალანსი. წიგნი საკითხავად საინტერესოცაა და სახალისოც. მოგეხსენებათ, ბატონ გურამს ჩინებული იუმორი აქვს.

არიან მწერლები — XX საუკუნის ავტორებს ვგულისხმობ — რომლებიც ენობრივად რთულ ქსოვილს ქმნიან. ასეთია, პირველ რიგში მარსელ პრუსტი, უილიამ ფოლკნერი, ჯეიმს ჯოისი. ამ ავტორების ნაწარმოებთა წასაკითხად (განსაკუთრებით ჯოისის) სულიერი ძალების სრული მობილიზებაა საჭირო, მაგრამ ამის მიუხედავად, მათი ტექსტები დიდი ხელოვნების, დიდი ლიტერატურის ნიმუშებს წარმოადგენს. გურამ დოჩანაშვილის ბოლო პერიოდის რომანები სწორედ ამ ტიპის ლიტერატურას განეკუთვნება. თანამედროვე მკითხველს წიგნის საკითხავად მობილიზება, გარჯა ეზარება, უფრო მეტ დროს გართობასა და ტელევიზორს უთმობს. ეს მარტო ჩვენი პრობლემა არ არის.

— როგორც მივხვდი, პრუსტი, ფოლკნერი, ჯოისი თქვენს საყვარელ მწერლებს შორის არიან. საერთოდაც, კლასიკის მიმართ მკითხველის ინტერესი არასოდეს ნელდება. თუმცა თანამედროვეთა შორის არიან ძალიან საინტერესო, ზოგჯერ — დიდებული მწერლები, რომელთა შემოქმედება ქართველ მკითხველს ჯერ სრულად არ აუთვისებია.

— სხვათა შორის, ყოველთვის მწყდებოდა გული იმის გამო, რომ ჩვენს საზოგადოებას, რომელიც შედარებით კარგად იცნობს ლათინოამერიკულ ლიტერატურას, ძალზე ზედაპირული წარმოდგენა აქვს შტატების მწერლობაზე. მაგალითად, არ არის თარგმნილი ჯოზეფ ჰელერის ბრწყინვალე ანტისაომარი რომანი — „Catch-22“. რომანის სახელწოდება, ინგლისურენოვან თანამედროვე ლექსიკონებში აბსურდული, გამოუვალი სიტუაციის აღმნიშვნელ ტერმინადაა შეტანილი. მას მეტყველებაშიც ბევრი იყენებს, თუმცა (როგორც ერთმა ინგლისელმა ლიტერატორმა მითხრა) უმეტესობამ არ იცის, რომ ეს ტერმინი რომანის სათაურიდან წარმოიშვა. ქართულად ალბათ ასე ითარგმნება — „ხაფანგი-22“. ჩვენში ნაკლებადაა ცნობილი კურტ ვონეგუტიც — შესანიშნავი ამერიკელი პროზაიკოსი და ესეისტი. ორივე ეს ავტორი მოვლენაა XX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში. გულდასაწყვეტია, რომ ქართველი მკითხველი კარგად არ იცნობს გასული საუკუნის ევროპული მწერლობის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ფიგურას — ნორვეგიელ იუჰან ბორგენს. რამდენადაც ვიცი, ქართულად მისი ტრილოგიის მხოლოდ პირველი ნაწილი — „პატარა ლორდი“ ითარგმნა.

უცხოურ კლასიკურ ლიტერატურაში არიან მწერლები, რომელთა ნაწარმოებებიც ყოველთვის შემიძლია ვიკითხო. ასეთებია — დოსტოევსკი და ბულგაკოვი; ასევე ძალიან ახლობელია მარსელ პრუსტის შვიდრომანიანი ციკლი „დაკარგული დროის ძიებაში“; გამორჩეულად მიყვარს ფოლკნერის რომანები — „აგვისტოს ნათელი“ და „ოდეს ვკვდებოდი“ (მისი ქართული თარგმანი შესანიშნავადაა შესრულებული).

ძალიან მაწუხებს ის გარემოება, რომ მომავალი თაობის ქართველმა მკითხველმა შესაძლოა რუსული ლიტერატურის ორიგინალში წაკითხვა ვეღარ შეძლოს. XIX—XX საუკუნეების რუსულ კლასიკას განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის მსოფლიო მწერლობაში. ვფიქრობ ქართველმა მკითხველმა არ უნდა „დაკარგოს“ გოგოლი, დოსტოევსკი, ჩეხოვი, ბუნინი, ბულგაკოვი. ნაწარმოების ორიგინალში წაკითხვა ძალიან მნიშვნელოვანია. მხატვრულ ტესტში ენას ისეთი დიდი ფუნქცია აკისრია, რომ საუკეთესო თარგმანიც კი, ნაკლულოვანია დედანთან შედარებით.

— ქართულ თარგმანებზე ვისაუბროთ. დღეს უცხოური ტექსტები ინტენსიურად ითარგმნება, ეს პროცესი ქართული ლიტერატურის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა თარგმანების ხარისხი ხშირად სადავო არის ხოლმე.

— სიამოვნებით ვისაუბრებ არაჩვეულებრივ, კონგენიალურ ქართულ თარგმანებზე. ასეთი ბრწყინვალე მოვლენაა ბაჩანა ბრეგვაძის თარგმნილი „დონ კიხოტი“. ყველაფერი, რაც კი ამ ადამიანმა თარგმნა (დაწყებული პლატონის „დიალოგებიდან“) განსაკუთრებული განძია ჩვენი ლიტერატურისათვის. ასეთივე დონის მოვლენად მიმაჩნია ფრანსუა ვიიონის ქართული თარგმანი, რომელიც დავით წერედიანმა შეასრულა. ეს ნამდვილი შედევრია. მასში ქართული ენის უზადო ცოდნა ჩანს. იშვიადად მეგულება მწერალი, ასე სრულყოფილად რომ ფლობდეს ენას.

საოცარი გემოვნებითა და ორიგინალის განსაცვიფრებლად ღრმა ცოდნით თარგმნის ქალბატონი მანანა გიგინეიშვილი. ტექსტის მიმართ როგორი ფაქიზი დამოკიდებულება ჩანს მის თარგმანთა კრებულში — „დიდება შენდა“, რომელშიც სხვადასხვა დროისა და ხალხების მიერ შექმნილი ღვთის სადიდებელი ჰიმნებია თავმოყრილი. რაც შეეხება ხუან რამონ ხიმენესის „პლატეროს“, მიმაჩნია, რომ ეს ქრესტომათიული ნიმუშია იმისა, როგორ უნდა ითარგმნოს ლირიკული პროზა. ქალბატონ მანანას იმდენად აქვს გათავისებული დიდი მწერლის პოეტური სამყარო და ისე აქვს გადმოტანილი ქართულ ენაზე, რომ გეგონება ორიგინალურ ტექსტს კითხულობ.

ძალიან მომწონს ქალბატონი დალი ფანჯიკიძის თარგმანები. აქაც — დაწყებული სათაურიდან ნაწარმოების ბოლო სიტყვამდე — ტექსტს საოცრად ქართული ჟღერადობა აქვს. ვერსად იპოვი ქართულისთვის უცხო კონსტრუქციებს, ხელოვნურ წყობას, კალკებს. სამწუხაროა, რომ ასეთი თარგმანები ცოტაა და მით უფრო საჭიროა, დავაფასოთ და ვიკითხოთ ის, რაც ასეთ მაღალ დონეზეა შესრულებული.

ესაუბრა თამარ ჟურული

* * *

გულების სითბო: სიტყვაში შეერთებული... აი, პოეზია!

* * *

ოპტიმისტი ბაჭიკუდა: „საწყალო, ბაჭიკუდაო, ცხენ ჩაგივარდა კუტადა...“ აი, პასუხი: „ადგება გაზაფხულზედა, განა კი ჩავსვი კრუტადა!“

* * *

ესთეტიური წვდომის ამნეზია!

* * *

წმინდანის სახე: პორტრეტი ვაჟა-ფშაველასი!..

* * *

მერცხალას სახლი მიგრიაულთის ხილიანაში. სახლის წინ დაწყებითი სკოლის შენობა იდგა. სახლს ზემოთ ტალა მაჩხოშვილი ცხოვრობდა, ხოლო ქვემოთ: მერცხალას ხნის მოხუცი ხვთისავარი, ტალას მამა. ხვთისავარმა დიდი მსხლის ხე მოჭრა ახლო გორაკზე: ჩემი მეგობრის სახლსა ფარავს და ვერა ვხედავო... ეხლა უკვე კარგად ხედავდა!

* * *

უსახელო პოეტები: ეპიტაფიებზე გადაფენილმა ხავსმა, ფოლკლორულ სიმღერებს აყოლილი ადამიანების გულმავიწყობამ, ისტორიის მუხთალმა შემთხვევითობებმა ჟამის წყვდიადში ჩაძირა მათი სახელები, დავიწყების ლობრით გადაიბურა, წაშალა... და, როცა იმათ უკვდავ სიტყვებზე გაბმულ სიმღერებს ისმენ, როცა მათი სტრიქონები გულზე მოგეშხეფება, გრძნობ, რომ იმათი სახელები აგერ აქაა, სულ ახლოსაა და საცაა უკვდავების შუქი გაანათებს, გაათბობს, მაღლა ასწევს... ასეთია ხვედრი უსახელო პოეტებისა!..

* * *

იწამე ესეც: პოეზიის ასტრალურობა...

* * *

პოეტს აქვს ერთგვარი თამაშის უფლება. ამ ამბავს რეალურად უნდა შევხედოთ. რას მოგვიტანს ჩვენ ნიჰილისტური ქირქილი და ყოველივეს განქიქების მანიაკალური წყურვილი, საით წაგვიყვანს ეს გზა, ლიტერატურული შურისგების ზემძიმე ლოდებით ჩახერგილი! ცხადია არსაით!.. და თუ ეს გზა მაინც სადმე წაგვიყვანს, მაშინ ეს იქნება დაღმართი ფსკერი!.. ვთქვი: პოეტს აქვს ერთგვარი თამაშის უფლება. მოდი, პოეტს ვაპატიოთ, თუ ამ თამაშმა უკიდურესობის ნაპირთან მიიყვანა. განა რა მოხდა? ის უფსკრულში ხომ არ გადაშვებულა, ხოლო ნაპირიდან დაბრუნება ყოველთვის შეიძლება: აქ მას დაეხმარება ნება, მიზანი...

* * *

ლექსის რიტმული სისუფთავე!

* * *

ლექსი პროზად: დასანანია, რომ ჩვენს დროში მას ზოგი მწერალიც კი ვერ აღიქვამს. ლექსი პროზად თვით ვაჟა-ფშაველას მეცხრამეტე საუკუნეშიც მისაღები იყო... ხოლო ეხლა აქ პოეზიას ვერ ამჩნევენ... რა არის ეს? ნუთუ ლექსი? კითხულობს მავანი. მაშ, სად არის რითმა? სად არის წყობილი, თანაბარმარცვლოვანი სტრიქონები? სად არის რიტმული ვარცხნილობა? სწორედ, რომ ეს არ არის! ეს ყოველივე პოეზია არაა!.. ხოლო პოეზია არის ლექსში დამწყვდეული სულის შინაგნობა, რაც სიტყვაში გამლღვალი ემოციით გამოისახება... და ემოციის გადაცემის მძლავრი უნარი პროზაულ ტექსტსაც გააჩნია... ეს არის ლექსი პროზად... და, როგორც მთლიანად პოეზია, ისიც შეიძლება იყოს კარგი, ან ცუდი, ცოცხალი, ან მკვდარი... აქ ფორმა არაფერ შუაშია. უდღეური პროზაული ტექსტი პოეზიის მაგალითად არ გამოდგება!.. უიტმანი, ბოდლერი, ლოტრეამონი და სხვა პოეტები ძველად უცხოეთში ამაგრებდენ ამ სალექსო ფორმას; ხოლო უცხოეთის ახალი პოეზია ლექსის ამ ფორმის პირდაპირი კლასიკაა... ჩვენში რა ხდება?.. ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გალაკტიონი, პაოლო იაშვილი, ტერენტი გრანელი, შოთა ჩანტლაძე დგანან ლექსი პროზის სათავეებთან... ასევე, არ დავივიწყოთ დღევანდელი, ახალი თაობის ქართველი პოეტები...

* * *

მაინც რა გადარდებს იმ სამყაროში, უსათუოდ რომ დაიღუპება? შენი თავი, თუ სხვა რამ?.. რა გადარდებს, ერთი მითხარი!

* * *

ვიგულოთ ესეც: ვიცხოვროთ პოეზიით და არა ვერსიფიკაციით!

* * *

აი, კიდევ ერთი ძველისძველი სიახლე: ფშაველი მოკაფიავეების რეპი!

* * *

დრომ გადააფასა რაფიელ ერისთავის უკვდავი სტრიქონები: „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა; არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..“ სამწუხაროდ, ასე მოხდა: სალი კლდეები დასტოვეს უკეთესი ცხოვრების მძებნელმა ქართველებმა... ცხადია, ეს ლექსი კვლავ დაბრუნდება ქართველის გულში, კვლავ ნათელს მოფენსა და გაამაგრებს მის ქართველობას! და ეს მოხდება მალე, ძალიან მალე!

* * *

ღმერთმა დასწყევლოს პირმოთნეობა და მაამებლობა მონური! ეს ისტორიული სნეულება სჭირს ჩვენს ხალხს და მისი განკურნების იმედიც არა სჩანს, არა!

* * *

მშობლიურ არახიჯაში, ცასთან სიახლოვეს ძალიან იოლი რამ იყო ვარსკვლავების გაცნობა, დამეზობლება...

* * *

ღრუბელმა წვიმა ჩაიფიქრა: მერე ისევ გადაიფიქრა!

* * *

გულწრფელობადაკარგული კაცი: ქლესა და მძრომელი, უმომავლო არსება, უღირსებო და უთვისებო მავანი... ის უეცრად გადაგეღობება შუაგზაზე: გულს აგირევს მისი რუყრუყი!

* * *

შესაძლოა, ეს სიზიფეს ნახელავიც იყოს: ამოიტანა ეს ვებერთელა ლოდი და დააგდო... ლოდი აღარ დაგორდა, რადგან ის მწვერვალს მიაჯაჭვა დედამიწის კურთხეულმა მიზიდულობამ... მაგრამ თვით სიზიფე სადღაა?.. ეგებ, სულაც ამ ლოდს შეადნა, შეესხეულა!.. ეგებ, ყაჩაღად გავარდა და ვანხევ-არახიჯის უღრანებში დაბორიალობს... ეგებ, სულაც ცაშია: აქედან ცა ხომ სულ ერთ ხელის აწვდენაზეა... ეხლა ამ ქვაზე შენ ზიხარ და, აღმართ-დაღმართით დაქანცული, ისვენებ!

* * *

პოეზიას უხმობენ სიკვდილმისჯილები: ისინი ღმერთთან სასაუბროდ პოეზიის ენას ირჩევენ!

* * *

მარინა ცვეტაევას უშეღავათო აზრი: პოეტის სიკვდილი ყოველთვის დროულია და ყოველთვის ნაადრევია!

* * *

ასე ამბობდა: ბევრი რამ მივცად-მოვცადე, ბოლოს კი ამ შავბნელ აზრამდე მივედი: თავისუფალი ქალი ცისქვეშეთში თითქმის არ არის, ხოლო მოღალატე ქალიც თუ გამოილია, მაშინ ძალიან ცუდად იქნება მე და შენი საქმე, ვეჟო!

დასასრული შემდეგ ნომერში

სიახლე

ლიტერატურული ალმანახი სამხრეთკავკასიელთათვის

„სამხრეთ კავკასია“ — ასე ეწოდება ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ალმანახს, რომელიც ახლახან გამოვიდა და რომელიც რეგიონის კულტურული ცხოვრების გაშუქებას ისახავს მიზნად. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურმა კონფლიქტება, ომებმა და სისხლისღვრამ რეგიონის მოსახლეობა ერთმანეთს საგრძნობლად დააშორა. ყოფით პრობლემებთან ერთად გაჩნდა დიდი კულტურული სიცარიელე. ადამიანებმა არ იციან, რითი სუნთქავენ მათი მეზობლები, რას წერენ, როგორ კინოს იღებენ, როგორი თეატრი აქვთ. სწორედ ამ უფსკრულის ამოვსებას ისახავს მიზნად „სამხრეთ კავკასია.“

ალმანახის შექმნის იდეა ქართველ მწერალ გურამ ოდიშარიას და მის აფხაზ მეგობარს, ბათალ კობახიას ეკუთვნით. მათი თანამშრომლობა 2003 წელს დაიწყო, როდესაც ერთობლივად იმუშავეს წიგნზე „ჟამი სიცოცხლისა“. კრებულმა ქართველი და აფხაზი ავტორების მიერ ომის თემაზე დაწერილი ტექსტები გააერთიანა. ამ გამოცემას მაშინ ორივეგან მოჰყვა თბილი და გულისხმიერი გამოხმაურება. ლიტერატურა ომისა და დაპირისპირების თავიდან ასაცილებელ ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ გზად დასახელდა, თუმცა სამწუხაროდ, ყველაფერი ამით დასრულდა. წამოწყებას გაგრძელება არ მოჰყოლია და აი, რამდენიმე წლის შემდეგ ისევ იკვეთება ლიტერატურული კონტაქტების აღდგენის სურვილი. ამჯერად პროექტში სომხური, აზერბაიჯანული და ოსური მხარეებიც მონაწილეობენ და ეს სულაც არ არის გასაკვირი. „სამხრეთ კავკასია ხუთი ლიტერატურის მშობელია, რომლებიც ერთმანეთთან უხილავი ძაფებითაა დაკავშირებული. ჩვენი ხალხები საუკუნოდ არიან გადაჯაჭვული ლიტერატურული ნაწარმოებებით და ამ ურთიერთობების განახლებას ისევ ლიტერატურამ უნდა შეუწყოს ხელი “ — მიიჩნევს გურამ ოდიშარია და ძნელია, არ დაეთანხმო. დღეს, როდესაც თანამედროვე ტექნოლოგიები შინიდან გაუსვლელად იძლევა ნებისმიერი ჟურნალისა და წიგნის გამოცემის შესაძლებლობას, ერთი რიგითი ჟურნალის გამოსვლა, შესაძლოა, დიდად აღსანიშნავი ფაქტი არ იყოს, მაგრამ როდესაც ლაპარაკია ადამიანებს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენაზე, ჩიტი ბრდღვნად ნამდვილად ღირს. მასზე მუშაობის მთავარი ხიბლი ის იყო, რომ იდეის ავტორებმა კარდაკარ შემოიარეს სოხუმი, ცხინვალი, ბაქო, ერევანი. შედეგად, თქვენს წინაშეა ალმანახი, სადაც ნაჩვენებია, ბოლო 20 წლის განმავლობაში, არაერთი კონფლიქტისა და სისხლისღვრის შემდეგ, რა იწერება სამხრეთკავკასიურ ლიტერატურაში.

ქართული მხრიდან ძირითადად ომისშემდგომი თაობაა წარმოდგენილი. სულ ოთხი ავტორია – ბესო ხვედელიძე, თეონა დოლენჯაშვილი, შოთა იათაშვილი და გურამ ოდიშარია. რაც შეეხება დანარჩენებს, აქაც შედარებით ახალი თაობის მწერლები ჭარბობენ, თუმცა არც კლასიკოსებია დავიწყებული. მაგალითად, აფხაზი ალექსი გოგუა, რომლის ნაწარმოებებიც შესანიშნავი საშუალებაა იმისათვის, რომ გავიგოთ, როგორ ცხოვრობენ დღეს აფხაზები, რა აწუხებთ, რა უხარიათ. კრებულში შევიდა კიდეც მისი ერთი მოთხრობა — „ნისლი.“ ალექსი გოგუას გარდა თანამედროვე აფხაზურ მწერლობას კიდევ რამდენიმე ავტორის ტექსტებით გავეცნობით. ესენი არიან: დაურ ნაჭყებია, გუნდა საქანია და ნადეჟდა ვენედიქტოვა. ოს მწერალთაგან ალმანახში მელიტონ კაზითი, ტამერლან ტადტაევი, მილენა თედეევა და აზა ხუჯეევა შევიდნენ. მათ გარდა სომეხი და აზერბაიჯანელი ავტორების ნაწარმოებებსაც გაეცნობით. შესაძლოა, მათი სახელები დღეს ქართველ მკითხველს ბევრს არაფერს ეუბნება, ისევე, როგორც სხვა რეგიონებში ნაკლებად იცნობენ აქ წარმოდგენილ ქართველ ავტორებს, თუმცა დავიტოვოთ იმედი, რომ რამდენიმე ნომრის შემდეგ სამხრეთკავკასიური ლიტერატურული სივრცე ნაწილობრივ გაიხსნება და ლიტერატურა შეძლებს ქართულ-აფხაზურ-ოსური ურთიერთობების აღდგენაში ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულოს.

ნინო კოგანიძე





კობა იმედაშვილი

ესმა ონიანის დაბრუნება

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ღირებულებათა გადაფასების მეტად მნიშვნელოვანი პროცესი მიმდინარეობს, ზოგი შემოქმედი სრულ დავიწყებას ეძლევა, ზოგი უფრო ღრმად და ადეკვატურად წარმოჩინდება, ზოგი კი ძვირფასი ქვის ელვარებით გამოანათებს არყოფნის ბურუსიდან.

ამ პროცესის, რომელიც უნდა გაგრძელდეს და გაღრმავდეს, აქტიური მონაწილენი თავად ჩვენ ვართ, რადგან მხოლოდ დროსა და მკითხველს ხელეწიფება ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას და თავისი ადგილი მიუჩინოს.

ერთი მაგალითი ასეთი ახლებური წაკითხვისა მეოცე საუკუნეში სათანადოდ ვერგაგებული და ვერდაფასებული დიდი სიტყვითხელოვანის, ესმა ონიანის შემოქმედება გახლავთ. იგი მთელი დედოფლური (დავესესხები ნოდარ ნათაძეს) დიდებულობით შემოდის ოცდამეერთე საუკუნეში და აღტაცებაში მოვყავართ თავისი მრავალგვარი და ღრმა პოეზიითა თუ პროზით. მან თავის დროზე თითქოს იწინასწარმეტყველა კიდეც ეს მობრძანება:

„ახლა თვალს მჭრის გასწორება
საკუთარი თვალისთვის თვალის —
ნუთუ ეს მე ვარ?
ისევ მე ვარ?!
ისევ მოვსულვარ!“

ჩვენ სწორედ ახლა ვუახლოვდებით მის „ნამდვილობას“ (ეს ესმას ტერმინია) და ყოველ ჩვენგანში მისი შემოქმედება სწორედ ახლა ბადებს შემხვედრ იმპულსებს. მასზე საქმის ცოდნით და ტექსტის სრულად ამოკითხვის სურვილით წერენ არამარტო ასაკოვანი ლიტერატორები, არამედ ახალგაზრდებიც, რომელთათვისაც იგი ახლობელი, გასაგები და ბევრისმთქმელია. გამოდის მისი წიგნები, ითარგმნება მისი ლექსები და ესეები, საჯაროდ განიხილავენ მის შემოქმედებას... მოკლედ, ყველაფერი ხდება ისე, როგორც უნდა მომხდარიყო ნახევარი საუკუნის წინათ.

ნუ გაიკვირვებთ ამ დაგვიანებას. ხელოვნებაში ხდება ასე. სხვა ქვეყნებს რომ თავი დავანებოთ, საქართველოში, ილია ჭავჭავაძის მოსვლამდე, ნიკოლოზ ბარათაშვილი ვერდაფასებული იყო. ასევე, დღესაც ადეკვატურად არაა შეფასებული და შესწავლილი რუსთაველის შემდეგ ყველაზე დიდი ქართველი მწერალი, ვაჟა-ფშაველა. ქართულმა საზოგადოებამ თავის დროზე ვერ დააფასა ჩვენი გენიოსი ნიკო ფიროსმანი, მეტიც, უტაქტო კარიკატურით გული ატკინეს. ვერ იყო ადეკვატურად შეფასებული თავის დროზე ვერც ტერენტი გრანელის პოეზია და ვერც შესანიშნავი კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი. ვერ გაიგეს მისმა თანამედროვე ინტელექტუალებმა ვერც ნიკო სამადაშვილის ღრმა და შინაგანი ტრაგიზმით აღსავსე პოეზია... უცხოეთისკენ თუ გავიხედავთ, იქაც საკმაოდაა ასეთი გაუგებრობანი. მხოლოდ ერთ მაგალითს შეგახსენებთ — იოჰან სებასტიან ბახს, რომლის შვილი, საშუალო მუსიკოსი, საკმაოდ დიდხანს უფრო პოპულარული იყო, ვიდრე მისი გენიოსი მამა.

ყოველივე ეს მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს — ყველა მნიშვნელოვან მხატვრულ ტექსტს (იქნება ეს სიტყვიერი, ბგერითი თუ ვიზუალური) თავისი შესაბამისი აღმქმელი თუ არ ჰყავს, იგი ადეკვატურ აღიარებას უნდა დაელოდოს.

ესმასთანაც ასე მოხდა.

ისიც სათქმელია, რომ მაშინ სხვა დრო იყო, სხვა ქართული საზოგადოება, მკითხველიც — სხვა, სხვა გემოვნებითა და მხატვრული ტექსტის აღქმის სხვა უნარით, სხვა ცოდნით. მაშინ ესმა ონიანი რთულ და ელიტარულ პოეტად აღიქმებოდა (რაც ბევრისთვის ნაკლი იყო, ცოტასთვის — ღირსება), ახლა კი იგი თავისი აზროვნებით, პოეტიკით, სახეთა არაორდინალურობით და „გენიალური სიჯანსაღით“ (მაკა ჯოხაძის თქმისა არ იყოს) გასაგები, მისაღები და დიდ ხელოვნებაში მკითხველის ჩართვის ინსპირატორია. მას თავისი მკითხველი ჰყავს — მაღალგემოვნებიანი და მაღალინტელექტუალური. ეს ბედნიერებაა მისთვისაც და ჩვენთვისაც და იმის დამამტკიცებელიც, რომ ჭეშმარიტ პოეზიას ასაკი არა აქვს, იგი იმ დროისაა, როდესაც მას კითხულობენ.

ესმა ონიანის შემოქმედება ათეისტურ და კოლექტიურ ფასეულობებზე აღზრდილი უპიროვნო მკითხველისათვის მიუღებელი ან, უკეთეს შემთხვევაში, გაუგებარი იყო, გაუგებარი იყო მისი ღვთისმოსაობაც და სამყაროს ცენტრში პიროვნების დაყენების ფილოსოფია, მისი პოეზიის თემატიკა — ოჯახი და თავად მისი პოლიფონიური ტექსტების ფორმაც, უმეტეს შემთხვევაში, ვერლიბრით განხორციელებული ფერადოვან სახეთა რიტმული გადაძახილით (წაიკითხეთ მისი პროგრამული — „მოკლე ფიქრები სამი გადახვევით“ და „ისევ გადახვევა ოთხ ნაწილად“).

1970 წელს, როცა ხრუშჩოვის დროს დაწყებული კულტურული „დათბობის“ პერიოდი დამთავრებული იყო, ესმა ონიანმა თარგმნა რუსული პოეზიის კლასიკოსის გავრიილ დერჟავინის პროგრამული ლექსი „ღმერთი“, რომელიც მისთვისაც საკუთარი მრწამსის გამოხატულება გახლდათ და, რა თქმა უნდა, იგი არ დაიბეჭდა. არ გაიკვირვოთ. მაშინ ვერავინ გაბედავდა ღვთის მიმართ აღვლენილი ამ და სხვა სიტყვების დაბეჭდვას:

„კვლავ მაპატიე ყველაფერი,
რასაც რომ ვცოდავ,
რომ მეშინია ტკივილების, მცირისაც ოდნავ,
— ჩემს ქცევას მაინც რომ ასატანს ვხედავ,
რომ ამდენ ვედრებას და ლოცვას ვბედავ.“

ესმა ონიანმა დიდი წარმატებით გააგრძელა დიდი ქართველი პოეტების — რუსთაველის, გურამიშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის ტრადიცია და უღმერთო საზოგადოებაში ლოცვის ინტიმური აქტი საჯაროს შემოქმედებით აქტად აქცია.

გასული საუკუნის სამოციან წლებში ჩვენს საზოგადოებასა და ლიტერატურაში დაწყებული დათბობის ეპოქა მაინც საბჭოთა კავშირში ხდებოდა და ეკლესიათა დამანგრეველთათვის ღმერთის ხსენებაც კი მიუღებელი იყო.

თითქოს პარადოქსია, მაგრამ მას, უცნობ ავტორს, 1966 წელს ჟურნალ „დილაში“ იოლად დაუბეჭდეს საბავშვო ლექსები, მაგრამ მისსავე პრობლემურ ვერლიბრსა თუ კონვენციურ ლექსებს დაბეჭდვა არ ეღირსა. მხოლოდ 1968 წელს „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარმა რედაქტორმა, გემოვნებიანმა და გონიერმა მწერალმა რეზი თვარაძემ დაბეჭდა ესმას მეგობრის მიერ მიტანილი რამდენიმე ლექსი. გაზეთის ეს ნომერი მისი რედაქტორობის უკანასკნელი ნომერი გახლდათ. გავა წლები და რეზი თვარაძე ესმა ონიანის წიგნის განხილვაზე იტყვის: „თუ ქვეყანას საუკუნეების მანძილზე ჰყავს ასეთი აღმატებული სული, ეს ქვეყანა გამორჩეულია საკაცობრიო მასშტაბით!“

რატომ ითქვა ასე?

რატომ არის, რომ მეოცე საუკუნიდან ოცდამეერთე საუკუნეში გადმოსული სიტყვითხელოვანი ასეთი მისაღები და გასაგები გახდა ყველასთვის?

დრო შეიცვალა და ჩვენ თვითონ შევიცვალეთ, თორემ ესმა ონიანის შემოქმედება რაც იყო, იგივე დარჩა.

2000 წელს გამოცემულ ესმა ონიანის კრებულის (რომელიც მისმა დამ ირინე ონიანმა შეადგინა „ლექსები, ესეები და წერილები“), წინასიტყვაობაში სიტყვითხელოვნების ჩინებული მცოდნე და ქებაზე საკმაოდ ძუნწი ნოდარ ნათაძე აუცილებლად გასამეორებელ სიტყვებს წერს: „ესმა ონიანი დაბადებული იყო დედოფლად და იქცეოდა როგორც დედოფალი თავისი შემოქმედების გარიჟრაჟზე, როცა თვით მის გარდა ჯერ არავინ უწყოდა, რა იყო და როგორი იყო“. აქ ალბათ ფართო საზოგადოება იგულისხმებოდა, თორემ მისი მეგობრებისთვის, თუნდაც გურამ რჩეულიშვილისთვის, ოთარ იოსელიანის, ერლომ ახვლედიანისა და დათო ჯავახიშვილისთვის ესმა ონიანი მათი ფარდი იყო, მაგრამ მაშინ, როცა ყველაფერი სახელმწიფოს ხელში იყო, მათ თავად უჭირდათ ბეჭდვა თუ ფილმის გადაღება.

თუ ესმა ონიანის ლექსებს ყურადღებით წაიკითხავთ, ხშირად ნახავთ, რომ ბანალური ფრაზისა თუ მოვლენის იქით იგი შესაშური სისრულით წვდება ადამიანურ გრძნობათა დაფარულ სიღრმეებს (დააკვირდით „დანახულ ანდაზებს“), მისთვის არ არსებობს დროითა და სივრცით შეზღუდვა — მითოლოგიური მოტივები, ეთნოგრაფიული რეალობა, ისტორიული პიროვნებანი თუ მისი კონკრეტული თანამედროვენი მისთვის ადამიანურ განცდათა სიღრმისეული ხედვის გაანალიზების მიზეზსა და ბიძგს წარმოადგენენ და აქ იგი ერთნაირად წარმატებულია ვერლიბრსა თუ ტრადიციულ ლექსში.

ესმა, ბრწყინვალე პორტრეტისტი, ერთნაირი წარმატებით ხატავს ფერით და ჰქმნის სიტყვით განუმეორებელ პორტრეტებს და ამ პროცესში მასთან ერთად თავად მკითხველიც მაღლდება, ხდება მისი თანაავტორი, რადგან ადამიანურ გრძნობათა მთელი სპექტრით აღიქვამს ყოველივეს — თვალით, ყურით, სმენით, ყნოსვით, შეხებით („ხაფრას სფინქსის სიმღერა“, „შუმერთა ლოცვა აბზუსადმი“, „სვანეთის ციკლიდან“, „ველასკესი“, „ფიროსმანი“, „ტერენტი გრანელი“, „ლუი არმსტრონგი“, ვან დერ ვეიდენი“, „გურამ რჩეულიშვილს”) მთავარია შენ იყო თავად მზად ამ სიმდიდრის დანახვისათვის.

ესმა ონიანის პოეზია გამორჩეულ პიროვნებათა აპოლოგიაა და, ამდენად, თითქოს მოულოდნელია მასთან ლექსის ობიექტად უსახო მასის, ბრბოს, ფარის გამოჩენა (და აქ ალუზიაც იჩენს თავს იმ ცხვრის ფარის და იმ მწყემსის, რომელიც დაკარგულ ცხვარს ეძებს). იგი, ერთი შეხედვით, იმდენად არის გაუცხოებული ლექსის ობიექტთან, რომ ამ მასას სახითაც ვერ აღიქვამს, რადგან ესაა „მობორიალე და დაბნეული ზურგების ფარა“ (ზოგჯერ ჩვენც ვართ ხოლმე ასეთები!). პოეტი მხოლოდ „მობორიალე“, „დაბნეულ“ და „მოზიმზიმე ზურგებს“ ხედავს, რომლებიც სადღაც გადაადგილდებიან და არასდროს არ გადაჰკვეთენ მის გზას, მის წინ მიმავალ „ზურგების ტევრს“ თავისი გზა აქვს, პოეტს — თავისი. ეს „ზურგების ფარა“ თავისი „უცოდინრობით“, „დაუცველობით“ „შეუვალია და გაკაჟებული თავის გულგაუხსნელობაში“ (მასის რა ზუსტი დახასიათებაა!). „ისინი“ და „ეს“ არასდროს შეხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ შემოქმედს რჩება მათზე და მათ გამო დიდი ტკივილი — „რადგან ვინც იგრძნო გაელვებული, აყვავებული სურნელი მიღმა, უასკეცდება ცოდვის სიმძიმე, მისთვის სიმძიმედ ბუმბულიც კმარა“.

ეს ბრწყინვალე კონვენციური ლექსია, ღვთიური თანალმობით სავსე და მხატვრული უბრალოებით გამორჩეული, რომლის სათხოვარი ღმრთისადმი გულისშემძვრელია და დამაფიქრებელი:

„ცრემლები მაღრჩობს, გული მეწვება, —
რა გადმომეცა, რა დარდებს ფარავს,
ჩემს წინ მიმავალ ზურგების ტევრი, —
დაიცავ ღმერთო, მიეცი ძალა!“

ეს დიდი ლოცვაა და აუცილებელი შტრიხი ესმა ონიანის პორტრეტისათვის.

P.S.

ეს წერილი რედაქციისათვის გამზადებული მქონდა, როდესაც გამოვიდა ესმა ონიანის მორიგი წიგნი — „ძველი რვეულებიდან“ (მადლობა გამომცემლობა „ინტელექტს“!), რითაც კიდევ ერთხელ და საჩინოდ დადასტურდა, რომ ესმა ონიანის პროზა — ესეები, ჩანაწერები, პორტრეტები, შეფასებანი, პოლემიკა, ცალკეული ფრაზები თუ დაკვირვებანი მისი პოეზიიდან განცალკევებულადაც კი დღესაც რჩება მეტად მნიშვნელოვან ლიტერატურულ ფაქტად, სადაც ავტორი წარმოგვიდგება ღრმად ერუდირებულ შემოქმედად. მისი სიტყვები ბევრ რამეზე დაგვაფიქრებს.

ამ ტექსტების ცალკე წიგნად დაბეჭდვამ უფრო გამოკვეთა მათი დამოუკიდებელი ღირსებანი, იგი თვალხმიერად გვაგრძნობინებს მათ „ნამდვილობას“, მათ ხიბლს და მათი ავტორის განუმეორებელ აურას. დარწმუნებული ვარ ირონიითა და თვითირონიით გაჯერებული ეს ტექსტები საგანგებო მსჯელობის საგნად იქცევა და მათზე არაერთი წერილი დაიბეჭდება, მაგრამ ეს მერე, აქ და ახლა კი წერტილი უნდა დავსვა და სჯობს მარტო დაგტოვოთ ამ დიდ შემოქმედთან, რადგან მწერლისა და მკითხველის ურთიერთობაში მესამე პირი ზედმეტია.



ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტები **ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული**

ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com